

ელბერდ ბატიაშვილი

ილია და საქართველო

მემკვიდრეობა და თანამედროვეობა:

– რანი ვიყავით –

– რანი ვართ –

– რად შეიძლება ვიქმნეთ

თბილისი – 2017



„მარად და ყველგან საქართველოვ,
მე ვარ შენტანა!“

ნა-ი-ა 

რედაქტორისგან

ბატონ ელბერდის ეს მონოგრაფია ჩვენთან ახლახან დაფუძნებული „ილიას კაბინეტის“ პირველი შრომაა, მაგრამ იგი ავტორის ხანგრძლივი კვლევის შედეგია. ილია ჭავჭავაძე მისი გამორჩეული საკვლევით თემაა და გვინდა „ილიას კაბინეტი“ გახდეს ახალი დარგის – „ილიალოგიის“ დამკვიდრების სამეცნიერო-საკვლევო ცენტრი.

გვჯერა, რომ იგი მოიზიდავს ბევრ მკვლევარს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ილიაც, ხომ თავისი „კარგი ქვეყნის დიდების დღენის“ აღდგენას ახალგაზრდობას, მომავალ თაობებს უკავშირებდა. ამ მიზნით გვინდა აღვადგინოთ „ხუთშაბათობის“ ილიას ტრადიციაც...

გვჯერა და გვწამს ისიც, რომ „რუსთველოგიის“ მსგავსად, „ილიალოგია“ ეროვნულთან ერთად, შეიძენს საერთაშორისო მნიშვნელობასაც, რამეთუ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ბევრი იდეა და პრინციპი გლობალურ პრობლემებსაც შეიცავს. ამ მხრივაც ავტორს გამოქვეყნებული აქვს არაერთი გამოკვლევა. წინამდებარე ნაშრომი მათი თავისებური შეჯამებაა: მას მიაჩნია, რომ ილიას მემკვიდრეობის გარეშე ქართული სახელმწიფოს წარმატებითი მშენებლობა შეუძლებელია.

შეიძლება დავეთანხმოთ, ან, არ დავეთანხმოთ ამას, მაგრამ ერთი ცხადია: მონოგრაფია, რომელიც პოეზიით შეზავებულ თავისებურ ლიტერატურულ-ისტორიულ ესსეს წარმოადგენს, ბევრ საზრდოს მისცემს მკითხველს ფიქრისა და განსჯისათვის. მას შემეცნებითთან ერთად, უთუოდ გააჩნია პრაქტიკული ღირებულებაც. სხვადასხვა პოლიტიკურ პრინციპებთან ერთად, ავტორი გვთავაზობს კონსტიტუციური მონარქიის იდეას. მას სწამს, რომ ილიას ამ იდეის განხორციელება მძლავრ ბიძგს მისცემს ქვეყნის სამომავლო განვითარებას.

გიორგი კეკელიძე,

პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი

წინათქმა

მემკვიდრეობითობა რომ ბუნებისა და საზოგადოების არსებობა–განვითარების უნივერსალური კანონია, ეს ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებმაც იცოდნენ, ყველა ცოცხალი ორგანიზმი ბალახიდან დაწყებული, ადამიანით დამთავრებული, ამ კანონს ემორჩილება. სხვანაირად აკაკის „ღამურას“ ბედი ელთ. ქართულ სინამდვილეში ეს კანონი პეტრე იბერის პალესტინურ ქადაგებებსა და შრომებშია ასახული, პეტრე იბერი, ილიასავით უსამართლოდ მივიწყებული. ეს სიბრძნე ჩვენმა დალოცვილმა ფოლკლორმაც დაგვაფიქსირა – „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე“, ანდა „ნეტავი გამაგებინა მამა–პაპანი რად ქმნილან“...

მემკვიდრეობითობა უზრუნველყოფს მთელი ჩვენი გარემომცველი სინამდვილის სტაბილურობას და თაობათა ცვლას. „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭუნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, რუსთაველის ეს სიტყვები წაუმძღვარა ილიამ „აჩრდილს“, რომელიც მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის თავისებური პოეტური ასახვაა, პოემა მოწოდებაა არ დავივიწყოთ აჩრდილად ქცეული ჩვენი ისტორიის „დიდებული ოქროვანი ხანა“ და ვიბრძოლოთ მისი გათავისება–გაცოცხლება–აღდგენისათვის. იგივე იდეაა გაჟღერებული პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

**„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთმამინც,
გზად და ხიდად გავედებით!“**

„გზად და ხიდად გადებას“ გვთხოვს და ეგების, ამ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის თაობებმა შევძლოთ ილიას ამ ანდერძის აღსრულება. უნდა გვწამდეს, რომ ასეც იქნება – ყოველი ახალი ათასწლეულის დასაწყისი ხომ, ფეხბედნიერად გვაქვს დაცდილი – პირველში ქრისტიანობას ვეზიარეთ, მეორეში კი, დავით აღმაშენებელმა და მისმა თანამოაზრეებმა უძლიერესი ქართული სახელმწიფო შექმნეს...

ეროვნულ მემკვიდრეობაზე შემომწყრალ მესამედასელთა „უცხო ბაძის მონობას“ რომ ამხელდა, ილია მუდმივად უსვავდა ხაზს ჩვენს დიდ ეროვნულ მემკვიდრეობას, ათასწლეულობით რომ განიზომება. მართლაცდა, ბევრი ერი როდი დაიკვებებს ამას, თუნდაც, დღემდე ცოცხლად შემორჩენილ 3 ორიგინალურ დამწერლობას, ანდა, „ქართლის ცხოვრებას“, თუ პეტრე იბერის, გიორგი ათონელი – მთაწმინდელის და რუსთაველის დონის მოაზროვნეებს...

მესამედასელები მარტო ილიას ფიზიკურ განადგურებას არ დასჯერდნენ. წიწამურის შემდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო ეროვნულობის –

„დამყაყებულები ქართული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ზედიზედ გამოდის მათი იდეოლოგიების – ნოე ჟორდანიას („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ – 1908 წ.), პეტრე გელეიშვილის („ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“ – 1909 წ.) და სხვათა ბროშურები, რათა მოსპონ ნაციონალიზმი და „საერთო ნიადაგის“ იდეა. მართლაც, კარგახანს ილიას სახელი და საქმე სრულ დავიწყებას მიეცა...

იმპერიებმა ქართველები „უცხოთმოყვარენი“ გაგვხადა (სიტყვა – „სა-უცხო-ო“ ამიტომ დამკვიდრდა ჩვენს ლექსიკაში), და ჩვენს წინაპრებს თუ არა, იქნებ უცხოელებს მაინც დავუჯეროთ: არტურ ლაისტი ილიას მსოფლიო დონის მოაზროვნედ მიიჩნევს, რომან ჰერცოგი, ახლახან გარდაცვლილი გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი, მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქართველებს უნიკალურ ერად აღიარებს, 1947 წელს, როცა პალესტინაში ისრაელის ებრაული სახელმწიფო აღსდგა, აქ გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოს შექმნას ლამობდნენ და პრეზიდენტის ნაცვლად „დავითიან-სოლომონიანთა შთამომავალ“ ბაგრატიონებში ეძებდნენ მეფობის კანდიდატს. ესეც როგორ გვაგონებს სიონიზმისადმი ილიას სიმპატიებს („ებრაელთა საკითხზე“) და კონსტიტუციური მონარქიის მის იდეას და მეტაფორას – „სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული საქართველო“... ეს მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის მრავალთაგან ერთ-ერთი დიდი იდეაა. იდეა, რომელსაც მესამედასელებივით დღესაც ამრეზით და მტრულად უყურებს ბევრი...

იდეა, თეორია და მათზე დაფუძნებული იდეოლოგია იმიტომ არსებობს, რომ კაცმა რაც შეიძლება წინ გაიხედოს, მომავალს გონი და თვალი უსწოროს, ორიენტაცია აიღოს მასზე. მაგრამ ყოველდღიურობის პრობლემებში ჩაფლულებს ილიაც და მისი მემკვიდრეობაც გვავიწყდება და გვერდზე გვრჩება...

არადა, XX საუკუნის უკლებლივ ყველა ჩვენი დიდი ერისკაცი გვეუბნება: მხოლოდ ილიას – „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ მემკვიდრეობა მოგვცემს სწორ სამომავლო ორიენტორს – სხეული ხომ, სულის გარეშე მკვდარია: ამიტომაც ჩვენი დევიზი უნდა გახდეს: **ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი!... მთავარია ვირწმუნოთ ილიას ძალა...**

1936 წლის 4 სექტემბერი შემობრუნების წერტილია ილიას მემკვიდრეობის თვალსაზრისით. კრემლის უზენაესი ბრძანებით საბჭოთა იმპერიის მთავარმა რუპორმა – „პრავდამ“ გამოაქვეყნა ილიას საქებ-სადიდებელი სტატია. ილიას მიმართ მესამედასელთა 30 წლიან ლანძღვა-გინებას ბოლო მოეღო, ისევე როგორც ილიას მკვლელის ქუჩა-ქუჩა საჯაროდ კვეხნას – „**მე მოვაშორე ხალხს და ქვეყანას გლეხების სისხლისმწოველი...**“

მაგრამ ილიას რეაბილიტაცია მოხდა სანახევროდ – მხოლოდ როგორც „მწერლის“ და არა **ეროვნული იდეოლოგის**. წინამურთან აღმართულ სვეტსაც ხომ, ეს აწერია დღესაც, თანაც „თვითმპყრობელობაზე“ ბრალდებით. რამდენი

წელია „ილიალოგთა კლუბი“ მოვითხოვთ ამ აბსურდული წარწერის შეცვლას – რუსეთი მანამდეც, მაშინაც და დღესაც სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის ქვეყანაა. მონღოლური „ოქროს ურდოსგან“ მემკვიდრეობით მიღებული, მაგრამ ეს ცოდვა, სხვა ათასი ცოდვებისაგან განსხვავებით, მის კისერზე არაა, ეს მესამედასელი მარქსისტი კოსმოპოლიტების დაგეგმილი მკვლელობაა. ამ ბრალდებას მაშინვე უყენებდნენ მათ აკაკი, ვაჟა, არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი...

ილია მარტო მწერალი არაა, მესამედასელებსაც მწერალი არ მოუკლავთ: მათ „უცხო ბაძუე“ ამხედრებული ეროვნული იდეოლოგი მოკლეს. უკანასკნელი მხატვრული ქმნილება – „ოთარაანთ ქვრივი“ ხომ, 1887 წელს დაწერა. განა 20 წლის მანძილზე მწერლობისთვის მოწოდებული კაცი, კალამს სხვა რამეზე მოაცდენდა?!... ეს 20 წელი ეროვნულობაზე, ეროვნულ ერთობაზე ამხედრებულთა წინააღმდეგ ბრძოლას შეწირა და თვითონაც მას შეეწირა. ეს შესანიშნავად აჩვენა ვაჟა ფშაველამ სტატიაში – „ილია მოკლეს“...

მანვე უწოდა ილიას – „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი“, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა თავისებურად იწინასწარმეტყველა: „იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს“.

ილიას რეაბილიტაციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა გადაწყვიტა შეექმნა მთელი ციკლი ილიას მემკვიდრეობაზე – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. 1938 წელს გამოსცა კიდევ ამ ციკლის პირველი ნაშრომიც, მაგრამ თვითონაც მესამედასელთა დევნა-შევიწროვებისაგან და შიმშილით ჯანგატეხილმა ველარ შესძლო ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა. იმ პირველ ნაშრომში კი, ეს დიდი სიმბოლიკა დაგვიტოვა შემდგომ თაობებს:

„ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი – კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და საუბედუროდ, ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე დღემდე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არაა“. ამ ფაქტს იგი იქვე „დიდ უსამართლობას და უმადურობას“ უწოდებს...

ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მისმა ასპირანტებმა შექმნეს „თსუ ილიალოგთა კლუბი“, რომელსაც შემდეგ შევუერთდით ახალგაზრდობაც. 60–70-იან წლებში დისიდენტურად გამოვეცით „ივერიის“ რამდენიმე ნომერი, აგრეთვე, პოლიტოლოგიური გამოკვლევა – „იმპერიის ისტორიული ბედი“, სადაც პირველად დავაყენეთ „საერთო ნიადაგის“ თეორიის კვლევის საკითხი...

კომუნისტური იმპერიის ნგრევამ ახალი სტიმული მისცა „ილიალოგიას“, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველო კვლავ დარჩა მესამედასური – ილია მაინც ვერ გახდა ახალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგი. არადა, თვალი გადავავლოთ მსოფლიოს – ყველა წარმატებული სახელმწიფოს საფუძველი იდეოლოგიაა: აშშ ფრანკლინის, ვაშინგტონის, ჯეფერსონის „ამერიკულმა იდეოლოგიამ“ შექმნა,

რომლის „მსოფლიო მეთაურობა“ ილიამ 1889 წელს იწინასწარმეტყველა („ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“), ისრაელი ჰერცელის, გირშის, ბენ-გურიონის სიონიზმის იდეოლოგიამ შვა... წარმატებულ ქართულ სახელმწიფოსაც მხოლოდ ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია შექმნის...

მთავარია ახლა მაინც აღმოვჩნდეთ „კარგი მთქმელის კარგად გამგებნი“... გენიოსურად ჩაწვდა წიწამურის ტრაგედიის არსს გალაქტიონი:

**წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“**

ეს „კარგად გაგება“ ილიას „დიდი ეპოქის“ აღდგენა-გათავისება-გაცოცხლებაა. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გაირკვეს ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ, ვინ არის „ერის მამა“ და ვინ კიდეც „მამინაცვალი“...

საუკუნეზე მეტია ელოდება ჩვენგან პასუხს, პასუხი კი არ ჩანს. გაუცხოება – არ გაგების ეს დილემა პოეტურად ასე გამოვხატე:

**„რას სჩადიხართ, ილია ვარ!“, –
შემოგვძახხა წიწამურთან,
ბერდენკის ლულას
როს მოჰკრა თვალი...**

**„რას სჩადიხართ, ილია ვარ!“, –
მოგვძახხის ახლაც,
როცა შეჰყურებს
ჩვენს ნაცოდვილარს
ამერ-იმერის
მთასა თუ ბარად...**

დიახ, ვიყოთ ილია მართალივით მართალნი და ვთქვათ – ილიას დღესაც არ გამოსჩენია კარგი გამგები – ჩვენს მიერ ნაშრომის ბოლოს გადმოცემული „პრაქტიკული წინადადებანი“ ამ მიზნით არის წარმოდგენილი:

ილიასაც ხომ, სიტყვა, მეცნიერება, იდეა საქმედ ქცევის გარეშე „უქმის ჭკვის უქმ ვარჯიშად“ მიაჩნდა. პიროვნულ იუბილევებსაც ვერ იტანდა, ამის გამო, მათ „უმაქნის და უსარგებლო თავშესაქცევს“ უწოდებდა, თავის იუბილევ ხომ, არცერთხელ არ გადაუხდია...

იქნებ მის ამ მორიგ იუბილეს სიტყვის გარდა, საქმეც მოჰყვეს, ის დიდი საქმე, რომელზეც ოცნებობდა მთელი სიცოცხლე თავისი „კარგი ქვეყნის დიდების დღენის აღდგენისათვის“...

იქნებ ღირდეს დაფიქრება იმაზეც, რაც მან ამ სამი სიტყვით გვიანდერძა – „რად შეიძლება ვიქმნეთ“?... ეს მას კი არა, ჩვენ გვჭირდება უპირველესად...

– რანი ვიყავით

ერის ისტორია ერთი და ორი თაობით და თუნდაც ათეულობით და ასეულობით თაობებით არ განიზომება. ცნება – „ერის“ საოცრად ლაკონური, მაგრამ უაღრესად აზრტევადი განსაზღვრება მოგვცა ილიამ „ქვათა ლაღადის“ დასაწყისშივე: „ერი... ეს არის ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“.

„ისტორიით შედუღებული“ ეს ილიას ისეთი მიგნებაა, რომელიც ერის არსებობა–განვითარების სამივე დრო–ჟამს მოიცავს, ანუ, იმას რაც თვითონვე გამოხატა: „აწმყო შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავალისა“. ივანე ჯავახიშვილის იდეაც შეექმნა მთელი ციკლი თემაზე – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ამ დრო–ჟამის ამ სამი განზომილებით ჰქონდა განზრახული. სამწუხაროდ, მან ეს ვერ მოასწრო, მაგრამ თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტტომეულით ისეთი მდიდარი მასალა დაგვიტოვა, რომლის განზოგადობაც დაგვეხმარება ვუპასუხოთ ილიას კითხვა–დილემას: „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიის კვლევის ამ ილიასეულ მეთოდს „ისტორიის ფილოსოფიას“ უწოდებს, დღევანდელი ტერმინოლოგიით კი, მას ალბათ, ასე უნდა ვუწოდოთ – „საქართველოს ისტორია და პოლიტოლოგია“. ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით მშენებლობას სწორედ ეს უნდა დაედვას ბალავრის ქვად, ბოლო ორი საუკუნის ამ ჩვენი ყველაზე დიდი ერისკაცების მემკვიდრეობა...

ვინ დაიჯერებს ახლა ამას?!

ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში მოჰყავს საინტერესო მასალები XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული განვითარებიდან (თბილ. 1883 წ. გვ. 384-392). თვალეხს არ უჯერებს კაცი, როცა მას კითხულობს: თურმე მაშინდელი საქართველო ეროვნული შემოსავლებით და საერთო–ეკონომიკური განვითარებით წინ უსწრებდა არა მარტო თავის უშუალო მეზობლებს, არამედ თვით ევროპულ სახელმწიფოებს, მაგალითად ამ მაჩვენებლებით ჩვენი ქვეყანა ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთს?!

მართლაც, ძნელია დაიჯერო დღევანდელი საქართველოს შემხედვარემ ის, რასაც ივანე ჯავახიშვილი წერს, თანაც წერს არა ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, არამედ უცხოური – ევროპული, სპარსული, არაბული მასალების

საფუძველზე. ახსნა და ანალიზიც მისებურად ობიექტური და დამაჯერებელია, ისე როგორც მისი დიდი წინამორბედის ილია ჭავჭავაძის მოკლე და ლაკონური დასკვნებიც სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“...

იქნებ, ამან მაინც დაგვაფიქროს და ჩავვახედოს, თუ რანი ვიყავით მაშინ და რაც მთავარია დაგვაფიქროს იმაზე, თუ რამ განაპირობა ეს? დიახ, ბატონებო, ამ ჩვენი ორი ყველაზე დიდი ერისკაცის მემკვიდრეობის დაუფლება და გათავისება–გათანამედროვეობა ახალ სიცოცხლეს მისცემს ხალხსაც და ქვეყანასაც, შეგვმატებს ძალებს „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებისთვის და წახდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს–წყობის აღდგენისათვის“ – ასე რომ ნატრულობს „მგზავრის წერილების“ ავტორი ...

„ქართველი ერის ისტორიის“ აღნიშნულ გვერდებზე და ბევრგან სხვაგანაც ივანე ჯავახიშვილი ცდილობს მკითხველი ამ დიდი იდეით დამუხტოს. ესეც ფაქტია – როცა 1936 წელს კრემლიდან უზენაესი ბრძანებით ილიას რეაბილიტაცია მოხდა და მისი დაბადებიდან 100 წლისთავიც აღინიშნა მომდევნო წელს, (ეს ილიას პირველი იუბილე გახლდათ – თავის სიცოცხლეში ის თვითონ ეწინააღმდეგებოდა მისთვის იუბილეების გადახდას) ივანე ჯავახიშვილმა გადაწყვიტა შრომების მთელი ციკლი შეექმნა მის მემკვიდრეობაზე. პირველი ნაკვეთი ამ ციკლიდან მან 1938 წელს გამოსცა – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, მაგრამ ჯანმრთელობამ და გარდაცვალებამ ეს მისი დიდი მიზანი აღუსრულებელი დატოვა ...

იქნებ, ჩვენმა თაობებმა მაინც ბოლომდე მივიყვანოთ მის მიერ დაწყებული საქმე და ილიას მემკვიდრეობა, უპირველეს ყოვლისა კი, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გზამკვლევადა ვაქციოთ?! ამაზეც იტყოდა ალბათ, რუსთაველი – „მაქვს უთვალავი საუნჯე, ვერვისგან ანაწონები“. ამ საუნჯეს ჩვენგან პატრონობა უნდა ...

მხოლოდ ეს მიგვიყვანს მის „კარგი ქვეყნის კარგ მომავლამდე“, ჩვენი კაცობაც და პოლიტიკური პასუხისმგებლობაც იმით შეფასდება, რამდენად შევძლებთ ამას – ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის ანდერძის შესრულებას ...

„დიდბუნებოვანი“ და „მდაბალბუნებოვანი“ კაცი

ილიასთვის „კაცი“ – ეს ქართული სიტყვა – წოდება იყო სალოცავი ხატი. ამიტომაც ამბობდა – „ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა სიტყვა „კაცის“ დამატებად ჩვენმა ენამ, „კაცური კაცი“ მოითხოვაო. მართლაც და კაცს რაღა

დამატება უნდა?!... მისი ნოველაც ხომ, „კაცია–ადამიანი?“, იმას გვეუბნება, რომ ყველა ადამიანი კაცი არაა ...

„დიდბუნებოვანი კაცი“ კი, ილიასთვის პიროვნების ყველაზე აღმატებითი ხარისხი და მაჩვენებელია. სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“ წერს:

„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვანი კაცობითაც ... თავისი ერისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დიდი მოყვარული და დამცველი, იგი დიდი პატივისმცემელი იყო სხვა ეროვნებისაც და სარწმუნოებისაც ნუთუ ეს დიდბუნებოვანობა საკვირველი რამ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან, როცა კაცი კაცს შესაქმელადაც არ ინდობდა ...“

ილიაც ქართველთა შორის ერთ–ერთი ყველაზე დიდბუნებოვანი კაცია. ამის დასტურად აქ ორ ფაქტს მოვიყვანთ: მან ხომ სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ლექსით – „ლოცვა“. მიუხედავად მესამედასელთა „უცხო ზადით“ შემოტანილი კლასობრივი დაპირისპირების, სიძულვილისა და ურთიერთბრძოლის“ იდეებისა, რასაც მან გამანადგურებელი სარკაზმით უპასუხა 1900 წელს სტატიით – „სიმბოლო სარწმუნოებისა“, იგი მაინც აღარ დაბეჭდა, როცა გაიგო გიორგი წერეთლის, მესამე დასის ერთ–ერთი დამფუძნებლის გარდაცვალება – აღარ იკადრა გარდაცვლილი კაცის აუგად მოხსენიება. ეს მაშინ, როცა ხუთი წლით ადრე სტატიით – „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე–სიცრუისა“, მიწასთან გაასწორა მესამე დასიც და მისი დამფუძნებლებიც „ჩვენს ერში შუღლისა და მტრობის გაღვივებისთვის“...

„ხუთი კაცის“ თეორია...

სიტყვა – „კაცზე“ ილიას მთელი თეორია აქვს აგებული სტატიაში – „აკაკი წერეთელი“ და „ვეფხისტყაოსანი“. მე მას „ხუთი კაცის“ თეორია დავარქვი, რამეთუ აქ ილია ეროვნულ ცხოვრებაში 5 კაცს განასხვავებს:

1. „ზოგად–კაცი“ – საკაცობრიოარენაზემოღვაწედამოქმედიკაცი
2. „ერისკაცი“ – ეროვნული მასშტაბით მოქმედი
3. „თემის კაცი“ – მოცემულ კონკრეტულ თემში მოქმედი
4. „გვარის კაცი“ – მოცემულ გვარში მოქმედი და
5. „ოჯახის კაცი“ – ოჯახის მასშტაბით.

ამასთან, აქ ილია არ გულისხმობს „მდაბალბუნებოვან კაცს“ – ილიასთვის ლუარსაბის მსგავსი ადამიანი არარაობას წარმოადგენს ყველგან და

ყველაფერში... „დიდბუნებოვანი კაცი“ კი, ერთნაირად მისაღები და საამაყო ყველგან – ქვეყნის გარეთაც და ოჯახშიც...

ილიასთვის საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი დაყოფა და მითუმეტეს მათი ანტაგონისტური დაპირისპირება ერთმანეთთან მიუღებელია, მისი „საერთო ნიადაგის“ იდეისა და თეორიის არსიც ესაა. მისთვის მთავარი კაცის ზნეობა – „ზნეკეთილობაა“, ვინც გინდა იყოს – თავადი თუ გლეხი. „ოთარაანთ ქვრივიც“ ხომ, ამ თემაზეა დაწერილი. არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ამ თემას „ივერიაში“, განსაკუთრებით მაშინ, როცა მესამედასელები გამოჩნდნენ ასპარეზზე...

ილიასთვის კაცის, პიროვნების აღქმისა და შეფასებისთვის ერთი საზომია – კაცობა და სიტყვა. „კაცი“ უმაღლესი ზნეობის მატარებელია, ამიტომ დააწერა სათაურად თავის ნოველას „კითხვა – ძახილის“ ნიშნით – „კაცია–ადამიანი“?: ყველა ადამიანი კაცი, ანუ, პიროვნება არაა მისთვის... ამისთვის ხმარობდა ხშირად ამ ცნებებს – „დიდბუნებანი“ და „მდაბალბუნებოვანი“. მესამედასელებს და საერთოდ, ყველა სოციალური დემაგოგიის მატარებელთ „მდაბალბუნებოვან კაცად“ განიხილავდა...

„ილიასთვის ზნეობაზე, კაცობაზე მალლა არაფერი დგას. აკი, თვითონვე შესანიშნავად განსაზღვრა თავის თავი – ჩემი ღმერთი ჩემი სინდის–ნამუსია“...

„ბუნებრივი ყველაფერი კარგი და აღმატებულია ხელოვნურზე“...

ილია საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ეძებდა ძველისგან გამოსადეგ სხვადასხვა პრინციპებს და მოვლენებს. მან 6 დიდი სტატია მიუძღვნა ქართულ ღვინოს, რომელიც ევროპულ ღვინოებზე მალლა დააყენა იმიტომ, რომ იგი ბუნებრივია და მასში ნაკლებადაა ქიმიკა და ხელოვნურობა ...

სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, მან მოგვცა „კომლობრივი წყობილების, სათემო მიწათმფლობელობისა და „ხოდაბუნური“ თვითმმართველური კორპორაციული მეურნეობის ანალიზი. ივანე ჯავახიშვილი ხოტბას ასხავს რა მას, მოგვიწოდებს ჩვენც ჩვენს წარსულ ისტორიაში ვეძებოთ მომავლის გასაღები.

ილიას წუხილსაც სწორედ ის იწვევდა, რომ ნაკლებად ვიხედებით ჩვენს ისტორიაში. ერის არსებობა–განვითარება ხომ უწყვეტი ჯაჭვია, რომლის თვითეული რგოლის აღქმა–გაგება–გათავისების გარეშე ერს მომავალი არა აქვს, იგი ბოლოს აკაკის „ღამურას“ როლში აღმოჩნდება. „მკვდარი ერები“ და „მკვდარი ენები“ სწორედ ამის შედეგი და მაგალითებია...

ახალი საუკუნეების ინტეგრაციულ პროცესებს რომ აანალიზებს, ილია ქართველი ერის სამომავლო განვითარებაში სწორედ ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხეს განიხილავს. ეს საფრთხე სულ უფრო მეტად გაიზრდება, რაც ეს ინტეგრაციული პროცესები გლობალურ სახეს და მასშტაბებს მიიღებენ. ილიაც იმას ჩივის და ტირის, რომ ამ რეალურ საფრთხეს კიდევ უფრო ამძაფრებს და საშიშს ხდის ინტერნაციონალურ–კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა. მანამდეც „ძნელბედობამ“ ისედაც „წარახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობა“ ... ლელთ ღუნასთან „ადრიდა წინას“ მოხვეურ კილოზე გაბმულ დიალოგში გამოჩნდა ილიას ყველაზე სანუკვარი ოცნება და მიზანი – ძველი საქართველოს ფუნდამენტზე „აღმოვშობოთ ახალი საქართველო“ ...

„მესამედასელი მდაბალბუნებოვანნი კაცნი“ რომ ამის გამკეთებლები არ იყვნენ, ცხადია მათთვის „ძველი საქართველო“ არ არსებობდა – ქართველი ერი ხომ რუსებმა შექმნეს...

წიწამურის შემდეგაც მესამედასელები ილიას აჩრდილს“ ებრძოდნენ ყველგან. ილიას ყველა მიმდევარი ჯერ მენშევიკებმა და მერე ბოლშევიკებმა არ გააკარეს ქვეყნის მმართველობას, მისი დისშილი კოტე აფხაზი დახვრიტეს – ისიც ილიასავით „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს, მეუღლე ოლღას, მთაწმინდაზე დასახლებულს სხვა ფიქრი არ ჰქონდა, გარდა ილიას საფლავის მოვლისა, ფილიპე მახარაძემ მეთვალთვალე დაუნიშნა და შიმშილით ამოხადა სული. შიმშილმა შეიწირა ივანე ჯავახიშვილის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ესეც ხომ „მდაბალბუნებოვნების“ ნიმუშია: საქართველოს ისტორიის კათედრიდან გაძევებული ივანე ჯავახიშვილის ნაცვლად, კათედრის გამგედ ფილიპე მახარაძე გახდა?! მდაბალ–ბუნებოვნობა“ და არაკაცობა მეტი რაღა გინდათ...

მაგრამ რას ვიზამთ – მესამედასური საქართველოს ხომ, „უცხო ბაძისა“ და პარადოქსების ის ქვეყანაა, სადაც ყველგან და ყველაფერში ეროვნულმა დევალვაცია განიცადა...

მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!

ამაშიც გარკვეული სიმბოლიკაა: ილია ჭავჭავაძის ამ ქვეყნად მოვლინება დაემთხვა სოლომონ დოდაშვილის ამ ქვეყნიდან წასვლას. ამიტომაც მიიჩნევდა თავს დოდაშვილის მემკვიდრედ. მისი უტეხი სული თითქოს გადასახლდა ილიას სხეულში და გააგრძელა შეუპოვარი ბრძოლა ახალ ისტორიულ გარემო–პირობებში. „ეროვნული მოძრაობის პირველი მედროშე და ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში“, – ასე განსაზღვრა ილიამ დოდაშვილის ადგილი და როლი. მართლაც, მისი „ლოგიკა“ ევროპული დონის თხზულება და ამასთან, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფილოსოფიური დასაბუთებაა ...

დოდაშვილის „სიტყვა–მოწოდება“ გულიდან ამოხეთქილი ამოძახილია – ქართველთა შორის მომძლავრებული ნიჰილიზმის პროტესტია, რომელიც შემდეგ მისმა მოსწავლე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დიდი ემოციური ძალით გამოხატა ყველა დროის ნიჰილისტთა წინააღმდეგ:

**„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვაგნებს უცხო ტომობა“.**

„ძნელბედობამ“ დამპყრობელი ძალისადმი შემგუებლობასა და მონობას შეგვაჩვია, თუმცა მაშინაც გამოჩნდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის მსგავსი შეურიგებელნიც. შეთქმულნიც ასეთი შეურიგებელნი იყვნენ და ამასთან, მათ პირველებმა წამოაყენეს ინგლისის მსგავსი „ერთგვარი რესპუბლიკის“ იდეა, რომელიც შემდგომ ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთ სახელმძღვანელო პრინციპად აქცია.

შეთქმულების ახალ აღმოჩენილი მასალები აშკარას ხდიან, რომ დოდაშვილი „რესპუბლიკელი“ კი არ იყო, როგორც ეს საბჭოური ტრაფარეტით დამკვიდრდა, არამედ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოს მომხრე და მქადაგებელია. მოსკოვიდან ფარულად ჩამოსულ ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად, მან პირველმა ქართულ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ აზროვნებაში ეს პროგრამულ მოთხოვნად აქცია. უბრალოდ, მაშინ ცნება – „კონსტიტუციური მონარქია“ არ არსებობდა ...

რაც შეეხება მცხეთის „საიდუმლო სერობაზე“ გაჟღერებულ დოდაშვილის „სიტყვა–მოწოდებას“ იგი თავისებურ პოლიტიკურ მანიფესტად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის, თავისებურ „ქართველთა მანიფესტად“.

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისი სჯული, თვისი ენა და ჩვეულება. ჰყავდა ყოველსა დროსა თვისი ხელმწიფე ...

**ხოლო აწ ჰხედავთა დამხოზასა და არარაობასა მამულისა ჩვენისა?!
ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოველის კაცისას?! ...**

რაისთვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა–პაპათა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არღა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არღა გვაქვს სიმხნე და ძალნი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამა–პაპათა?

„მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“

ებრძოდა რა მოძალებულ ნიჰილიზმს მაშინდელ კოლონიურ საქართველოში, ჩააგონებდა ყველას: ჩვენი ისტორია და კულტურა აღმატებული თუ არა, არავისზე ნაკლები არაა. ამიტომ წერს ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობით:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა სრულქმნილებისა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი““.

ნიჰილიზმმა კიდევ უფრო იმძლავრა, როცა რუსეთმა ფიზიკურადაც და სულიერადაც დაგვიმონა და დაგვიმორჩილა. XIX საუკუნის I ნახევრის განუწყვეტელი აჯანყებების ჩახშობით, რუსეთის მიერ წარმოებული დაუნდობელი სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმით, „კავკასიური ომებითა“ და „მუხაჯირობით“ რომ შევიდა ისტორიაში, სისხლით და ცრემლით მორწყო ორივე კავკასია – ჩრდილოეთიც და სამხრეთიც. მაშინ გაჩნდა ეს კაცთმოძულე იმპერიული ლოზუნგი – „კავკასია კავკასიელების გარეშე“! რასაც კავკასიელთა მეზრძოლი სული დაუპირისპირდა საპირისპირო ლოზუნგით – „კავკასია კავკასიელებისთვის!“. ილიას პოემა „ქართველის დედა“ ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი:

**„ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს!
კასპის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს
და ეგ ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება!
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წაუძღვება!“**

ისე, რომ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია მარტო ეროვნული მასშტაბის და ღირებულებებისა არაა, იგი საერთო გლობალური გააზრებაა ამ ღირებულებებისა არა მარტო ჩვენი რეგიონის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც, რამეთუ:

**„თავისუფლებავ შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი“...**

პოეზია და პოლიტოლოგია

პოეზიას ხშირად ცით მოვლენილ ნიჭად აღიარებენ, თვითონ ილიაც ხომ, თავის მისიის ღვთიურ საწყისებს უკავშირებს ლექსში – „პოეტი“ და მართლაც, სანამ პუბლიცისტიკაში ასახავდა თავისი „საერთო ნიადაგის“ პრინციპებს, პოეზიაში აჩვენა და გამოკვეთა ისინი. „აჩრდილი“ ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია...

ხშირად პოლიტიკასა და პოლიტოლოგიას განვიხილავთ რაღაც დიდი პოლიტიკური ტრაქტატებითა და თხზულებებით. მაინცდამაინც აქ ვეძებთ აწმყოს ანალიზისა თუ მომავლის ხედვის დასაბუთებას. არადა, მხატვრულ ნაწარმოებებში, კერძოდ კი, პოეზიაში მეტი თუ არა, არანაკლები სიბრძნე

შეიძლება ნახოს კაცმა. ისიც ხომ ფაქტია, რომ ილიას მსოფლმხედველობა სწორედ პოეტურ ქმნილებებში იღებს საწყისს. მისი „აჩრდილი“ ხომ „საერთო ნიადაგის“ თეორიის თავისებური პოეტური გადმოცემაა ...

ვინ დათვლის რამდენი წერილი, სტატია თუ მონოგრაფიაა მიძღვნილი წიწამურის ტრაგედიისადმი, გალაქტიონის პოეტურმა გენიამ კი, ორი სტრიქონით გადმოსცა მისი არსი და პოლიტიკური გააზრება. დიახაც, რომ „უცხო ბადის“ მესამე დასურმა იდეოლოგიამ დაამთავრა ეს „დიდი ეპოქა“ კარგახნობით. მაგრამ ამოცანაც ის არის, რომ აღვადგინოთ ილიას ეს „დიდი ეპოქა“ დღეს მაინც. ...

„ვეფხისტყაოსანიც“ რომ ავიღოთ, იქ სახელმწიფოს რა ნიშან-თვისებას არ მოძებნის კაცი. „გულანშაროს“ დახასიათებისას ხომ, რუსთაველი ფაქტიურად კონსტიტუციური მონარქიის ნიშნებს გადმოსცემს და გვისურათებს.

ანდა, ავიღოთ „სოციალური სახელმწიფოს“ თანამედროვე იდეალი, რუსთაველმა თავისი გენიალური მეტაფორით ერთ სტროფში რომ მოაქცია იგი:

**„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ–ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ,
ავის მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდნენ
შიგან მათთა სიბრძნისათა თხა და მგელი ერთად სძოვდნენ“.**

მარქსი კი, თავისი „კაპიტალით“ და მისი სხვადასხვა ინტერპრატიციებით, მათ შორის ჩვენებური მესამედასური და ბოლშევიკურით, გვიმტკიცებდნენ–კაპიტალისტის და პროლეტარის ინტერესები შეურიგებელნი არიან, მათ შორის ანტაგონიზმი მხოლოდ კლასობრივი ბრძოლით და პროლეტარიატის დიქტატურით უნდა გადაწყდეს, აქ „თხა და მგელის ერთად ძოვა“ გამორიცხებულია. ახლა შევხედოთ დღევანდელ ევროპასა და დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოს – იქ სწორედაც რომ ეს თხა და მგელის რუსთაველური მეტაფორა განხორციელდა ყველგან ...

ისე, რომ პოეზია მართლაც რომ ღვთით კურთხეული ნიჭია ყველგან და ყველა ეპოქაში, მათ შორის ქართულ სინამდვილეშიც. ავიღოთ თუნდაც, გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, ძნელია მასზე უკეთესად გადმოსცეს კაცმა „ძნელბედობის“ ტრაგიზმი...

ამიტომ მკითხველს უცნაურად არ მოეჩვენოს ჩვენი ცდაც. პოეტურად გავიაზროთ ბევრი რამ საქართველოს ისტორიის ძველი თუ ახალი ეპოქებიდან. რად ღირს პოეზია – პოლიტიკის ამ მიმართებაში. ამ 150 წლის წინ ილიას მიერ პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული“, გაჟღერებული საპროგრამო ანდერძი და მოწოდება ჩვენთვის:

ახლა პოემა „აჩრდილი“ რომ ავიღოთ, იქ ხომ, მთელი პოლიტიკური ფილოსოფიაა „საერთო ნიადაგის“ თეორიის პოეტური გადმოცემით. ჩვენ ამ თემას მერეც შევხებით.

ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჯვრები ვართ?! ...

ებრძოდა რა „რუს და სომეხ ცრუ მეცნიერთა ერთგვარი გუნდის“ მცდელობებს დაემცროთ და გაეყალბებინათ საქართველოს ისტორია, ილია წერს: მადლობა უფალს რომ ქართველ კაცს და ქართველ ხალხს ღმერთმა იმდენი სულიერი ძალა მისცა, რომ თავისი ღირსეული სიტყვა ეთქვა საერთო-საკაცობრიო განვითარებაში, დავაკვირდეთ „ქვათა ღაღადის“ შესავალს:

„ ... ერი, როგორც ისტორიის შედუღებულ ადამიანთა კრებული, ყველასაგან პატივცემული უნდა იყოს ... ყოველს ერს თავისი სულთათქმა აქვს, თავისი გულთათქმა და ყველა ამათის შეგონება და აუგად მოხსენიება, ერთი ისეთი სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ კაცს არ შეენდობა, არ ეპატიება.

... ღმერთმა დამიფაროს იმ ცოდვისაგან, რომ იქ მთელი ერი ვიგულისხმო, სადაც ცრუ-მეცნიერთა ერთგვარი გუნდია ცოდვილი. სომეხი ერი აქ არაფერ შუაშია ...“

შემდეგ მთელ ამ 100 გვერდიან პოლემიკურ შედეგში ილია ნაბიჯ-ნაბიჯ ამხელს და ააშკარავებს ამ „გუნდის“ ანტიქართულ მიზანმიმართულ ინსუნაცებს და ეპიგრამადაც მისებური მეტად მოსწრებული და სათქმელის შესატყვისი რუსთაველური სიბრძნე-შეგონება აქვს წამმღვარებული:

**„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი – მემოყვრება, მაცინარობს“.**

ილიას ძალა ისიცაა, რომ ტყუილ-უბრალოდ არც არაფერს ამბობდა, არც არაფერს წერდა. აქაც რუსი და სომეხი ავტორების ყველა ის დოკუმენტი მოჰყავს, ევროპის პრესაში მოსყიდული ჟურნალისტების მიერ დაწერილი ანტიქართული პასკვილები, სადაც „დამტკიცებულია“, რომ კავკასიაში ერთადერთი კულტურული და ინტელექტუალური ერი სომეხებია, ხოლო ეს ქართველები „უბრალო ჩალვადრები“, უპერსპექტივო და უკულტურო ერია. ვთქვათ, მართლაც ასეაო, თავისებური რკინისებური ლოგიკით კუთხეში იმწყვდევს ამ ცოდვილ „ცრუ-მეცნიერთა ერთგვარ გუნდს“ – ჩემი გინებით და აუგად ხსენებით შენ „რა ღირსება გემატება“?! ...

ძალიან ბევრს ჩვენთანაც და სხვაგანაც „ქვათა ღაღადი“ ანტისომხურ ნაწარმოებად მიაჩნია და ასეთად უნდა წარუდგინონ სხვათაც. ორიოდე წლის წინ „ეხო კავკაზამ“ მთელი ციკლი მიუძღვნა ამას ერთადერთი მზაკვრული მიზნით –

გაღვივოს ანტისომხური ისტერია ჩვენთან და ანტიქართული – სომხეთში. „გათიშე და იბატონეს“ იმპერიულ სამსახურში ჩამდგარი ეს რადიოსადგური სწორედ ამით გამოირჩევა დღესაც. მე ამ ანტიქართულ პასკვილს სპეციალური სტატიით გამოვეხმაურე, რომელიც სომხურ გაზეთშიც დაიბეჭდა („ეხო კავკაზა“ – ვის და რას ემსახურება იგი?)

„ქვათა ღაღადში“ არის ეს პასაჟიც – „ჩვენ რა წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ?!“. მართლაცდა, ნუთუ შესაძლებელია ჩვენი ისტორიის პატრონ ხალხს და ქვეყანას ასე უკანონოდ და უპრაკუნოდ შეულახო თავისი ეროვნული ღირსება?!...

ჩვენ რომ მართლაც „წუთისოფლის ნაბიჭვრები არ ვართ“ ამის ყველაზე ნათელი მაგალითი პეტრე იბერია, საოცარი მაგალითი, თანაც ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, „დაუჯერებელი“...

ჩვენ და მსოფლიო: „თეოლოგიის მიღმა“ ...

დღეს, როცა კრიზისით მოცული მსოფლიო ეჭვის თვალთ უყურებს თავის მომავალს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პეტრე იბერის მიერ ამ 1500 წლის წინ პალესტინაში მიებული „გონების განწმენდით კაცთა ხსნის“ უნივერსალური ფორმულა. კაცობრიობას დღეს სწორედ ეს მისეული „გონების განწმენდის“ დილემა უდგას სამომავლო არსებობა – განვითარებისთვის. ამ ეჭვსა და დილემაზე დღეს ბევრი წერს დასავლეთის სოციოლოგიაში...

ეს ტერმინი – „თეოლოგიის მიღმა“, ჩემი არაა. იგი ამერიკელ მკვლევარს კორნელია ჰორნს ეკუთვნის. სიზუსტისათვის მოვიყვან მისი შრომის სრულ დასათაურებას, რაზეც მან 2001 წელს დისერტაცია დაიცვა ამერიკულ კათოლიკურ უნივერსიტეტში:

„თეოლოგიის მიღმა: პეტრე იბერი ქრისტოლოგიურ დაპირისპირებებში V საუკუნის პალესტინაში“. ეს დისერტაცია მან დაიცვა წლების მანძილზე მოპოვებული ძველი ბერძნული, სირიული, ლათინური და არაბული წყაროების ანალიზით. დღეისთვის კი, მისი ცალკეული თავები მონოგრაფიებადაც გამოსცა...

დიახ, ბატონებო, ევროპასა და ამერიკაში ახსოვთ, აღელვებთ და იკვლევენ პეტრე იბერს, მის ცხოვრებასა და ღვაწლს ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში, ჩვენ კი „დუმილით“ ვხვდებით ყოველივე ამას. ეს ტერმინიც – „დუმილი“ ივანე ჯავახიშვილიდან ავიღე, როცა გაკვირვებით წერს – „დაუჯერებელია პეტრე იბერზე ასეთი დუმილი საქართველოში“...

თვითონვე ხსნის ამას, როცა „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში ქართულ–სომხური ეკლესიების განხეთქილებას ეხება: „**მონოფიზიტად**“ და „**მწვალებლად**“ შერაცხული პეტრე იბერი ამ განხეთქილებას შეეწირა და ეწირება დღესაც. ამ ანტიქართულ პასკვილს, რომელიც რუსეთმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო „**ურყევი ღოგმის**“ რანგში აიყვანა, მონურად დავემორჩილეთ. თაობა თაობას მისდევს, საუკუნე საუკუნეს, პრობლემა კი, პრობლემად რჩება. თუ რატომ და რისთვის, ეს კიდევ ცალკე საკითხავია... ესეც ჭკუისსასწავლი იქნება, თუ მას გამოვიკვლევთ...

მეცნიერებას, ჭეშმარიტების ძიებას ერთი ისეთი თვისება აქვს, რომელიც არავის და არაფერს არ ემორჩილება და ამიტომაც სიმართლევც თავის გზა–კვალს არასოდეს კარგავს – ოდესმე იგი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის... ჩვენს დალოცვილ ფოლკლორშიც აისახა ეს – „სამართალმა პური ჭამა“ და რუსთაველის პოემაშიც – „ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლადა!“...

და აი, „ნუცუბიძე – ჰონიგმანის ჰიპოთეზა“ 70 წლის შემდეგ ჭეშმარიტებად იქცა: დღეს თითქმის ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ე.წ. „არეოპაგიკული შრომები“, რომელმაც სათავე დაუდო „ევროპულ რენესანსს“, მის კულტურასა და ცივილიზაციას, პეტრე იბერის შემოქმედებაა. ჰორნის ზემოდმოხსენიებული დისერტაციაც ამის ნაყოფია – ჭეშმარიტების ძიებაში ისიც პეტრე იბერამდე მივიდა... ისე, რომ ფსევდო–დიონისეს „არეოპაგიტიკა“ უნდა შეიცვალოს „**იბერიკით**“ – მისი ნამდვილი სახელით. ასეთია აქაც ჭეშმარიტების მოთხოვნა დღეს. ჭეშმარიტებას კი, ვერცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ აღუდგება წინ...

ჩვენ? – იკითხავს ალბათ, მკითხველი, ქართული მეცნიერება და საზოგადოება რით პასუხობს ყოველივე ამას?... სამწუხაროდ, ისევ ძველებურად სომხურ–რუსული „ჭეშმარიტებით“ – პეტრე იბერი „**მონოფიზიტი მწვალებელია**“, – რაც შეიძლება შორს იგი ჩვენგან და ჩვენც მისგან...

XX საუკუნის დასაწყისში დადგა ერთი პერიოდი, როცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას, კირიონ II და ამბროსი ხელაიამ სცადეს მისი წმინდანის უფლებებში აღდგენა, მაგრამ ამოდ – „**მწვალებელი პეტრე მწვალებლად**“ დარჩა დღემდე – მეტი პარადოქსი რაღა გინდათ: ჭეშმარიტად, რომ – „ქართველზე დიდი მტერი ქართველს არა ჰყავს“...

ჰორნის მსგავსად, ჩვენი ამ ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ პეტრე იბერის პიროვნება „**თეოლოგიის მიღმა**“, ანუ, იმად, რაც მისი ღვაწლის არსი და აზრი იყო პალესტინაში მოღვაწეობისას. ჩვენ ამას გავაკეთებთ იმ ნაშრომებზე დაყრდნობით, რომლებმაც მისი ბიოგრაფების წყალობით ჩვენამდე მოაღწიეს. ამასთან ამჯერად, ამას „**მოკლედ თქმის**“ ფორმას – თეზისების სახეს მივცემთ, „**გრძლად თქმას**“ კი სამომავლოდ გადავდებთ – პეტრე იბერი ხომ, ამოუწურავი თემა და სიბრძნის წყაროა...

ილია და ებრაელი ერი

ილია ჭავჭავაძემ არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ანტისემიტიზმის პრობლემებს რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. ეს განსაკუთრებით ეხება „ივერიის“ ცნობილ რუბრიკებს – „შინაური მიმოხილვა“ და „საპოლიტიკო მიმოხილვა“. გაზეთის ამ რუბრიკებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები იმ დევნა-შევიწროებაზე, რასაც ებრაელი ერი განიცდიდა მაშინ. აქ ილია თავისებურად იმეორებს V საუკუნის პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერს...

ეს ის ეპოქაა, როცა ახლო აღმოსავლეთის და კერძოდ კი, პალესტინის პრობლემებმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა I მსოფლიო ომის წინ როგორც „ანტანტის“, ისე „სამთა კავშირის“ პოლიტიკაში. შავი ზღვიდან ხმელთაშუაზღვაში გასასვლელი სრუტეების საკითხი რუსეთისა და ევროპის ქვეყნების „საჯილდაო ქვა“ გახდა. სტატიაში – „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუაზღვის გზების საკითხი“, ილია წერს:

„იყოს თუ არა ევროპაში ოსმალეთი“ – აი, უმთავრესი ძარღვი აღმოსავლეთის საქმისა, რომელიც ეს ნახევარი საუკუნეზე მეტი ხანია ევროპას არ ასვენებს... ამას მოსდევს მეორე არანაკლებ რთული განსაკითხი – ვინ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი აქ?...”

სუეცის არხის გაჭრამ ხმელთაშუაზღვიდან არაბეთის ზღვისა და ინდოეთის ოკეანისკენ კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა წინააღმდეგობანი მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოთამაშეებს შორის, რასაც როგორც წესი „მსხვერპლად ეწირებიან უმწეოდ დარჩენილი მცირე ერები“. სწორედ ამით ხსნის ილია „ებრაელთა საკითხის“ გამწვავებას XX საუკუნის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, რამაც შემდეგში მილიონობით ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. ილია თითქოს გრძნობდა ებრაელი ერის ამ დიდ ტრაგედიას და წინასწარ აფრთხილებდა და მოუწოდებდა „მოაზროვნე კაცობრიობას“, თავიდან აეცილებინა ეს „სამარცხვინო საქმე“. ამ იდეით არის გაჟღენთილი მისი სტატია – „ებრაელთა საკითხზე“:

„არცერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესღაც დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაზნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე, ჩათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდათ ყოველგვარი ტანჯვა და წვალება. აზიაში და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურს ერსა...”

სდევნიდნენ ებრაელებს – ვითარცა ერს, სდევნიდნენ – ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მალიარებელთ, სდევნიდნენ –

ვითარცა უსამართლო ეკონომიური წეს-წყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელი ხან ერთ საბუთს აძლევდნენ უპირატესობას და ხან მეორეს და არასოდეს დამცხრალა სიძულვილი ებრაელებისადმი“.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ილიას თვალწინ ანტისემიტიზმი სულ უფრო საშიშ და აგრესიულ სახეს იღებდა არა მარტო რუსეთში, არამედ თვით ცივილიზაციის ლიდერ ევროპულ ქვეყნებშიც. ამიტომ წერს თავისებური ირონიით:

„**ეხლაც-კი, როდესაც ესოდენ ჰღაღადებენ კაცთმოყვარეობაზე, სდევნიან... იქაც-კი, სადაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულვილს და დაუნდობლობას. ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ეგრეთწოდებული ანტისემიტიური მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი. ნამეტნავად ძლიერია იგი მოძრაობა ავსტრიასა და გერმანიაში“.**

ილიასთვის დიდი ეროვნული ღირსებისა და სიამაყის საგანია ის, რომ არათუ ასეთი საყოველთაო სიძულვილის ჟამს, არამედ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ანტისემიტიზმის გამოვლენის ოდნავ კვალსაც ვერ ნახავს კაცი ჩვენთან. ტოლერანტობა, სხვა ერისა და რელიგიის შემწყნარებლობა და პატივისცემა ქართველი ერის ისტორიული განვითარების თანხვედრი პროცესია, მისი „**დიდბუნებოვანების“** და ფსიქო-გენეტიკური კოდის ერთ-ერთი დიდი ნიშან-თვისება და მახასიათებელია ოდითგან.

ილიას უყვარდა ქართული ენის ლანგვისტიკური ძიებებით გარკვეული დასკვნების გაკეთება, რამეთუ – „ენა ყველაზე უტყუარი საბუთია ერის ისტორიული წიალ-სვლების დასადგენად და გამოსაკვლევად... აი, მაგალითადო, წერს იგი, სიტყვა – „**გარდაცვალება“**, ნუთუ არაფერს გვეუბნება იგი იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ და აღიქვავდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების არსსა და დანიშნულებას?... სიტყვებში – „**წყალ“**–**ობა,სა–**„**წყალ“**–**ობელი,მ–**„**წყალ“**–**ობელი...,** ყველგან, სადაც ფუძედ არის „**წყალ“**–**ი,** იგი იმის საბუთად მიიჩნევა, რომ ქართველების პირვანდელი საცხოვრისი სამხრეთით, პალესტინის მიწა-წყალია, სადაც მართლაც წყალი მუდამ წყალობა და მონატრებაა. „**ხევსური“** – „**ხევის ურია“** ასეთ ლინგვისტიკურ გააზრებასაც ვხვდებით ილიასთან და ხევსურების ბევრ ძველ ტრადიციასაც, მაგალითად ე.წ. „**ფრჩხილის კვეთას“**, თუ „**ულვაშის ღერის“** ვალის სანაცვლოდ საბუთად მიცემის ტრადიციას ამას უკავშირებდა... ივანე ჯავახიშვილი აღფრთოვანებული იყო ილიას ასეთი ლინგვისტიკური ძიებებით...“

ერთი სიტყვით, ებრაელი ერის ისტორიისა და თანამედროვე პრობლემებზე ილიას კვლევა და დაკვირვებანი მიუთითებენ იმაზე, თუ რა აქტუალური იყო მისთვის ეს პრობლემები, როგორ განიცდიდა და გულთან

ახლოს მიჰქონდა ებრაელი ერის სამომავლო ბედ–იღბალი. ქართულ–ებრაული ურთიერთობების მეტად ხანგრძლივი ისტორიული ფესვები და წიაღსვლები მისთვის ერებს შორის ურთიერთობის სანიმუშო მაგალითია. და ეს მაშინ, როცა უკვე ილიას ეპოქაში საყოველთაო სახეს იღებს ის საშინელი სენი, რასაც მილიონობით ებრაელი შეეწირა შემდგომ...

აქ, ჩვენთან კი, ებრაელი კაცი „უძმოთა ძმა“ გახდა. აქ ნახა მან ნაცვლად სიძულვილისა, სიყვარული და „სიკეთე მშვიდობისმყოფელობისა“ ამ მშვიდობისმყოფელობას უსურვებს ილია სხვა ხალხებსაც. ქართულ–ებრაული ერთობლივი ფოლკლორიდან ისტორიულად შობილმა და თაობიდან თაობაში გადმოცემულმა ამ ორმა დიდმა სიტყვამ – „უძმოთა ძმა“, მიზიდავს პოეტურადაც გამომეხატა ეს ყოველივე, რომლის ერთ ფრაგმენტს აქ შემოგთავაზებთ:

არავინ იცის,
პირველად ვინ თქვა
ეს საოცარი –
„უძმოთა ძმა ხარ!“
ერთი კი, ვიცი,
სად ითქვა იგი...
აბა, თქვით ახლა
სხვაგან სად ნახავთ
ამ საოცარ თქმას, –
„უძმოთა ძმა ხარ!“...

ერთმა ღმერთმა იცოდეს, საით წავა კაცობრიობის განვითარება ამ და შემდგომ საუკუნეებში, მაგრამ ერთი კი ჩემთვის ნათელია – მართლაც რომ უნიკალურ ქართულ–ებრაულ ურთიერთობებს თავისი გაგრძელება მუდამ ექნება. ეს მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა ორივე ერმა, მადლობა ღმერთს, ბოლოსდაბოლოს „თავის თავის ყუდნება“ შეძლეს. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება მათ შორის ძმობისა და თანამშრომლობის პერსპექტივები...

პეტრე იბერი და პალესტინა

ამ მხრივ, პეტრე იბერის 4 შრომიდან და 10 ეპისტოლედან ყველაზე მთავარი პირველი შრომაა – „საღმრთოთა სახელთათვის“. ჩვენც შევეცდებით მასზე და აგრეთვე, პეტრე იბერის სხვა შრომებზე დაყრდნობით ვაჩვენოთ იგი „თეოლოგიის მიღმა“ – მისი ადგილი და როლი ევროპულ და საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში. ეს პეტრე იბერს კი არ ჭირდება, ეს პირველ რიგში ჩვენ წაგვადგება, რომ ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, ვაჩვენოთ ყველას –

„ქართველობა წუთისოფლის ნაბიჯვრები როდი ვართ – ამქვეყნად ჩვენც გვიცხოვრია, გვიღვაწია, ამ წუთისოფლისთვის კვალი ჩვენც დაგვიტყვია“...

ესეც თავისებური სიმბოლიკა იქნება დღევანდელი საქართველოსთვის: ჩვენი დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური სტრატეგიის პირობებში, პეტრე იბერი ერთგული მეგზური და დროშაა ჩვენთვის: დაე, ევროპამ გაიგოს, რომ იქ ცარიელი ხელებით არ მივდივართ. ესეც სიმბოლურია, რომ პეტრე იბერის დაბრუნება – რეაბილიტაცია უკავშირდება ერთი მხრივ, ქართველი მეცნიერის – შალვა ნუცუბიძის, მეორე მხრივ კი, გერმანელის – ერნესტ ჰონიგმანის სახელებს. საქართველო და ევროპა აქაც ურთიერთშემავსებელნი არიან, პეტრე იბერი კი, – „კეთილი მომავლის“ სიმბოლო და იდეური წყარო...

ესეც ბურუსით მოცული საკითხია, რომელსაც ცალკე დიდი კვლევა–ძიება სჭირდება: **რამ წაიყვანა იგი იბერიიდან პალესტინაში?.** პეტრე იბერის პიროვნების გაგებისათვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს...

შალვა ნუცუბიძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ როდესაც 12 წლის მეფისწული აღსაზრდელად, უფრო სწორედ კი, მძევლად ბიზანტიის იმპერატორის კარზე მოხვდა, ამ ასაკში ბუნებრივია, მოზარდის ფიზიკურ და სულიერ ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნები ხდებოდა, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი მომავალი ცხოვრება. ბ–ნი შალვა კონსტანტინეპოლში ახალგაზრდა მურვანოსის ცხოვრებას უკავშირებს სავარაუდოდ „სასიყვარულო თავგადასავლებს იმპერატორის კარის ლამაზმანებთან“, რაც ჩვეულებრივი მოვლენაცაა ამ ასაკში...

ეს რათქმაუნდა, ადვილი სავარაუდებელია, მაგრამ კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში „მეუდაბნოედ“ წასვლას, მურვანოსის „პეტრე იბერად“ მონათვლას და ღვთისმსახურებისადმი თავის შეწირვას მარტო ამით ვერ ავხსნით: ამას უთუოდ უფრო ღრმა სულიერი მიზეზებიც ჰქონდა, თუნდაც ის, რომ მან ალბათ, იცოდა ღვთისადმი უშვილო მამის აღთქმა – შვილს თუ მადირსებ, მას შენს სახელს და დიდებას შევწირავო... ასე თუ ისე, იოანე ლაზთან ერთად პეტრე იბერის საეკლესიო–სამონასტრო მოღვაწეობა პალესტინაში უდავოა იმ ეპოქის სულიერი ცხოვრების თვისებრივ ცვლილებებს უკავშირდება – ქრისტიანობის გამარჯვებას წინა აზიასა და ევროპაში და მათთან ერთად, საქართველოშიც...

კაცის ცხოვრებაში გარდაქმნა – ფერისცვალება რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს, მთავარი ხომ, მაინც შედეგია – რა მოჰყვა ამას მის პირად ცხოვრებაშიც და ერისა და ქვეყნის გრანვიტარებაშიც. ამ მიმართებით პეტრე იბერის ცხოვრებამ პალესტინაში, მას შემდეგ რაც იგი იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე „პეტრე იბერად“ მოინათლა, მის პირად ცხოვრებასაც და საერო – საქვეყნო ცხოვრებასაც ღრმა კვალი დააჩნია, კვალი, რომელმაც არსებითად გარდაქმნა ვითარება იქ, იმ პატარა ლოკალში, რომელიც მაშინაც, ისე როგორც დღეს, ათასნაირი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე და გლობალური განზომილებითაც –

პალესტინის საზღვრების იქით ფორმირების პროცესში მყოფ მაშინდელ ევროპას და ქრისტიანული ეპოქის „ახალ მსოფლიო წესრიგსაც“ ...

სხვა უფრო დიდი ფუნქცია და დანიშნულება ამქვეყნად მოსულ კაცს არა აქვს: თუკი მას შემომქმედმა იმდენი ნიჭი და უნარი მისცა, რომ რაიმე ზეგავლენა მოახდინოს კაცობრიობის განვითარებას, ეს ყველაზე დიდი ისტორიული მისიაა შემოქმედისაგან მისთვის განწესებული: პეტრე იბერის მემკვიდრეობა სწორედ ასეთი მისიის მატარებელია – საუკუნეებში ერთეულებს თუ არგუნებს შემოქმედი ამას წილად...

პეტრე იბერიც ასეთ გამორჩეულ ერთეულთა რიგებს განეკუთვნება და ეს უნდა გვეამაყებოდეს მის მემკვიდრეებს, რამეთუ ეს ყველაფერი ჩვენი ერის პოტენციალს და ცხოველმყოფელობას უსვავს ხაზს...

პეტრე იბერი და კირიონ II

აქ უპრიანია გავიხსენოთ კირიონ II, – XIX – XX საუკუნეების ერთ–ერთი დიდი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, პეტრე იბერივით ისიც ჩვენგან ასე უმართებულოდ მივიწყებული. ესეც ბევრ საზრდოს მოგვცემს განსჯისა და ანალიზისთვის „უცხოთმოყვარულ ქართველებს“...

პეტრე იბერი „ორ რომს“ მოესწრო, „მესამე რომს“ კი, კირიონ II. ამ მხრივ, პირველი, ნამდვილი რომი გაცილებით კეთილგანწყობილი იყო ჩვენდამი – აკი, „ბარბაროსი ხალხებისაგან“ განსხვავებით, „მეგობრებს“ გვიწოდებდნენ ქართველებს და ფარსმან ქველსაც დიდი ცხენიანი ძეგლი დაუდგეს რომში...

კონსტანტინეპოლი–ბიზანტია მეგობრულად კი არა, მტრულად მოგვეკიდა თავიდანვე. თავი მართლაც „მეორე რომად“ და „მარადიულ ქალაქად“ მიაჩნდა – ყველას და ყველაფრის მძლეველად. სულ იმის ცდაში იყო როგორ მიეტაცებინა კოლხეთიც და იბერიაც, მთელი კავკასია და შავიზღვისპირეთი, პალესტინა და მცირე აზია, ბოლოს, მიტაცებული კი, თვითონ გახდა და სულიც განუტევა...

„მესამე რომი“ კი, თავისი ბიზანტიური ორთავიანი არწივით კირიონ II და საქართველოს ბედისწერა გახდა. თავიდანვე მტრობისა და შურ–ღვარძლიანობის გრძნობით შემოაბიჯეს საქართველოში. „ქართლის ცხოვრებაც“ და ივანე ჯავახიშვილიც ხაზს უსვავენ როგორ შემოესივნენ XVI საუკუნიდან ბერძენი და რუსი მღვდლები საქართველოს. მერე და მერე რუსები უფრო გააქტიურდნენ და ჭკუასაც გვარიგებდნენ ქრისტიანული რეგალიების „გასასწორებლად“, თითქოსდა ქრისტიანობა მათ მიეღოთ ჩვენზე 600 და მეტი წლით ადრე?!...

რას ვიზამთ, ყველა იმპერიას ავიწყდება ერთი მარტივი ჭეშმარიტება – იმპერიები იმიტომ იქმნებიან, რომ მერე უნდა დაიშალონ. „ოქროს ურდოდან“ გამოჩეკილი რუსეთის იმპერიაც გამონაკლისი არაა...

კირიონ II ამ მხრივაც მდიდარ მასალას გვამღევს: რუსული სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, როგორც ქართველი, სად არ ატარეს, ლამის იმპერიის ყველა ეპარქია შემოატარეს – ყველაფერი ქართული რომ ამოემანათათ მისი სულიდან...

ზოგი ჭირი მარგებელია და იმპერიის არქივებსა და წიგნსაცავებში უზარმაზარ დოკუმენტურ მასალას მიაკვლია. ეს მასალა დღესაც ფასდაუდებელია ჩვენთვის, მაგრამ ავტორთან ერთად, სამწუხაროდ, ესეც მივიწყებული...

ასე გაჩნდა 1910 წელს ფუნდამენტალური გამოკვლევა – „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, – საბრალდებულო დასკვნა ათასწიერი სიყალბეებისა, ილიას „ქვათა ღაღადისა“ არ იყოს „რუს და სომეხ ცრუმეცნიერთა ერთგვარი გუნდისა“. მომავლისათვის ყველაფერს ამას ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა უნდა, ახლა კი, გვინდა შევჩერდეთ მასზე პეტრე იბერის მიმართებაში.

პეტრე იბერზე ავტორს მთელი პირველი თავი აქვს მიძღვნილი და ნათლად აჩვენებს მის მიმართ უსამართლობას იმ „ერთგვარ გუნდთან“ ერთად, თვითონ ჩვენი გულგრილობის, დაუდევრობისა თუ პირდაპირ რომ ვთქვათ, გამყიდველობისაც თვითონ ამ „გუნდის“ მოსყიდვის გზით. ესეც კვლევის ცალკე თემაა, რაც ჯერ კიდევ VII საუკუნიდან ქართულ – სომხური ეკლესიების განხეთქილებიდან იწყება, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად მაინც ღირს გავიხსენოთ ის რუსთაველური შეგონება, რაც ილიამ ეპიგრამად წაუმძღვარა „ქვათა ღაღადს“:

**„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა – მტერსა ვუფროთხი, მემოყვრება, მაცინარობს“.**

ილიასთან პარალელები აქ ტყუილა არ კეთდება – არ ვიცი, შეიძლება ბევრს გადაჭარბებდად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტს საით წაუვალთ: ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, ქართული ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების, ეროვნული სულისა და ისტორიის გათავისება–გაცნობიერებაში კირიონ II პირველი ადგილი უნდა მიენიჭოს. მისგან ისიც მტკიცდება, რომ ნამდვილი მწვალებლები არიან ისინი, რომლებმაც VII საუკუნიდან მოყოლებული შექმნეს მითი პეტრე იბერის მონოფიზიტობა – მწვალებლობაზე და ჩვენც ერთგულად ვემორჩილებით მას, ერთი–ორი გამონაკლისის გარდა...

ბევრ ერს თავის გამოსაჩენი საამაყო ერისკაცი არა ჰყავს და ძალით იგონებენ ასეთს, ჩვენ კი, მადლობა ღმერთს, გამოსაგონი არაფერი გვჭირს... მაგრამ ესეც ხომ, ფაქტია – ნაკლებად ვიწუხებთ თავს მათ წარმოსაჩენად...

წიწამურიდან 11 წლის შემდეგ, კირიონ II მოკლეს, მოკლეს ვერაგულად მარტყოფში სალოცავად წასული საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის პირველი კათალიკოს – პატრიარქი: არ აპატიეს „ცრუ–მეცნიერთა“ მხილება არც იმპერიის სპეცსამსახურებმა და არც მათმა ადგილობრივმა მარიონეტებმა. ამდენად, მკვლელობის მოტივიც სრულიად ნათელია, ახლა დამკვეთ–შემსრულებელთა გამოვლენაა საჭირო...

მალე 100 წელი გავა ამ საზარელი მკვლელობიდან და ჩვენი ვალია ფარდა ავხადოთ საქართველოს ისტორიის ამ კიდევ ერთ საიდუმლოს. ასეთი მკვლელობა შემთხვევით არ ხდება და მისი შემკვეთების და შემსრულებლების გამოვლენა თვითონ ჩვენ და ჩვენ ქვეყანას სჭირდება, რომ სამართალმა აქაც „პური ჭამოს“...

არ ვიცი რა მოტივით, მაგრამ ესეც ხომ, ფაქტია და მასაც ვერავინ ვერსად გავექცევით: არც ნოე ჟორდანიას მენშევიკურმა და არც მერე მესამედასელთა ბოლშევიკურმა მთავრობამ არაფერი გააკეთეს მკვლელობის გასახსნელად. მაგრამ ნუთუ დღესაც მესამედასური საქართველო ვართ, რომ ეს ბნელით მოცული საქმე გაუხსნელია კვლავ?! არა მგონია, რომ XX საუკუნიდან გადმოყოლილი მესამედასური სინდრომი მთელ ამ ახალ საუკუნესაც გაჰყვეს, ახალ – ახალი თაობები ამას არ დაუშვებენ...

ესეც არ იყოს, ღვთის წინაშეც რომ პირნათლები ვიყოთ, ეს შავი ლაქა აუცილებლად უნდა ჩამოვირეცხოთ. კიდევ ვიმეორებთ, კირიონ II გარეშე XIX–XX საუკუნეების სრულყოფილი აღქმა შეუძლებელია, ისე როგორც პეტრე იბერის ღვაწლისა და ესეც გვავალდებულებს მისი ტრაგიკული მკვლელობის გახსნას...

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“

პეტრე იბერის შრომებზე უბრალო თვალის გადავლებაც კი ამ ფიქრებს აღუძრავს კაცს:

ავტორს ისეთი მიზანი დაუსახავს, რომელსაც კაცობრიობის განვითარების შემდგომ ისტორიულ ეპოქებშიც არასოდეს დაეკარგება აქტუალობა. პირიქით, რაც უფრო შორს წავა ეს განვითარება შეუცნობადის შეცნობისაკენ, მით უფრო გონება კაცისა მეტად დაკავდება იმ კითხვაზე პასუხისთვის, რასაც პეტრე იბერი სვავს და რაც მერე რუსთაველმა პოეტურად ასე გამოხატა – „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, იგი საქმე არ იქნების“...

ამას პროზაულად და საღვთო ენაზე კი პეტრე იბერი ამნაირად ასაბუთებს: „... ვითარცა მიუწვდომელ და უხილავ არიან გრძნობადთა საცნაურნი და აგებულებანი ჩვენნი... ეგრეთვე ზემთა იქნების მიზეზთა ყოველთა არსი“.

მთელი ეს თავი – „სადმრთოთა სახელთათვის“, პეტრე იბერის ცდაა ჩასწვდეს და გაითავისოს „სიტყვაი ღვთისა“ საშვილიშვილოდ გადასაცემად, რამეთუ „სიტყვაი იგი საცნაურს ხდის ჭემშარიტს“. მაგრამ პეტრე იბერმა ისიც იცის, რომ ეს „სიტყვა“ არ არის ადვილი მისაწვდომი და გასაგები... მოწოდებაც შესაბამისია მისი ჩვენდამი, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ „სიტყვას პირველად“ ემსახურება ყველგან, სადაც გინდა არ იყოს „ღვთის სახლი“ პალესტინასა თუ მის ფარგლებს გარეთ...

მომდევნო II და III თავები სწორედ „ღვთის სიტყვის“ ამ სამსახურს ეძღვნება, იმას, თუ როგორ უნდა შევძლოთ „სკნელი, ზესკნელი, ქვესკნელის კანონთა ფლობა“ და რაც მთავარია, მისი გადაცემა მრევლისთვის, რომ ღვთის მსახურებმა ეს „ღვთის სიტყვა“ გასაგები გახადონ ყველასათვის. თვითონაც ხომ, დაუზარელად დადიოდა თავისსავე აშენებულ ეკლესია-მონასტრებში პალესტინასა და ლაზაში, იორდანიასა და სირიაში, სადაც მრევლი გასაოცარი სიყვარულით, ნდობით და რწმენით ხვდებოდა მის ქადაგებებს...

ეს სიყვარული, ნდობა და რწმენა იყო მისდამი, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა გამხდარიყო მაიუმის ეპისკოპოსი, პირდაპირ იძულებით „დასვეს იგი ეპისკოპოსსა ტახტად“. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ პეტრე იბერს არ აინტერესებდა და არაფრად უღირდა ნებისმიერი საერო თუ საეკლესიო თანამდებობა და რეგალიები. მისთვის მთავარი „ზეშთას კანონების“ წვდომა და დაუფლებაა, რამეთუ ეს მიგვიყვანს იმის გაგებამდე თუ „რა სწადია ღმერთს...“.

„ვინაითგან ნათლად ვხედავდეთ ლამპართაგან სახლსა შინა მყოფად გარჩევად, ასევე სიტყვა ღვთისა ფლობა ლამპრად გვაძლევს გარჩევად ყოველთა არსთა ცათა შინა... ხოლო კვალად ვიტყვი თქვენდა: არარაი არს უფრორე დიდი ძალა თვინიერ სიტყვისა და ღვთის ნებისა“...

მაგრამ პეტრე იბერის ძალა მარტო „სიტყვის“ ანუ, ღვთისა და მისი კანონების ფლობაში არაა. იგი ცდილობს „ზეშთას ეს კანონები“ დედამიწაზე ჩამოიტანოს და კაცთა სამსახურში ჩააყენოს: კაცი – კაცობრიობა მისთვის ის ყველაზე დიდი ღირებულებაა, რომლის სამსახურზე უფრო დიდი მოვალეობა მისთვის არ არსებობს...

მაგრამ სწორედ აქ ისმება კითხვა – როგორ, რა გზით და საშუალებებით შეიძლება ამ მოვალეობის აღსრულება? როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ამქვეყნად და ამ წუთისოფლად ისე, რომ ხიდი გადოს „ზეშთას კანონებთან და ღვთის სიტყვასთან“ დედამიწიდან მასთან გასაერთიანებლად?...

აი, კითხვები, რომელთა პასუხსაც შესწირა თავისი სიცოცხლე მან, როცა გადაწყვიტა კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარიდან პალესტინაში წასვლა. ვერავინ გაიგო მაშინ მისი ეს ნაბიჯი და დღესაც კაციშვილი ვერავინ გაიგებს, თუ რას განიცდიდა და რას ფიქრობდა იგი, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა... ეს ყველაფერი ღრმა და უძირო „სადმრთოი ნისლში“ არის ჩამირული...

„რამ არს საღმრთო ნისლი?“

ეს „შრომების“ IV თავის ერთ-ერთი ქვეთავის დასათავურებაა. მე ის „იბერიკის“ ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო ნაწილად მიმაჩნია, სადაც პეტრე იბერს „ზეშთას კანონების“ ციდან მიწაზე შეცნობა-გათავისების დიდი იდეა აქვს გადმოცემული: ყველას გამოგვიცდია, როცა მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავიანი ცისთვის გვიყურებია, რა დაუოკებელი გრძნობა გეუფლება კაცს ჩაწვდეს „ზეშთას“ და მის კანონებს, ამ უკიდევანო სამყაროში გარს რომ გვარტყია...

მაგრამ როცა ნისლია? თანაც ისეთი, თვალი რომ უძღურია გაკვეთოს იგი? რას მალავს ნისლი, თანაც „საღმრთო ნისლი“, ვინ არის ამის გამგები?...

ეტყობა ეს ფსიქიკური შეგრძნება – განწყობა ეუფლებოდა პეტრე იბერს, როცა „იბერიკაში“ ეს საოცარი და საიდუმლოებით მოფენილი „საღვთო ნისლი“ შემოგვთავაზა. ის ხომ საერთოდ, მეტაფორების დიდოსტატია – ისეთ საოცარ მეტაფორებს ხმარობს „შრომებშიც“ და უფრო მეტად კი, „ეპისტოლეებში“, კაცს რომ არ მოუვა თავში. გარკვეულ ლინგვისტიკურ ანალიზს თუ ჩავატარებთ ამ მიმართებით, შეიძლება დავასკვნათ: მარტო ამ ანალიზით (თუ ოდესმე სერიოზულად ჩატარდება ეს, ამითაც დიდი საქმე გაკეთდება), დავრწმუნდებით, თუ რა დიდი ძალა, სიღრმე და გაქანება ჰქონდა მის ინტელექტს და აზროვნებას, როცა იგი საიდუმლოთა წვდომის სურვილით დაიმუხტებოდა ჟამიდან ჟამამდე პალესტინის უკიდევანო ცის შემხედვარე...

„სამებაო ზეშთაარსებისაო და ზეშთაღმერთთაო და ზეშთასახიერებისაო, რომელ ხარ ზედამხედველ ქრისტიანეთა ღმრთივ განბრძენებისად, წარგმართე ჩვენ ზეშთასაცნაურობისად... საიდუმლონი ნათელნი უზეშთაესანი უხილავნი საჩინონი ჰქმენ“.

„უხილავნი საჩინონი“ – აი, რას ესწრაფვის პეტრე იბერი, რამეთუ სხვანირად „საღვთო ნისლით“ მარადიულად „უჩინონი იქმნებიან კაცთა თვალისა და გონებისათვის“. მისთვის „საღვთო ნისლის“ გათავისება გახდა ის, რასაც მერე კანტმა „ტრანსცენდენტალური გონება“ უწოდა, ქართულად კი, ოდითგანვე „მიღმურობა“ ჰქვია.

პლატონის დიალოგიც – „ფედონი“, ამ ჩვენი „მიღმურობის“ ანარეკლია, განსაკუთრებით იქ, სადაც სულის და სხეულის დაპირისპირებაა გადმოცემული. ეს ჩვენ თავისებურად პეტრე იბერსაც გვაგონებს, როცა სულის უკვდავებაზეა ლაპარაკი პლატონის ამ დიალოგში:

„უკვდავთა სულს ვერვინ მიუახლოვდება, გარდა იმისა, ვისი სულიც სავსებით წმინდად ეყრება სხეულს... სიბრძნის სიყვარული მიუძღვის ამას, ხორციელ ვნებათაგან განთავისუფლებული“. პეტრე იბერსაც ეხება ეს სიტყვები არანაკლებ, ვიდრე სხვა ნებისმიერ დიდ ისტორიულ პიროვნებას...

მისი სული, სხეულისაგან „სავსებით წმინდად განშორებული“, თავისი „ზეშთას კანონებით“ გვეხმაურება აქ დარჩენილებს. ეგაა, გაგება უნდათ ამ კანონებს და თვითონ პეტრე იბერსაც – ქართული მეცნიერების ვალიც ესაა დღეს...

პეტრე იბერი და ილია: მემკვიდრეობითი ხაზი გრძელდება...

„მიღმურობა“ თავისებური შუამავალია ჩვენი აზროვნებისა, როცა იგი ჭეშმარიტების წვდომას ლამობს. ამ „მიღმურობით“ უნდა შესძლოს კაცმა მიახლოება ღმერთთან, იმის დანახვა–შეცნობა–გათავისება, რაც ამ „სადვთო ნისლის“ იქით იმალება... აქ მახსენდება ვაჟა ფშაველაც, ასე ოსტატურად რომ ასულიერებს საიდუმლოებით მოცულ ნისლს: „ნისლი ფიქრია მთებისა...“ მთებსა და ხეობებში ჩაწოლილი ნისლი მართლაც რაღაც საიდუმლოებით მოცულს ხდის გარემოს. ილიაც ხომ, ასე აღიქვამს ალაზნის ველზე ბუნების ამ საოცარ მოვლენას: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი, მწუხრის ზეწარი გადაეფარა“...

არტურ ლაისტი, მსოფლიო პოეზიის უბადლო მცოდნე, ალაზნის ველის ამ ელევას, **„მსოფლიო პოეზიის შედევრად“** მიიჩნევს ამ სფეროში. მართლაც, ეს ბოლო აკორდი ამ ელევისა – „ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა, თითქოს დადლილა მიწაც და ცაცა“, ამ ფიქრებს აღძრავს:

ადამიანის ისტორიას დედამიწაზე იმდენი ემპირიული ცოდნა და მასალა კი აქვს დაგროვილი, რომ დავასკვნათ: ფიზიკურ მემკვიდრეობაზე გაცილებით უფრო გამძლე და უკვდავ – უბერებელი სულიერი მემკვიდრეობაა და ამიტომაც პეტრე იბერის სწრაფვა და აღქმა „ზეშთას კანონებით საღმრთო ნისლის“ იქით ჭეშმარიტების ძიებისა, ქართულ სინამდვილეში არაერთხელ გაჟღერდა აგიოგრაფიული მწერლობიდან, რუსთაველიდან და ფოლკლორიდან მოყოლებული, თანამედროვე მწერლობით დამთავრებული. ყველა ვისაც როგორ შეუძლია ეძებს ამ „ზეშთა კანონებს“, აქედან, ჩვენეული „დედა–მიწიდან“...

ამ კითხვას კი – „რაი არს საღმრთოი ნისლი“, მოკლედ შეიძლება ასე ვუპასუხოთ: პეტრე იბერიც და მის შემდეგ ჩვენი მოღვაწე – მოაზროვნენი მიღმურობის ამ კითხვას და შეგრძნებას ასეთივე მიღმურობის ნისლში გახვეული პასუხით პასუხობდნენ. ყველაზე კარგად ამ განწყობას მაინც ილიასთან ვხვდებით ქართული ნოველის მის შედევრში – „ოთარაანთ ქვრივი“, სადაც საქართველო – გიორგის ისტორიის მთელი ფილოსოფია და ტრაგიზმია მხატვრულად გადმოცემული. ოღონდ ეგაა, ილიასი არ იყოს, **„კარგად წაკითხვა უნდა ყველაფერს“**. ნოველის ბოლო ხუთ თავში სწორედ ეს ფილოსოფია და

ტრაგიზმია შეჯამებული, იქ სიკვდილ–სიცოცხლის მთელი ფილოსოფიაა ჩადებული...

„საღვთო ნისლის“ მიღმურობის იქით ილიამ ჭეშმარიტების ის მარცვალი დაინახა, რომელსაც ასე დაჟინებით ეძებს ქართული აზრი პეტრე იბერიდან მოყოლებული. აქ, ამ მიღმურობით ილიამ სიკვდილისთვის განწირული ოთარაანთ ქვრივის პირით პეტრე იბერის „ზეშთას სკნელი – ზესკნელი – ქვესკნელის კანონების“ ერთი, მე ვიტყვოდი, მსოფლიო ლიტერატურაში უნიკალური და უნივერსალური ფორმულა დაგვიტოვა ილიამ, – „სიკვდილის მოლოდინი ლხენა!“, – XVIII თავი – „უკანასკნელი განდობა“...

ეს „ლხენა – ლხინი“ მერე გრიგოლ რობაქიძემ თავისებურ ქართულ სიმბოლიკად და ფილოსოფიად აქცია, ქართველი კაცის ცხოვრების წესად... პეტრე იბერმაც „ლხენა – ლხინის“ ამ ფილოსოფიით იცხოვრა და იმოღვაწევა პალესტინაში, „გაიხარე – გამახარეს“ კულტად რომ იქცა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. ყველა მისი ბიოგრაფი ერთხმად აღნიშნავს მის საოცარ ცხოვრებისეულ ოპტიმიზმს. ეს მან „საღმრთო ნისლით“ ჰპოვა თავისი მაძიებელი ქართული გენით, და ქრისტესმიერი სიყვარულით: ქართულმა გენმა ეს პოეტური გააზრება ასაზრდოვა ჩემში, რომლის ფრაგმენტსაც აქ გთავაზობთ:

ათასი წლებით და უფრო მეტით,
უფლის დიდებით და უფლის ნებით,
მაინც მუშაობს ქართული გენი...

კაი ყმა ...

ესეც კარგი ნათქვამია ვინ იცის რომელ დრო–ჟამს:

„სამი რამ არ გაიწრთვნების, –
მგელი, არწივი, კაი ყმა:
მგელი არ მოიშლის მგლობასა,
არწივი მთებში ქროლვასა,
კაი ყმა ვაჟკაცობასა“.

მადლობა უფალს, ჩვენს ისტორიაში ასეთი თვითნაბადი და განუმეორებელი „ყმები“ ბევრი გვყოლია. სხვა დეფორმაციებთან ერთად, ამ სიტყვამაც „ძნელბედობაში „პატრონი–ბატონისა“ არ იყოს სახე იცვალა. ამიტომ ამბობს ლელთ ღუნია „ადრინდა–აწინას“ თავის პაროდიას... „ყმა“ დღეს ვისმე რომ დაუძახო, ხანჯალს გაიძრობს (თუ აქვს)...

პეტრე იბერიც ილიას მსგავსად V საუკუნის იბერიის „კაი ყმაა“. ამიტომ ვერ იტანდნენ მის წმინდანობას რუსები და სომხებთან ერთად „მონოფიზიტობის“

ბრალდებით წმინდანობიდან მწვალებლად აქციეს ჩვენივე ხელით: რას ვიზამთ, ქართველს უყვარს თანამდებობები და რეგალიები და ანტონ I პატრიარქობის სანაცვლოდ ეს გააკეთებინეს. ისე, რომ ფიზიკურ დაპყრობამდე სულიერად დაგვიპყრეს...

„კაი ყმა“ პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ არასოდეს და არცერთ ვითარებაში არ უნდა უღალატო შენ მრწამს და ზნეობას. ამიტომ წერს „ქართლის ცხოვრება“ ერთ–ერთი ბრძოლის აღწერისას – „უხაროდის ყმას.. მპოვნელს.. პატრონისა და პატრონს – ყმისა“. პეტრე იბერი კაი ყმა იყო პირველ რიგში იმით, რომ თავის სიტყვას და მრწამს არ უღალატა: კონსტანტინეპოლის მდიდრული და უზრუნველი ცხოვრება პალესტინის უდაბნოს ცხოვრებაზე გაცვალა და ღვთის დიდებას შესწირა იბერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაც...

შენსას შენ რომ ვერ მოუვლი, სხვა დაეპატრონება, დაიკარგება... პეტრე იბერი და მისი მემკვიდრეობა ამის კლასიკური მაგალითია: მისი აშენებული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ისე როგორც პალესტინისა და ღაზის სხვა ეკლესია–მონასტრები უკვალოდ დაიკარგა – ფულზე დახარბებულმა ბერძნებმა ჯერ სომხებს, მერე კი რუსებს გადაულოცეს. ამასწინათ ათონში პუტინის ვიზიტისას ათონის მონასტრის „რუსული კულტურის ცენტრად“ გამოცხადება ამის ცხელ–ცხელი მაგალითია, თითქოსდა ილიასი არ იყოს – „ქართველები წუთისოფლის ნაბიჭვრები ვიყოთ“...

„კაი ყმის“ ფენომენს და „პატრონყმობას“ მთელი თავი უძღვნა ივანე ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიაში“.. ამ ფენომენს არაერთგან ეხება რუსთაველიც, განსაკუთრებით „ანდერძად“ დაწერილში – „წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“, თვითონაც ხომ, „ყმა“ იყო როსტევეან მეფისა და თავის მხრივ თავის „ყმას“ – შერმადინს და მის ყმებს მთელ თავის ავლა–დიდებას აბარებს. ამიტომ წერს ბ–ნი ივანეც – „მთელი მაშინდელი საქართველო მეფიდგან დაწყებული, უბრალო მდაბიოთი დამთავრებული, პატრონ–ყმობის უღელში იყო შებმული“...

„კაი ყმის“ სინომიმად ილია ხშირად ხმარობდა „დიდბუნებოვან კაცს“. პეტრე იბერი „კაი ყმა“ და „დიდბუნებოვანი კაცი“ იყო არამარტო ჩვენი ეროვნული განზომილებით, არამედ საკაცობრიო მასშტაბითაც. ამიტომ უწოდებდა მას პეტრიწი „მსოფლიო მეოხს“. პეტრე იბერი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა ვექცეოდეთ ეროვნულ მემკვიდრეობას, ჩვენს „კაი ყმებს“ და „დიდბუნებოვან კაცებს“...

პეტრე იბერი – „ევროპული რენესანსის“ ფუძემდებელი

„უცხო ბაძის სენს“ რომ ებრძოდა, ილია მესამედასელებს და მათ მიმდევრებს მუდამ ჩვენს უძველეს და უმდიდრეს“ ისტორიისა და ეროვნული მემკვიდრეზე მიუთითებდა. ამ პათოსით არის დაწერილი მისი „დავით აღმაშენებელი“, „ერი და ისტორია“, „აი, ისტორია“, „ჩვენი ახლანდელი სიბრძნე სიცრუისა“, „სიმბოლო სარწმუნოებისა“, „ნოე ჟორდანიას უმეცრებანი“ და მასთან პოლემიკის ყველა წერილი და სტატია...

ეს დაპირისპირება ნოე ჟორდანიასთან და საერთოდ, მთელ „მესამე დასთან“ ეროვნული ისტორიისა და მემკვიდრეობის პოზიციიდან ხდებოდა. ისინი ხომ, ჩვენს ისტორიაში „გარდა გამოზისა და უარყოფისა“, ვერაფერს ხედავდნენ. ამას ემატებოდა, რომ რაკი ჩვენთვის მაშინაც „მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა“ (აკი, ჟორდანია მემუარულ ნაშრომში – „ჩემი წარსული“ ანვითარებს თეორიას, რომ ქართველი ერი რუსეთმა შექმნა), პეტრე იბერი ვის რაში ჭირდებოდა, რუსეთმა ხომ ის „მწვალებლად“ გამოაცხადა და მისი ხსენებაც კი, მკრეხელობად და უპატიებელ ცოდვად ითვლებოდა, თვითონ ილიაც ერიდებოდა რუსეთთან აშკარა და მტრულ დაპირისპირებას.

მხოლოდ ეპისკოპოსმა კირიონმა, მომავალში პატრიარქმა კირიონ II (ესეც მესამედასელთა ცოდვად უნდა ჩაითვალოს, როცა 1918 წლის 27 ივნისს მისი მკვლელობა გაუხსნელი დარჩა), 1910 წელს გამოცემულ წიგნში – „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, აჩვენა პეტრე იბერის განსაკუთრებული დამსახურება არა მარტო ქართველი ერის, არამედ ევროპის ისტორიაში...

ილიასა და თვითონ კირიონ II დროსაც თვით ევროპულ მეცნიერი ჯერ კიდევ გაბატონებული იყო ე.წ. „არეოპაგიტიკის თეორია“: დიონისე არეოპაგელს, ბერძენ თეოლოგსა და ფილოსოფოს მიაწერდნენ იმ შრომების ავტორობას, რომელმაც სათავე დაუდო „ევროპულ რენესანსს“. XX საუკუნეში, განსაკუთრებით მის II ნახევარში წარმოიშვა ეჭვი, რომ იგი არ შეიძლება ყოფილიყო ამ ნეოპლატონური შრომების ავტორი. მისი ეპოქა I – II საუკუნეები და V საუკუნე, რომელშიც დაიწერა ეს „არეოპაგიტიკული შრომები“ დამკვიდრდა სპეციალური ტერმინიც კი – „ფსევდო–დიონისე“.

პირველად ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა იდეა, რომ ეს „ფსევდო–დიონისე“ პეტრე იბერია. როგორც გვჩვენია, თვითონ ქართველმა მეცნიერებმა პრინციპით – „რატომ ის და არა მე! უარყვეს და კრიტიკის ქარ–ცეცხლში გაატარეს ეს იდეა. ილია ამას „პირველკაცობის ქართულ სენს“ უწოდებდა და „უცხო ბაძთან“ ერთად ამ სენმა არაერთი უბედურება მოუტანა

ხალხს და ქვეყანას. თუნდაც უკანასკნელი წლების „პრეზიდენტობის საგიჟეთი“ გავიხსენოთ...

მაგრამ ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად 1952 წელს გერმანელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა „ფსევდო–დიონისეს“ საიდუმლოს ამოხსნის იგივე ვერსია წამოაყენა: არეოპაგიატი – ავტორი V საუკუნის პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერია. „უცხო კაცს“ რაღას გავუბედავდით უცხოთმოყვარე ქართველები და მადლობა ღმერთს 1500 წლის შემდეგ სამართალმა პური ჭამა დღეს უკვე დასავლეთის მეცნიერებაში თითქმის საექვოდ აღარავის მიაჩნია, რომ ევროპულ რენესანსს საფუძველი ჩაუყარა არა დიონისე არეოპაგელის, არამედ პეტრე იბერის შრომებმა...

მშვიდობისმყოფელი

თუ მოვინდომებთ, რომ პეტრე იბერის შრომებიდან დღეს ჩვენთვის ყველაზე არსებითი რამ გამოვყოთ, ეს მისი მოუღლეელი მოწოდებაა **ერთობისა და მშვიდობისაკენ**. ამ მხრივ თუ დავაკვირდებით მათ სტრუქტურასაც, – „საღმრთოთა სახელთათვის“, „ზეცათა მღვდელ–მთავრობისათვის“, „საეკლესიო მღვდელ–მთავრობისათვის“ და „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის (ვიტარმედ, რაი არს საღმრთოი ნისლი“), ვნახავთ არა მარტო პეტრე იბერის აზროვნების თავისებურებას და სიღრმეს, არამედ მის ლოგიკურ წიაღ–სვლებს ზოგადიდან მარტივისაკენ და პირიქით. ეს მისი აზროვნების უნივერსალური მეთოდია:

პლატონისაგან განსხვავებით „აბსტრაქტულ იდეათა სამყაროდან“ იგი თანდათანობით ჩამოდის დედამიწაზე და აქ ცდილობს ამ იდეათა გაშლა–განფენას დროსა და სივრცეში. „**იდეების კონკრეტიზაცია**“ – ასე შეიძლება შევაფასოთ მოკლედ პეტრე იბერის ფილოსოფია და აზროვნების წესი. ამასთან, პლატონის „კოსმიური გონი“ დედამიწისეული, მისაწვდომი და გასაგები ხდება ჩვენთვის, დედამიწაზე მაცხოვრებლებისათვის...

„ჟამი სამობით არს განწესებული ღვთისაგან კაცთათვის მისაწვდომელი... საცნაურ ამით იყვეს ყოველივე უხორცოსაგან ხორციელთათვის“. ამ „საცნაურის“ წვდომის სურვილით არის გაჟღენთილი მისი შრომებიც და ამით მან რელიგიაც და მეცნიერებაც პრაგმატული გახადა.

ამდენად, იგი „**კაცთათვის ღვთისაგან განწესებული სამი ჟამით**“ ცდილობს დააკავშიროს ანტიკური ხანა მის ეპოქასთან, მისი ეპოქა კი, მომავალთან. ამ „სამთა ჟამთა სწავლებას“ იგი მეტაფორულად ასე გამოხატავს:

„**ვითარცა ვაზი ზვარისა განხმების თვინიერ წყლისა, ასევე განხმება გონება ჩვენი თვინიერ ძველთა სწავლათა**“. ესეც, ისე როგორც ბევრი რამ, ეხმიანება მის შემდგომ რუსთაველის „ოქროვან ხანას“ და ილიასაც. გავიხსენოთ ამ მხრივ, თუნდაც ილიას ფორმულა – „**რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ**“: ეს ილიასეული გზა წარსულიდან მომავლისაკენ თავისი არსით ზუსტად იმეორებს პეტრე იბერს...

მაგრამ მემკვიდრეობითი ხაზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პეტრე იბერის იდეაში – „**ერთნებაობა – თანადგომა და საერთო ნიადაგზე დგომა**“, როგორც აუცილებელი წინაპირობა გამარჯვებისთვის. მთელი თავისი ცხოვრება ამას ცდილობდა პალესტინაში, ღაზასა და სირიაში. მერე ეს ხაზი გაგრძელდა ათონელებთან და დავით აღმაშენებელთან, „**ძნელბედობის**“ შემდეგ კი, ილიასთან მისი „**საერთო ნიადაგის**“ თეორიით, ესეც როგორც მომავლის გამარჯვებათა წინაპირობა ჩვენთვის.

მადლობა უფალს, პეტრე იბერისეული „**ერთობისა და მშვიდობისმყოფლობის**“ ხაზი არ იკარგება და ალბათ, არც მომავალში დაიკარგება. ეს იმიტომ, რომ – „**რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის**“: ეს ეროვნული სული სწორედ პეტრე იბერთან იძენს განსაკუთრებულ ძალას და ცხოველმყოფელობას, ღმერთმა არ დაუკარგოს ეს ჩვენს ერს მომავალშიც...

სპეციალურ ქვეთავში მეტად სიმბოლური დასათავურებით – „**სრულისათვის და ერთისა**“, პეტრე იბერი ფილოსოფიურად ასაბუთებს გარემომცველი სინამდვილის შეცნობის „**ღვთიურ ბუნებას**“:

„**ჩვენ გვნებავს უძლიერესის სიტყვით აღვაგსოთ ყოველთა ქმედება... ხოლო ერთი არს ყოველთა მიზეზთა, რამეთუ ყოველი რიცხვი ერთისაგან მიიღების, ყოველი ნაწილნიც ერთისაგან მიიღებიან**“.

„**საღმრთოი ნისლი**“ და „**ზეშთას კანონებიც**“ ამ „ერთს“ ემორჩილებიან – ჩვენი ცოდნისა და რწმენის ერთიანობას. აქაც გვახსენდება რუსთაველის – „**რომელმან შექმნა სამყარო, ... ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა**“, და ილიას ცნობილი თეზაც – ჭეშმარიტების ძიებაში „**სარწმუნოების გამეცნიერება და მეცნიერების გასარწმუნოება**“ არის ერთადერთი გზა ჭეშმარიტების მისაღწევად. აქაც აშკარად ჩანს იდეური და სულიერი მემკვიდრეობითობის ერთიანი ხაზი...

პეტრე იბერი პირადი მაგალითით ცდილობდა აღენთო სიკეთისა და მშვიდობის გრძნობა ადამიანებში, რამეთუ... „**მშვიდობა არს ღვთისაგან სიკეთით მოცემული და მისგან განდგომა ბოროტის მსახურებაა**“. შრომების მთელი ეს თავი – „**მშვიდობისათვის**“ ჰიმნი და ქება–დიდებაა ამ ღვთიით ბოძებული სიკეთისა:

„მოვედ აწ რაითა საღვთოსა დასაბამსა მშვიდობასა ქებითა მაქებელ ვიქმნე, რამეთუ იგი არს შემაერთებელ ყოველთა ერთ–ნებაობისა“...

პეტრე იბერის ეს ქებათა–ქება ერთობისა და მშვიდობისა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაშიც აისახა „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“ და ჩვენი ტრადიციული მისაღმებებით, „დილა მშვიდობისა“ – „მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!“...

„ნათელი ჭეშმარიტების ძიების“...

ერთი მნიშვნელოვანი წესიც უნდა ავლნიშნოთ პეტრე იბერის აზროვნებისა – ის ჭეშმარიტების მაძიებელი კაცია, მაგრამ „ნათელს“ და მის ძალას უფრო ჭეშმარიტების ძიების პროცესში ხედავს: ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად – მასზე დიდი მიზანი რა უნდა ჰქონდეს კაცს, მის მაძიებელ გონებას, მაგრამ პეტრე იბერი ადამიანურ ბედნიერებას, მის ცხოვრებისეულ არსსა და დანიშნულებას მისკენ სვლაში, მისი „ძიების“ პროცესში ხედავს, კაცის „გონების განწმენდასა და თვალის ახილებაში“, რათა „საღმრთო ნისლის“ იქით ჰპოვოს ჭეშმარიტება...

„გონების განწმენდა“ ჭეშმარიტების ძიების პროცესში პეტრე იბერის მთავარი მოთხოვნაა. ამასთან, ეს ამქვეყნად ყველას და ყველაფერს – „სამთავე ჟამს“ – წარსულის, აწმყოს და მომავლის ყველა დროჟამს და ყველა ეპოქას ეხება. სხვანაირად ნამდვილ ჭეშმარიტებასაც ვერ ჩავწვდებით ვერც წარსულში, ვერც აწმყოში და ვერც მომავლის წვდომასა და გააზრებაში, ანუ, „საღვთოი ჭეშმარიტებას“, როგორც თვითონ უწოდებს. შეიძლება ამის გამომახილია, რასაც მერე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი იტყვის – „ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“...

მიუხედავად „მწვალებელი პეტრეს“ იგნორირებისა, ქართულ სინამდვილეში მისი კვალი და გავლენა აშკარაა, რუსთაველს და მის პოემას რომ თავი გავანებოთ, სადაც უამრავ პარალელებს ვნახავთ პეტრე იბერის ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან (შეიძლება ამიტომაც რუსთაველიც კაი ხანს იგნორირებული იყო ჩვენგან), იოანე პეტრიწიდან მოყოლებული, კირიონ II და ივანე ჯავახიშვილით დამთავრებული, ეს „მსოფლიო მეოხი“ მაინც ჭეშმარიტების „მანათობელად“ მიიჩნეოდა. სწორედ ამ კუთხით განიხილავდა მას და მის მემკვიდრეობას კირიონ II და მასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილიც... „საქართველოს მნათობიც“ ხომ, ამიტომ უწოდა იოანე პეტრიწმა...

თვითონ პეტრე იბერისთვის ჭეშმარიტებას, რასაც ჩვენ ყველანი ჩავწვდებით მხოლოდ „გონების განწმენდით“, ერთი ერთადერთი არსი და ფუნქცია აქვს: მან უნდა გვაზიაროს „სკნელი–ქვესკნელი–ზესკნელის დაფარულ ძალთა საიდუმლოთა წვდომას“. თუ ჰეგელსაც გავიხსენებთ, მის „აბსოლუტური სულის თვითშემეცნების პროცესს“, აქაც შემოქმედს ადამიანი იმიტომ სჭირდება

ამქვეყნად, რომ სწორედ მისი მეშვეობით განახორციელოს „თვითშემეცნების“ ეს პროცესი დროის უსასრულო მდინარეებში. ჩვენთვის საამაყო უნდა იყოს, რომ ჰეგელის მიხედვით მისი ამ „აბსოლუტური სულის“ წვდომა კავკასიურ რასას, „განსაკუთრებით ქართველებს და ჩერქეზებს“ ეკისრებათ...

პეტრე იბერსაც ეს მისი „გონების განწმენდა“ იმიტომ სჭირდება, რომ ადამიანმა ბოლოსდაბოლოს, შესძლოს ამ „აბსოლუტურ სულამდე“, ანუ, ღმერთამდე მისვლა, „საღმრთო ნისლის“ იქით რომ ემალება და ამასთან, ელოდება ადამიანის გონებას და თვალს...

„უჩინო საჩინო ასე იქმნების – ნათლითა ღვთისათა და მეცნიერებათა მოწესეთა“ – აქაც ნათლად ჩანს მისი პოზიცია ცოდნის, მეცნიერების, ხელოვნების „ნათლითა ღვთისათა შემოსვით“ რომ გამოხატა და „განანათლა“...

ამ მხრივ პეტრე იბერი კიდევ უფრო შორს მიდის და წინასწარმეტყველებს, რომ „მომავლის ცხოვრებაში“, როცა ადამიანი სულ უფრო მეტად მიუახლოვდება „ზეშთა კანონებს“, უხორცოთა კანონთა წვდომა ამ „ნათლით შემოსილ მეცნიერებას და ხელოვნებას“ შეეძლება მხოლოდ. თვითონაც ხომ პალესტინაში ამ დიადი მიზნითა და მისიით ჩავიდა და აღიჭურვა „სამარადქამოდ“...

აქაც მახსენდება ილიას საოცარი საპროგრამო წერილი – „საქართველოს მოამბეზედ“:

„მეცნიერება და ხელოვნება – ეგ საკვირველნი და ულევნი სალარონი კაცის გონიერებისა, არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა... გენიოსი თავისის ძლიერის მხრებით ამოზიდავს ცხოვრებიდან იმას, რაც წინ სწევს ცხოვრებასა...“

პეტრე იბერიც ის გენიოსი იყო, რომელმაც საუკუნეების სიღრმედან „ამოზიდა“ მომავლის ის იდეები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ თავიანთ ძალას. ჩვენ ამ 300 გვერდიანი შრომებიდან, სადაც 40 თემატიკად არიან ეს იდეები გადმოცემული, ბუნებრივია, ყველა მათგანს აქ ვერ შევხებით, მაგრამ მათი ჩამონათვალით კი, შესაძლებელია მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას პეტრე იბერის მემკვიდრეობაზე.

აქ ისიც გვინდა ვთქვათ, რომ სასურველი იქნება, თუ შესაძლებელი გახდება ძველი ქართულიდან მათი ადაპტირება და გამოცემა თანამედროვე ქართულით. ეს კიდევ უფრო ახლობელს გახდის პეტრე იბერს დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისთვის. მისი გაუცხოების პრობლემაც ამით მოიხსნება...

ესეც თავისებური ვალის მოხდა იქნება ამ დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის მიმართ: ამ წუთისოფლიდან წასული კაცისთვის ხომ, არც ქება–დიდება და არც ლანძღვა–გინება მას არც არაფერს მატებს და არც არაფერს აკლებს. ეს ჩვენს ზნეობაზე ლაპარაკობს მხოლოდ. აკი, წერს ილიაც შესანიშნავად სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“:

„კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებელის სახელი დარჩა როგორც მეფეს, და იქ როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა, წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

პეტრე იბერიც, როგორც „დიდბუნებოვანი კაცი“, ასეთივე „დიდების გვირგვინით“ არის შესამკობი ჩვენგან. ეს ჯერ კიდევ იოანე პეტრიწმა თქვა, როცა მას „ქართველი ერის სიქადული“ უწოდა... თუმცაღა პეტრიწის ეს ხმაც დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ილიას ეპოქაში მასზე ხმას ვერ ამოიღებდი – ეს ხომ „ღვთის გამოხას ნიშნავდა, რუსეთისგან დაკანონებულ „მწვალებლობა–ურწმუნეობას“, რასაც ჩვენი ეკლესიაც ასე ბრმად დაემორჩილა...

„საღვთო ჭეშმარიტება“...

მაგრამ საბედნიეროდ, პეტრე იბერის ხმამ მაინც გამოაღწია უდაბნოდან და მერე და მერე ჭეშმარიტების ხმად იქცა ევროპისათვის. ჭეშმარიტებაც ხომ, რენესანსული ევროპისათვის უცბად არ მოვიდა – მან არაერთი ბნელი საუკუნე გამოიარა ომებითა და სისხლისღვრებით აღსავსე. მარტო გასული საუკუნის ორი მსოფლიო ომის გახსენება რად ღირს, სამარცხვინო ლაქად რომ დარჩება მუდამ საკაცობრიო ისტორიაში...

ისე, რომ „საღვთო ჭეშმარიტების“ პოვნა და დაუფლება, როგორც ამისკენ მოგვიწოდებს პეტრე იბერი, ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. მისკენ სვლას და დაუფლებას მსხვერპლი სჭირდება და ევროპაც ამ გზით მივიდა დღეს „საერთო ნიადაგამდე“ და ესეც ცხადია – მას წინ კიდევ მრავალი წინაღობა ელოდება საბოლოო აღსრულებამდე, რისაც ასე სწამდა პეტრე იბერს...

ჭეშმარიტების ძიებისა და პოვნის სურვილმა წაიყვანა იგი იბერიიდან თავის განუყრელ თანამოაზრეებთან – იოანე ლაზთან და ზაქარია რიტორთან (ქართველთან) ერთად. პალესტინაში, ქრისტეს სამშობლო – ქვეყანაში ეძია და ჰპოვა კიდევ ეს „საღვთო ჭეშმარიტება მიწის და ცისა“. სწორედ ეს ძიების პროცესი იყო მისთვის მთავარი. ამიტომაც მიატოვა სამეფო ტახტი, მდიდრული და უზრუნველი ცხოვრება, ყველაფერი ეს მეუდაბნოეს ცხოვრებაზე გაცვალა, რამეთუ აქ, ამ მკაცრ გარემოში ერთიანდებოდა სულიერად იესოსთან თავისი მრავალრიცხოვანი ხილვებით...

უდაბნოს გარემო მიწიერი ცხოვრებიდან ზეციური ცხოვრებისაკენ ლტოლვის გაცილებით იდეალურ პირობებს ქმნის, ვიდრე თუნდაც ამქვეყნიურ წალკოტში ცხოვრება. აქ გაცილებით ახლოს ხარ ზეციურ სამყაროსთან და მამასადამე, ჭეშმარიტების წვდომასთან, ასე ნათლად რომ იკვეთება პეტრე

იბერის თვითეულ შრომასა და საერთოდ, მთელ მის ცხოვრებაში. კაცის განსასჯელად კი, ილიას „დიდბუნებოვანი კაცობისა“ არ იყოს, მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადი ცხოვრებაა. სხვა საზომ–საწონი ამისათვის უბრალოდ არ არსებობს. „მოყვასთა სიყვარული და სიკეთე“ ამ პრინციპით იცხოვრა და იღვაწა პეტრე იბერმა..

პეტრე იბერის ყველა თანამედროვე ერთხმად აღიარებს მის საოცარ სიკეთეს და ქრისტესმიერ სიყვარულს ყველას მიმართ. ამიტომ უყვარდა უბრალო ხალხს ყველას ერთიანად... მაშინდელი პალესტინა კი, და საერთოდ, მთელი მცირე აზია ათასი რჯულის, რწმენის და ჯიშ–ჯილაგის ხალხით იყო სავსე, მათ შორის ქრისტეს მიმდევართა შორისაც. ყველა ხაზს უსვავს, რომ პეტრე იბერი ყველას მფარველი იყო, ყველას მოსიყვარულე და დამპყრებელი – რჯულიანისაც და ურჯულოსიც, რამეთუ თვითონ ქრისტე გვასწავლის, „**შეიყვარე მტერი შენი**“.

სწორედ ეს ქრისტესმიერი სიყვარული და „დიდბუნებოვანი კაცობა“ არ აპატიეს მას და „მწვალებელიც“ ამიტომ გახადეს. შური ხომ, ყველგან და ყოველთვის, „მწუხარებაა სხვისა კეთილსა ზედა“. თვით ისიც კი შურდათ, მას რომ არ შურდა – რას ვიზამთ, ასეთია შურის ბოროტი ძალა ადრეც და ახლაც... აქაც პეტრე იბერის და ილიას პიროვნული ბედი, მათი ზნეობრივი სახე და მომავლის ჭკრეტა სრულ თანხმობაშია...

„შეჯახება“, თუ დიალოგი?...

დღეს ხშირად გვესმის „**კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახების**“ გარდუვალობა. და მართლაც, ნუთუ ასე გარდუვალია იგი?... პეტრე იბერი პასუხობს – არა: კაცსაც და კაცობრიობასაც ძალუმს მისეული „გონების გაწმენდით დედამიწაზე მშვიდობის სუფევა“. ჩვენს მიერ ადრე აღნიშნულ თავში – „მშვიდობისათვის“, იგი ასაბუთებს რა „სადვთო მშვიდობის აუცილებლობასა და გარდუვალობას“, წერს:

„ხოლო უკეთუ ვინმე სასურველ ჩვენსა ყოფასა მშვიდობისგან განდგების, მივუგებთ და ვეტყვით მათ: მშვიდობისმადიდებელნი ქრისტესმიერნი ზემთა ბუნების ძალით... შემუსრავენ მშვიდობისაგან განდგომილთ თვისთა სულითა ძლიერთა და ღვთის შეწევნითა“.

„შეჯახების“ ნაცვლად კაცთა შორის დიალოგი, სიკეთე და ერთობა – ასეთია დღეს პეტრე იბერის გზავნილი ჩვენთვის. მისი ეს გზავნილი ოპტიმიზმის წყაროა ჩვენთვისაც და მომდევნო თაობებისთვისაც...

ამიტომ მოგვიწოდებდა ეფრემ მცირეც – „შეისწავეთ იგი, რამეთუ ზღვა სიბრძნეა ღმრთისა თანა მასთან“. ჩვენ კი ეს სიბრძნე და მისი შემოქმედი კაცი წმინდანის ნაცვლად, „მწვალებლად“ ვაქციეთ...

და როგორც ეკადრება „მწვალებელ პეტრეს“, ახლოსაც არ ვიკარებთ, კეთროვანივით შორი–შორს ვუვლით და ყველაზე დიდი, რის ღირსადაც ვთვლით, ათასში ერთხელ თუ სადღაც პუბლიკაციებში მოვიხსენიებთ მის სახელს. ისტორიას უყვარს გამეორება და ამ შემთხვევაშიც ეს მე კვლავ მაგონებს ილია ჭავჭავაძეს და მისი მემკვიდრეობის ბედს:

მესამედასელთა არაერთმა ცდამ დაევიწყებინათ ხალხისთვის „მშრომელთა მჩაგვრელისა და სისხლისმწოველის“ სახელი, უკვალოდ არ ჩაიარა. დღესაც კი შეხვდებით საგურამოში ფილიპე მახარაძის – „მოგზაურის წერილების“ ავტორის, ამ აგიტაციის ნაკვალევს. წიწამურის შემდეგაც მთელი 30 წელი ლამის კრიმინალად ითვლებოდა ილიას ხსენება, **ეროვნულ იდეოლოგიაზე** რომ არაფერი ვთქვათ, ილია მწერლადაც კი, არ მოიხსენიებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ეგნატე ნინოშვილით იწყებოდა – „მესამე დასი“ ხომ – მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც, ჩვენს ისტორიაში გარდა „**გმობისადა უარყოფისა**“, ვერაფერს ხედავდა...

გავიდა ის საუკუნე და დღესაც მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია კვლავ გამოუყენებელ განძად რჩება მისი „კარგი ქვეყნითვის“. ისე, რომ „მწვალებელი პეტრეს“ მიერ პალესტინაში ძიებული და მესამედასური „მწვალებელი ილიას“ მიერ თანამედროვე თეორიად გადაქცეული ეს „საერთო ნიადაგი“ არავის გვჭირდება დღესაც. არადა, მასშია საძიებელი ჩვენი და ჩვენთან ერთად, მსოფლიოს პრობლემათა გადაჭრის გასაღები...

„იბერი“ ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლიკაა და ეგების ამ სახელმა და მისმა მემკვიდრეობამ მაინც მიგვახვედროს, რომ ჩვენი საკუთარი ეროვნული მემკვიდრეობის გარეშე ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას ვერ შევქმნით და ვერც მის ახალ „ოქროვან ხანას“, ასე რომ შესტრფოდა „საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული“...

„გონების განწმენდა“ და „დიდბუნებოვანი კაცი“...

ამ ორი დიდი მოაზროვნის გათავისება – გათანამედროვეობა ეს ცალკე დიდი თემაა, მაგრამ აქ მინდა ვთქვა: „**გონების განწმენდა**“ – ამ პეტრე იბერისეულმა უნივერსალურმა ფორმულამ რამდენი ეპოქა არ გამოიარა დღემდე და ალბათ, კაცი თითებზე ჩამოსათვლელთ თუ დაასახელებს ისეთს, რომლებმაც ეს შესძლეს. იგივე ითქმის ილიასეულ „**დიდბუნებოვან კაცზე**“, განსაკუთრებით

ყოფიერების ისეთ სფეროში, რასაც არისტოტელედან მოყოლებული „პოლიტიკა“ ჰქვია: „დიდბუნებოვანობა“ და პოლიტიკა ძალიან შორს დგანან ერთმანეთისგან...

მოდით წარსულ ეპოქებს თავი გავანებოთ და ახალი ისტორიის ჩვენს ახლო ეპოქებს გადავხედოთ: უზნეო და არაკაცურმა პოლიტიკამ, სიხარბემ და შურ-ღვარძლიანობამ რამდენი სისხლი და ცრემლი მოუტანა ხალხებს კრომველიდან და რობესპიერიდან დაწყებული, პუტინით დამთავრებული, ვინ დათვლის? ამიტომაც გაჩნდა ეს მოარული ფრაზაც პოლიტიკის, როგორც „ბინძური საქმის“ შესახებ და ბაირონის ერთი საოცარი მიგნება ამავე თემაზე: წარსულის ამ სისხლით გაუმაძღარ ტირანებს რომ ჩამოთვლის, რაღაც თავისებური იმედით და აღფრთოვანებით იხსენებს თავის თანამედროვე პოლიტიკოსს, აშშ პირველ პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს, რომელმაც თავისი ნებით უარი თქვა ხელისუფლებაზე, და ამით „ძალაუფლების ნებაყოფილობითი გადაცემის“ ტრადიცია დაამკვიდრა თავის ქვეყანაში...

ასეთი „ზნეკეთილი“ ადამიანი იშვიათია ცხოვრებაში და უფრო მეტად კი პოლიტიკაში. ეს მისი ალტერნატივა კი, **„უზნეობა – არაკაცობა“** რომ ამდენ პრობლემებს უქმნის ქვეყნებს და ხალხებს. ამიტომ უსვავს ხაზს თავის შრომებში პეტრე იბერი „ზნეკეთილობის“ ფენომენს, როგორც უმაღლეს მორალს და „ღმერთთან მიახლოების“ წინაპირობას „ყოველთა კაცთათვის“.

ეს ზნეკეთილობა და სულიერი სიმდიდრე რომ არ აკლდა პეტრე იბერს, ეს ცნობილი ფაქტი იყო მაშინაც და მერეც... **„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და მეტი არაფრის“** – წერს ილია და სტატიაც „დავით აღმაშენებელი“ ამ ფენომენზე აქვს აგებული. ისიც ცნობილია, თუ როგორ უყვარდა მას თავისი ორიგინალური მეტაფორებით ქართული ენის ლექსიკის გამდიდრება და ერთ-ერთი მათგანი ადრეც ვთქვით, ეს მისი სიტყვა – **„დიდბუნებოვანი კაცია“**, რითაც იშვიათად თუ შეამკობდა ვინმეს: მართლაც რომ, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნებოვანი კაცობითაც... ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან...“

ჭეშმარიტად რომ ასეა და ისიც „საკვირველი და საოცარია“, რომ ტოლერანტიზმის და დემოკრატიის ამ და სხვა პრინციპებზე **„აღმოშობა“** (ესეც ქართული ლექსიკის ღრმააზროვანი ილიასეული სიტყვაა!), მან ქართული სახელმწიფო, სახელმწიფო, სადაც ევროპაზე ადრე თვით კონსტიტუციური მონარქიის ნიშნებიც კი ჩაისახა „სააჯო კარისა“ და „ისნის კარავის“ სახით. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ და კანონიერი სიამაყით აღნიშნავს ამ ფაქტს „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში და „ქართული სამართლის ისტორიაში“...

„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო“, ხშირად ასე გვემართება ჩვენი ისტორიის პატრონთ: მთელ მსოფლიოს უვლით ეს 25 წელი, ათასნაირ ექსპერტებს და თეორიებს ვეძებთ და ვთხზავთ ჩვენი ქვეყნის პრობლემათა

გადაწყვეტისთვის და გვავიწყდება, რომ ჩვენს უკან ათასწლეულების ეროვნული მემკვიდრეობა, ამ მემკვიდრეობაზე ამოზრდილი „საერთო ნიადაგის“ თეორიაა. ამიტომ წერს ილიაც ჩვენს გასაგონად ამ მარტივ, მაგრამ გენიოსურ ფორმულას: „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“...

აქაც ეტყობა „გონების განწმენდა“ გვჭირდება მისი დაუფლებისა და საქმედ ქცევისთვის, „უცხო ბაძით“ მოწამლული გონების „განწმენდა“...

„საერთო ნიადაგი“ – კაცობრიობის მომავლის გზა...

სათქმელად და დასაწერად ადვილია პეტრე იბერის ის დიდი იდეა, რასაც მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა: ყველამ ვიცით, რომ ყველგან და ყველაფერში „განყოფას და განთვითეულობას“ ერთობა სჯობია, მაგრამ პრობლემის არსი მისი მიღწევისათვის იმ პრინციპების, გზებისა და საშუალებების მოძიება–დადგენა და ცხოვრებაში განხორციელებაა, რომლებიც იდეიდან და თეორიიდან ამ ერთობას საქმედ აქცევენ...

ამ თემას რომ ეხება, „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ სამ ტომში ივანე ჯავახიშვილი იმ მექანიზმს გვიჩვენებს, რომლითაც „ჩვენი დიდებული ოქროვანი ხანა შეიქმნა“. აქ იგი გადამწყვეტ სიტყვას მაშინდელი საქართველოს სულიერ ლიდერებს ანიჭებს, განსაკუთრებული ძალით „ათონურ სკოლასა“ და რუის–ურბნისის კრების „მეგლისწერაში“ რომ დაფიქსირდა. ამიტომ გვმომდვრავს ყველას, ვისაც ეროვნული ისტორიის და ეროვნული მემკვიდრეობის სწამს: „საქართველო მარად მაღლიერი უნდა იყოს გიორგი ათონელი – მთაწმინდელის... ის, რაც მან საეკლესიო ცხოვრებაში დანერგა, ის მერე დავით აღმაშენებელმა საერო ცხოვრებაში განახორციელა“.

სხვა პრინციპებთან ერთად, ბ–ნი ივანე ახსენებს ე.წ. „წილნაყრობის“ პრინციპს, რაც თავისი არსით არჩევნების დემოკრატიული პრინციპია: მონასტერთა წინამძღვარს ამიერიდან ხელისუფლება კი არ ნიშნავდა კორუფციული გარიგებებით, არამედ თვითონ ამ მონასტრის ბერები ირჩევდნენ „წილნაყრობის წესით“ მოცემულ მონასტერში. ეს პროცესი ათონიდან დაიწყო და ამიტომ წერს „ქართლის ცხოვრებაც“ გიორგი ათონელზე: „აღლესა მახვილი მხილებისა“...

პეტრე იბერი ის ილიასეული „დიდბუნებოვანი კაცია“, რომელმაც ისეთი პრინციპები მოგვცა და საქმიტაც განახორციელა, რითაც საუკუნეებით გაუსწრო თავის ეპოქას. ამ ყველაფერს ჩვენ ვაერთიანებთ მის „საერთო ნიადაგის“ დიდ იდეად, საიდანაც შემდეგ ილიამ თავისი ეპოქის შესაფერი მწყობრი თეორია „აღმოშობა“. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი

სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები გლობალიზმის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების იდეოლოგიური საფუძველია...

ევროპაში მოღვაწე ქართველმა მოაზროვნეებმა – არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა და ვარლამ ჩერქეზიშვილმა ეს თეორია, ასე ვთქვათ, „გააევროპელეს“ და რადგან იცოდნენ ილიას სიმპატიური დამოკიდებულება ევროპულ სოციალ–დემოკრატიასთან, ვერსალის კონფერენციის შემდეგ, რომელშიც ჩერქეზიშვილიც მონაწილეობდა, ევროპის გაერთიანების იდეას დაუკავშირეს. მართლაც I მსოფლიო ომის შემდეგ ცნობილი ლოზუნგი და მოთხოვნა „ევროპის შეერთებული შტატების“ შესახებ, ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული სამომავლო–საპროგრამო იდეა გახდა. იგი თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ პროგრამებად აქციეს რეკლიუმ (საფრანგეთში), რამუსმა (გერმანიაში), ცილიაკუსმა (ფინეთში)..., თუმცა ერთობის ამ ძველმა პეტრე იბერისეულმა პალესტინურმა იდეამ ხორცი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეისხა...

„შეერთებისათვის განყოფილთა“

სიბრძნე და ბრძენი კაცი იმითაც გამოირჩევა ჩვეულებრივთაგან, რომ მისი ნაფიქრ–ნათქვამი ყველას და ყველაფერს ეხება და ერგება დროისა და სივრცის ყველა განზომილებაში. პეტრე იბერის ნათქვამიც დღესაც აქტუალური და ჭკუისსასწავლებელია XXI საუკუნის თაობებისათვის. ამ გაგებით გამორჩეულად დგას მისი შრომების ის ნაწილი, სადაც იგი მსჯელობს „განყოფილთა შეერთების“ პრობლემაზე, ეს განსაკუთრებით პირველ შრომაზე – „საღმრთოთა სახელთათვის“ ითქმის:

„ვინაითგან საღვთოა იგი სიბრძნე, რაიცა მეცნიერ არს თავსა თვისსა ყოველსავე სცნობს განყოფილად განყოფილთა ერთობითად მრავალთა მეცნიერ არს, ვინაითგან ღმერთი მისცემს ცნობათა მასსა...“

პეტრე იბერისთვის ნათელია, რომ „ღმერთი აერთიანებს კაცთა, სატანა კი, „განყოფს მათ“ და ამიტომ – „ყოველთა შორის იცნობის ღმერთი“, ე.ი. ყველა მოვლენა და ქმედება თუ ღვთის ნებით ხდება, „განყოფილთა ერთობას“ უნდა ემსახურებოდეს და არა განყოფას. მეცნიერის და მეცნიერების არსიც ის არის, რომ ეს „ნათელჰყოს ყველასათვის საჩინოდ და საცნაურად“...

– ღმერთი აერთიანებს ადამიანებს, სატანა კი, ჰყოფს მათ, – ასეთია პეტრე იბერის გზავნილი ყველა ეპოქის და ყველა თაობისთვის. ამ იდეაზეა აგებული რუსთაველის პოემა და მისი გამირების ქმედება. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პეტრე იბერი ამით არ კმაყოფილდება და „განყოფილთა ერთობის“ მიღწევის

უნივერსალურ მეთოდსა და საშუალებასაც გვამღევს „სატანისაგან განყოფილ ადამიანებს“:

„ვინაითგან ჟამი არს ყოველისმპყრობელი... სიტყვაი იგი (ე.ი. ღმერთი) მოგვცემს ძალას წმინდაი სიტყვით და გონების განწმენდით აწ ვპოვოთ ჭეშმარიტი“...

„გონების განწმენდით“ შევძლებთ მხოლოდ „წმინდა სიტყვის“ გაგებას და დაუფლებას. ეს „სიტყვა“ კი, ბოლოს „ერთობისა და ერთნებაობა–თანადგომით და საერთო ნიადაგზე დგომით“ ცხოვრებას თხოულობს ჩვენგან. „განყოფილებს“ კი, მხოლოდ წარუმატებლობა და მარცხი გველოდება...

რუსთაველის გმირებმა გაიგეს ეს და ამან ააღებინათ „ქაჯეთის ციხე“... მერე კი, საუკუნეთა მანძილზე „განყოფა“ გაბატონდა პეტრე იბერისა და რუსთაველის ქვეყანაში, ხანგრძლივი „ძნელბედობა“ რომ ასაზრდოვა დღემდე... ხსნა და გამარჯვება ისევ „გონების განწმენდამ“ და ამ გზით მიღწეულმა ერთობამ უნდა მოგვიტანოს.

ამისკენ მოგვიწოდებდა ილიაც „განთვითეულებულ და ასო–ასოდ დაჭრილს ქართველობას“. გამარჯვებაც მაშინ მოვა, ჩვენც ჩვენი ეპოქის „ქაჯეთის ციხეს“ მაშინ ავიღებთ, როცა ამ პეტრე იბერისეულ სიბრძნეს და ანდერძს აღვასრულებთ, ანუ, შევძლებთ „განყოფილთა შეერთებას“. ეს გაიგო „ნათლითა სიტყვითა მეცნიერებისა“ ილიამ და ამიტომ გვმოდღვრავდა მოუღლებლად – „განყოფაში არის ჩამარხული საქართველოს დამხოზის თესლი“...

– რანი ვართ...

თუ გალაქტიონის პოეტურ ხედვას და გააზრებას დავუჯერებთ, წიწამურთან მესამედასელებმა დაამთავრეს ილიას „ეპოქა დიდი“ და შესაბამისად დასაბამი მისცეს „მესამედასური საქართველოს ეპოქას“... მესამედასელები, მათი ორივე ფრთა, არც მალავდა ამას – ნოე ჟორდანია, „ქართველი მარქსი“, ფილიპე მახარაძე, პეტრე გელიეშვილი, სერგო ორჯონიკიძე... ყველანი ერთად ზეიმობდნენ ილიას თავიდან მოშორებას, მიზანი ერთი ჰქონდათ – „სახრით ხელში ქართველი ხალხის მეხსიერებიდან მისი ნაციონალიზმის „გამორეკვა“... მართლაც კარხანს ილიას ნაციონალიზმის ზედმეტი ბარგი გახდა ჩვენთვის...

ჩვენც ილიას ამ სამნაკვეთიანი ფორმულიდან – რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ, მეორის საწყისად გალაქტიონის „დიდი ეპოქის დამთავრებიდან ვიწყებთ, „უცხო ბაძის მონობას“ და ჩვენი ისტორიის „გმობასა და უარყოფას“ რომ ფართო გზა და გაქანება მიეცა მთელი XX საუკუნე და მეტიც...

„უ მ ა დ უ რ ო ბ ა“

კვლავ გვინდა გავიხსენოთ წიწამურის ტრაგედიამდე ილიას მიერ ყველაზე ხშირად ნათქვამი ეს გულსაკლავი სიტყვა – „უმადურობა“. ამ შემთხვევაში მართალია ნოე ჟორდანია, როცა თავისებური ნიშნისმოგებით წერს, რომ „ქართველმა ხალხმა უარყო ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგი და სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დადგა“. (ნოე ჟორდანია – „ჩემი წარსული“) ეს გულსაკლავი სიტყვა – „უმადურობა“ სწორედ, რომ ამან ათქმევინა ილიას. დიახ, ფაქტს საით წაუვალთ – ილიას და ქართველი ერის გზები კარგა ხნით გაიყარა, „ილია რეაქციის ბურჯი და ხალხის მტერი“ გახდა მაშინ...

მაშ, ასე: „საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული“ უცხო სხეული აღმოჩნდა თავისი „კარგი ქვეყნისთვის“. ასე დარჩა სხეული სულის გარეშე მთელი XX საუკუნე და მასზე მეტიც. ამასთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ ფრაგმენტები 2009 წელს გამოცემული ჩემი პოეტური კრებულიდან. ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერია ნათქვამი საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიაზე:

„ილია მოკლეს!“,
იქუხა ვაჟამ,
ამ ამბავმა
რომ მიაღწია

ბარიდან ჩარგალს...

ვაჟასთან ერთად
იქუხა მთამაც:
მათ რომ შეეძლოთ
საქართველოსაც
მოკლავდნენ ალბათ...

მადლობა უფალს,
ისე გავლიეთ
დრო-ჟამი დღემდე,
„მათ“ ეს ვერ შეძლეს...

– მამისმკვლელნი ვართ!
რად უნდა ამას
ეს უთავ-ბოლო
დისკუსია და
არქივში ქექვა...
უცხო კაცმა თუ არა,
ჩვენ ხომ ვიცით შესანიშნავად:

იმ დღეს თბილისის დუქნებში
საზეიმო სუფრები გაიშალა,
და თბილისელი მოქალაქენი –
კინტოები და ყარაჩოღელნი
სახელგანთქმული თამადები,
ჩინიანნი და უჩინონი,
ლიპიანი თავადები
თუ უქონელი პროლეტარები,
ყველა ცალკ-ცალკე
და ყველა ერთად,
მარჯვენას უქებდნენ
ილიას მკვლელებს
„ბედნიერი ერის“
მაშინდელი ნაშიერები...

დიახ, მსხვერპლს
კი არ გლოვობდნენ,
„ტყის ძმებს“, –
მესამედასელთა
მაშინდელ „კილერებს“
ხოტბას ასხავდნენ

გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის...
რქაწითელით შეზარხოშებულნი
დამბაჩასაც ისროდნენ
ილიას მკვლელთა პატივსაცემად...

გვიყვარს ქართველებს მიჩუმათება,
ლუარსაბივით ყურთბალიშზე
თავის მიდება,
ჭრიაშვილივით ათასნაირ
ზღაპრებს ვიგონებთ,
ჩვენი ცოდვების
გადასაფარად...

კვლავ ვიმეორებ, –
– მამისმკვლელნი ვართ!, –
მე კი არა,
ვინდა არ ამბობს,
ვინც ამჯობინებს
პირში მართლის თქმას...
აკი, აკაკიმ პირში გვახალა
ტყვიაზე უფრო საშინელ რამ,–
„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“

დიახ, ვინ ვარ მე,–
თვითონ აკაკიმ,
თვითონაც მაშინ
მოხუცმა კაცმა,
მოურიდებლად
ტყვიასავით პირში გვახალა:
„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“...

და დღესაც, როცა
სურათიდან ვიჭერ ხოლმე
ილიას ბრძნულ და
გამჭოლავ მზერას,
კვლავ მახსენდება:
– მამისმკვლელნი ვართ
უთუოდ დღესაც,
არ გვესმის რადგან
რას ქადაგებს,

რას ღაღადებს
არ გვესმის დღესაც...

მაგრამ რას ვიზამთ,
მოსახდენი – მოსახდენია,
ეს განსაცდელი
ღმერთმა გვარგუნა...
და თუ გვინდა, რომ
ცოდვისშვილებს
ღმერთმა შეგვინდოს,
იმედიც გვქონდეს
მომავალისა,
ეს ცოდვა უნდა
ჩვენს თავზე ვიდოთ
და სულგრძელობით
ღმერთიც შეგვინდობს...

ბევრს გამოგიცდიათ: უმადურობა ყველაზე დიდი დარტყმაა კაცისთვის, ყველაზე დიდი პიროვნული ტრაგედია, განსაკუთრებით როცა იგი შენთვის ძვირფასი და ახლობელი კაცისგან მოდის. დიდი დარტყმა, რომელიც ხშირად გამოუსწორებელ ფსიქიკურ დამლას აჩნევს, ერთიანად ანგრევს და აუკუღმართებს კაცის ფსიქიკას... ეს ამასთან დიდი ცოდვაცაა იმათგან, ვისაც სიმართლისა და სიკეთის დანახვის მაღლი არ სცხია.

თუ მკრეხელობად არ ჩამომერთმევა, ყველაფერმა ამან ქრისტესთან ილიას ერთ პოეტურ შედარებად გამომათქმევინა:

„სანამ მამალი
სამჯერ იყივლებს,
სამჯერ უარმყოფთ იცოდეთ, –
– დაუბარა მოსწავლეებს
ანდერძად ქრისტემ.

და ჩვენც ხომ ისე,
როგორც რომ ქრისტე,
სამჯერ უარვყავით,
სამჯერ ვუღალატეთ
ჩვენს ერის მამას:
პირველად – წიწამურთან,
შემდეგ – საბჭოეთის ჟამს...
და არ ვცნობთ ახლაც
მას ერის მამად,

ჩვენი მომავლის გზის გამკვალავად...

დიახ, ბატონებო, თუ სიმართლე გვინდა, თუ გვინდა, რომ ილია მართალივით მართალნი ვიყოთ ერისა და ღმერთის წინაშე, ეს სწორედ ასეა: ისტორიას, როგორც ღვთის ნების გამოვლენას, თავისი სიმართლე აქვს, დიდი სიმართლე და ვალდებულნი ვართ ამ დიდ სიმართლეს თვალი ვუსწოროთ, ეს უთუოდ სამომავლოდ გამოგვადგება...

ჯერხნობით კი საქართველო კვლავ მისი „თანამდევი უკვდავი სულის“, გარეშე აგრძელებს სვლას... საკითხავია, სადამდე? ნუთუ მანამდე, სანამ ახალ-ახალი იმპერიების თუ გლობალიზმის ლუკმა არ გავხდებით ხვალ და ზეგ...

„მიწას გაუფრთხილდით!“ – ეს ილიასებური ღრმააზროვანი და ლაკონური სიტყვა – გაფრთხილება სიმბოლურად სოხუმში ითქვა და მას შემდეგ დაიკარგა ჯერ იმის იქით ჩვენი ისტორიული სოჭი და ჯიქეთი, მერე აფხაზეთი და სამურზაყანო, სამაჩაბლო – ახალგორი... უფრო ადრე, სტატიაში – „ემიგრაცია საქართველოდან“ (1895 წ. 4/X), ესეც იწინასწარმეტყველა: „ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია..., მაგრამ მიზეზი ამ მოვლენისა ისეთია, რომ... დღითი-დღე გაძლიერდება“. ვიღას გვახსოვს ილიას მიერ „ივერიაში“ თქმული ეს გაფრთხილება...

და აჰა, დღეს ემიგრაცია საქართველოდან ისე „გაძლიერდა“, რომ ლამის ნახევარი საქართველო დაიცალა ქართველობიდან. და როგორც ორი წლის შემდეგ წერდა („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“), ბოლოს „... ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“...

ესეც კიდევ ერთი „წყევლა-კრულვიანი საკითხავია“ დღეს ჩვენთვის. იგი ჩვენგან სამომავლოდ პასუხს ელის. მაგრამ გვაქვს კი ეს პასუხი?

ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩაფლულებს და ერთმანეთთან ანგარიშსწორებით გართულებს გვავიწყდება წინ გახედვა, ის რაც პოლიტოლოგიაში „სტრატეგიულ ხედვად“ იწოდება და რომლის მიზნად ილიამ თავიდანვე „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“ განსაზღვრა. სწორედ რომ პირიქით – კიდევ უფრო „წარვახდინეთ“ ერთიც და მეორეც...

„არ არის არცერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება – რა იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმარტებელი ისტორია... ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლოება გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავ-ბრუ დახვეულ კაცივით...“

ჩვენ რომ „თავ–ბრუ დახვეული კაცივით“ ვართ ამიტომაცაა, რომ პასუხს სხვაგან ვეძებთ და არა ჩვენს თავსა და ჩვენს ისტორიაში. „ამის გამო ჩვენ ვეღარ ვიკვლიეთ – რა, ვეღარა გამოვიძიეთ – რა... ან, რაღას ვიკვლევდით, როცა ჩვენი აღარა გვჯერა, – რა. ეს ყველა ჩვენი ძველი ნაცადი, ჩვენი წარსულის გამოცდილება გაგვიბათილა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ღრმად ჩაგვითრია“. (უკეთესად ვერ ახსნი ჩვენს „უცხო ბაძის სენს“).

ეს „ღრმად ჩათრევა“, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ. ვეძებთ გამწარებით დედამიწის ოთხივე კუთხით და თითქოსდა ვპოულობთ კიდევ, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდება „სიზიფეს შრომა“ რომ გაგვიწევია მხოლოდ ამ „შრომით“ კი, შორს ვერ წავალთ...

„ვერ გაგიგია ამირან...“

ამიტომაც ვტკეპნით ერთ ადგილზე და წინ წასვლას არ ადგება საშველი ტერტერასაგან მოტყუებული ამირანივით. ასეთმა ანალოგიამ ამოატივტივა მებსიერებაში ხალხური ეპოსის ეს გენიალური სტროფი, ასე რომ ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფას:

„ვერ გაგიგია ამირან,
არგამარჯვების ნიშანი,
ისევ იმ ადგილს მოვედით
სადაც დაკვარი ისარი“.

უსუფის ეს გაფრთხილება გვჭირდება ჩვენც, რათა ასე გაწელილი „გარდამავალი – გაუგებარი“ პერიოდის მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ. მოდით აქაც გულწრფელნი და მართალნი ვიყვნეთ ჩვენი ისტორიის წინაშე: ჩვენ ყველა ერთად მოუმზადებელნი აღმოვჩნდით დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. ეს პირველ რიგში, იმიტომ, რომ დაკარგული გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აზროვნება და შესაბამისი ფუნქციები. ამიტომ იყო, რომ სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და მექანიკურად აღვადგინეთ 1921 წლის მენშევიკების სხვისგან გადმოწერილი მკვდრად დაბადებული კონსტიტუცია.

მან რომ სიკეთე არაფერი მოგვიტანა, მომდევნო წლები ნათელი დადასტურებაა ამისა, შემდგომ „ახალი“ კონსტიტუცია შევაკოწიწეთ, მაგრამ ესეც არაა ჩვენი, ქართული ცხოვრებიდან „აღმოშობილი“, როგორც ამას თხოულობს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, არამედ „სხვათა და სხვათა ბაძით“ და ამიტომაც არც მან იმუშავა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ დღემდე...

იქნებ დადგა დრო, რომ ამ „კონსტიტუციობანობის“ და მასთან ერთად, „პრეზიდენტობანობის“ თამაშსაც თავი ვანებოთ, მის განუწყვეტელ გადაკეთება-გადმოკეთებას ვისაც როგორ აწყობს და ეპრიანება და ხალხს და ქვეყანას მივცეთ ეროვნული ცხოვრების ისეთი ძირითადი კანონი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს... თუ მიძაბვას, აქ მივბადოთ ამერიკელებს, ანდა, იაპონელებს, ასეთი კონსტიტუციით და სახელმწიფო წყობით რომ შექმნეს მსოფლიო ისტორიაში მართლაც რომ უნიკალური სახელმწიფო...

ხშირად მითქვამს და დამიწერია – პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს ჰგავს და პოლიტიკაშიც იმარჯვებს ის, ვინც თავის და მოწინააღმდეგის სვლებს უფრო სწორად, შორს და ღრმად თვლის. ილიასაც არაერთხელ გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება და შედარება. განსაკუთრებით ეს იმპერიასთან ურთიერთობას ეხება. დავაკვირდეთ – „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ ავტორს ერთხელაც არ წამოსცდენია რუსეთთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ აჯანყებისა და ომისაკენ მოწოდება, ასე სავსე რომაა ეს ოც-წლიანი პერიოდი და ჩვენი ქვეყანა გაპარტახებამდე და ათასწიერ უბედურებამდე რომ მიიყვანა. ბისმარკი სად იყო, არც გერმანია იყო გაერთიანებული, როცა ილიამ თქვა – რუსეთს ომი მხოლოდ უომოდ შეიძლება მოუგოთო...

დიახ, პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, ცივი და გამჭრიახი გონებით, შორსმჭვრეტელური და განსაკუთრებული ლოგიკით უნდა თვითოეული სვლის გაკეთება. სხვანაირად დაღუპავ თავსაც და ქვეყანასაც, როგორც ეს პირველ პრეზიდენტს დაემართა. გლობალიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო ართულებენ ყოველივე ამას. ეს მარტო საგარეო პოლიტიკას არ ეხება. საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთი ხის ორი ნაყოფია და აქაც ამ ოცმა წელმა და მეტმა პრობლემები კი არ მოხსნა, კიდევ უფრო გაგვიძრავლა...

ესეც უცილობელი ფაქტია და თუ მიზეზს ვიკითხავთ ყოველივე ამის, მისი პასუხიც უცილობელია: იმიტომ, რომ სწორი გზით არ მივდივართ. თუ როგორია ეს სწორი გზა, გზა, რომელიც „ტაძრამდე“ მიგვიყვანს, ამის ერთადერთ სწორ პასუხს ილია მართალი გვამღევეს, თუ კი რასაკვირველია, ამ პასუხს ყურად ვიღებთ...

„წახდენილი – ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“

ილიას „მგზავრის წერილები“ დაკვირვებული მკითხველის გონებაში უამრავ სიმბოლიკას და საფიქრალს აღძრავს წარსულის, აწმყოს და მომავალი საქართველოს გასააზრებლად. მარტო „ერთა საბჭოს“ გახსენება რად ღირს... ამ

მხრივ არანაკლებ ფიქრთა აღმძვრელია მისი ეს პასაჟი – „წახდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური გააზრებისთვის. მოვიყვანოთ ავტორისა და მისი გმირის გასაუბრების ეს ადგილი:

„– მაშ უწინდელი გაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რად არა?

– რით იყო უკეთესი,

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს, მით იყვნის უკეთ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა? ქვრივ-ობოლს ვიფარვიდით, შინ მაწრიელს (ეშმაკს – ე.ბ.), გარეთ მავნეს დავულაგმავდით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდით, დაცემულს ვიურვებდით, ატირებულს ვიხიოშნიდით და ეგრედ იყვის ბრალება კაცისა და ერთ-ურთობა...

აწინა ერობა დაიშალის, მეძაგ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის მტრობა-ბძარვაი გახშირდნის, აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ – კრთომილ. წახდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის, წახდა, მოისრა ქვეყანაი. რაია აწინა ჩვენი დარჩენა?“

„ადრიდა – აწინას“ ეს დაპირისპირება, მათი ფილოსოფიური გააზრება და აღქმა გაყვა „მგზავრის წერილების“ ავტორს მთელი ცხოვრება, მასთან ერთად კი, – „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის“ ახალ ისტორიულ ეპოქაში აღდგენის დიდი ოცნებაც და ნატვრაც. მაგრამ ეგაცაა ამით არ შემოიფარგლა ილია და თავისი მოხვევისაგან განსხვავებით, შემდეგ უკვე მომავლის დიდი ხედვაც ზედ დაანათლა ამ „ადრიდა – აწინას“. ეს ხედვა და მასთან ერთად, მისი „კონსტიტუციური გაკანონება“ დღემდე რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“...

რატომ? – ალბათ ღირს ასეთი კითხვის დასმაც. ნუთუ ქართველობას არ გვინდა, ანდა, გვინდა და არ შეგვიძლია ამ ლელთლუნიასეული „წარხდენილი ქართველთა სახელისა და წეს-წყობის“ აღდგენა? – პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება.

მარტოსული

„ძნელი არის მარტოობა სულისა...“, ჩივის პოეტი და პოეზიის გარდა პირად წერილებშიც გამოხატა ეს – „ამდენი ხალხი იყოს შენს გარშემო და მაინც მარტოდ ხარ, არავის და არაფერს იკარებს სული...“

ეს ილიამდე იყო, მაგრამ ილიამაც, ბარათაშვილის აღმოჩენა – წარმოჩენაში რომ ლომის წილი მიუძღვის, თავის თავზე გამოსცადა ეს დამთრგუნველი ფსიქიკური გრძნობა – „ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ გრძნობა ვანდო, ფიქრი ჩემი გავუზიარო...“ – მაგრამ სულ სხვანაირი, მართლაც რომ დამთრგუნველი მარტოსულობა დაეუფლა სიცოცხლის ბოლოს: აღარაფერი აინტერესებდა, თვით ფილიპე მახარაძის დემაგოგიასა და პასკვილზეც კი, პასუხის სურვილიც კი არ გაუჩნდა მესამედასელებთან იმ სამკვდრო-სასიცოცხლო პოლემიკის ავტორს... სანამ მისი პირმშო „ივერიის“ რედაქცია ერთიანად არ დაემუქრა, რომ თუ არ უპასუხებ მას, მაშინ ჩვენც მის მხარდამჭერ წერილს გამოვაქვეყნებთ...

ბევრმა შეიძლება გაიკვირვოს – ილია და მარტოსული?! ამდენი საქმე, ამდენი ხალხი მის გარშემო და ობლად გრძნობს თავს?!... გასაკვირია მართლაც, მაგრამ ფაქტია, არტურ ლაისტი იხსენებს მკვლევლობამდე ილიასთან შეხვედრას – იჯდა გარინდებული ბალკონზე და გადაჰყურებდა არაგვის ხეობას... ძველებურად აღარ ეხალისებოდა ჩემთან საუბარი პოლიტიკაზე თუ ლიტერატურაზე, ევროპისა თუ რუსეთის ამბებზე... ოღონდ რომ საუბრე შემოგვიტანა, არც გაუგია, მეც მერიდებოდა დამერღვია სიმყუდროვე... ყველაზე მეტად, რაც ჩამრჩა მეხსიერება – მასთან ბოლო შეხვედრებიდან, ესაა სიტყვა „უმაღურობა“...

ეს დაკვირვება არტურ ლაისტისა მისი ბევრ რამეს ხსნის ილიას მაშინდელი სულიერი მდგომარეობიდან: სულ რაღაც ორიოდე თვის დაბრუნებული „სახელმწიფო საბჭოს“ სხდომებიდან და მიხვდა: კადეტების მიზანი რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის დამთავრებისა ფუჭი აღმოჩნდა – რუსეთის ევროპული გზა – „ზაპადნიკობა“ არარეალური იყო მაშინაც და დღესაც, „სლავოფილობა“ კი იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების სტრატეგია მუდმივი თანამგზავრია...

ამან რა თქმა უნდა ითამაშა თავისი როლი ილიაზე და აქ რომ დაბრუნდა ამას დაემატა მესამედასური ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სრული ზეობა და გაბატონება ეროვნულზე. ქართულ მიწაზე კვლავ ზეიმობდა შაჰ-აბასის წყევლა – „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ“ და ილიაც გრძნობდა ამის სამომავლო სისხლიან – ცრემლიან შედეგს. მის ამ განწყობას პოეტურადაც გამოვეხმაურე:

რაც კი რამ ღამე ვათიეთ მწუხრის,
რაც კი რამ ავი შეგვემთხვა გუშინ,

რაც კი ავი გვჭირს ქართველებს დღესაც,
ნურვის დავაბრალებთ ჩვენს ცრემლთა დენას,
მახვილებს ერთმანეთს ჩვენ ვუყრით გულში...

ეს წინათგრძნობა მარტოსულისა რამდენჯერ ახდა მესამედასურ საქართველოში, ამას ვინ დათვლის. მისი დისშვილიც ხომ ამას შეეწირა ათასობით სხვა ქართველი პატრიოტებთან ერთად. „ჩაკლული სული“ – ასე შეაფასა ეს საერთო – ეროვნული ტრაგედია გრიგოლ რობაქიძემ და ეს ყველაფერი გაგრძელდება კვლავაც, თუ „საერთო ნიადაგის“ დიდ იდეას არ მოვიშველიებთ ფარად...

ერთი სიმბოლიკაც მინდა მოვიყვანო ჩვენი უახლესი ისტორიიდან: როდესაც 1992 წლის იანვარში რუსთაველზე ტყვიების ზუზუნი შეწყდა, იქ გასულებს საოცარი სურათი დაგვხვდა ილიასა და აკაკის ძეგლთან – ფეხს ვერ აუქცევდით დაცლილ გილზებს ათასობით რომ ეყარა ირგვლივ...

მაშინ მე და ლევან სანიკიძემ გავიხსენეთ ილიას საახალწლო მისალოცი წერილი – „რა გითხრათ? რით გაგახართ?“ და მუჰა-მუჰა შევაგროვეთ არქივისთვის ძეგლის წინ დაცლილი გილზები შესანახად შემდეგი წარწერით – „ამით ულოცავდნენ ქართველები ერთმანეთს ახალ წელს“...

შევეცადე მარტოსულობის ილიას ეს განწყობა პოეზიით გამომეხატა:

გულს ძველებურად
აღარ ერჩის
მიწის და ცისა,
მომბეზრდა თითქოს
ეს ხმაური წუთისოფლისაც...
აზრი დავკარგე
ნალოლიებ ოცნებებისაც...
ნუთუ დრო დადგა
ანგარიშის გასწორებისა
ნაცოდვილართან ამა სოფლისა...

ილიას განსაკუთრებით აღიზიანებდა ნიჰილიზმი წარსულისადმი, ჩვენი ისტორიის აბუჩად აგდება და თაყვანისცემა ყველაფერი სიახლისადმი. თვით „ივერიის“ რედაქციაშიც ხშირად ესმოდა ამის გამოძახილი და „კვალის“ და სხვა გაზეთების მსგავსად მოითხოვდნენ გაზეთის კურსის შეცვლას „ახალმოდურად“. ამიტომ იყო, რომ ბოლო წლებში მასზეც გული აიყარა...

2007 წელს, როცა ილიას დაბადებიდან 170 წლისთავის სამზადისში ვიყავით, მინდოდა სიტყვაში მისი პიროვნული ტრაგედიის და მარტოსულობის ეს მომენტიც გამეჟღერებინა, მაგრამ ამ იუბილეს ე.წ. „ნაციონალებმა“ ისეთი საერთო – ეროვნული ტრაგედია „უძღვნეს“, მესამედასელებსაც შემურდებოდათ.

ათი წლის წინ ილია და მისი „საერთო ნიადაგი“ კი არა, საკუთარი თავი და ოჯახებიც კი, დაავიწყეს ხალხს. „ილიალოგთა კლუბმა“ მაინც ჩვენთვის, შინაურულად ავღნიშნეთ ეს და თვითონ წარსულის ნიჰილიზმისადმი ეს პოეტური გააზრებაც მაშინ გავაჟღერე:

მოდის საუკუნეა ეს ჩვენი საუკუნე,
მოდა კი მსხვერპლს ითხოვს მუდამ,
ძველ სიბრძნეს ყველაფერს
წერტილი დავუსვით,
რაც კი წინაპართ უთქვამთ...
ნარცისად გადაქცეულნი
ხიდებს ვწვავთ ისე,
აღარ ვიხედებით უკან...
პატრიოტობაც მოდად ვაქციეთ,
მოდა კი, მსხვერპლს ითხოვს მუდამ...

ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიას ხომ, მოდად ქცეული მარქსიზმი ვარჩიეთ და რაც მოგვიტანა ამან, ყველამ ნახა...

„სიკვდილის ლოდინი ლხენაა...“

ესეც დიდი ფილოსოფიური გააზრებაა საქართველოს ისტორიისა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ იმისა, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ეს დიდი იდეა მან მხატვრულადაც გამოხატა – „ოთარაანთ ქვრივში“, ქართული ნოველის ამ შედეგში. დავაკვირდეთ როგორ იწყებს იგი მას:

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“.

ეს ალეგორიულად შერქმეული „ვეებერთელა სოფელი“ ავტორის გააზრებით და ჩანაფიქრით საქართველოა, ხოლო მის ყველა დანარჩენ 22 თავში გადმოცემული მონათხრობი საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაა.

და არა მარტო საქართველოსი. იგი ამასთან, კაცის, პიროვნების არსისა და არსებობის ფილოსოფიური აღქმა და გააზრებაა. ამ მხრივ ავიღოთ XVIII თავი – „უკანასკნელი განდობა“. ამ ლაკონურ და ფრთიან ფრაზას – „სიკვდილის ლოდინი ლხენაა“, ილია ოთარაანთ ქვრივს მეწისქვილე სოსიასთან მოკლე დიალოგში ათქმევინებს...

ვინაა ეს „მეწისქვილე სოსია“, რომელიც ნოველის სიუჟეტში სულ ორჯერ ჩნდება, თუმცა ყოველთვის კვანძის გახსნის ჟამს, როცა მკითხველისთვის

ავტორს განსაკუთრებული სათქმელი აქვს – აქ და კიდევ ბოლო, XXII თავში („წყევლა–კრულვიანი საკითხავი“). მეწისქვილე სოსია შვილის ცხედართან მარტოდმარტო დარჩენილი ოთარაანთ ქვრივის „ზარის“ მოზიარე თვითმხილველია, ნოველის ის პერსონაჟია, რომელიც არ დაემორჩილა ოთარაანთ ქვრივის თხოვნა–ბრძანებას და არ დატოვა მარტოდ ჯერ კიდევ გაუციებელ შვილის ცხედართან. ილიას გააზრებით, მეწისქვილე სოსია საქართველოს ისტორიის ის ჟამთაღმწერია, რომელიც თვითონაც იზიარებდა მის ავსა და კარგს, მის „ოქროვან ხანაშიც“ და მის შემდგომ დამდგარ „ძნელბედობის ჟამს“. ამის არაერთი მინიშნებაა ამ თავშიც და შემდგომშიც. ამიტომაც ტკივილი გიორგიც და მისი დედაც: აი, ნოველის ეს სცენა – სიმბოლიკა:

და როცა ეგონა გიორგის ცხედართან მარტო დარჩა და „ქვითინ–ქვითინით პირქვე დაემხო შვილის გაციებულს გულს“, ჩაზნელებული ოთახის კუთხიდან „ვიდაცის ბლავილსავით ტირილის ხმა ესმა“. ვის ტიროდა სოსია? გიორგი – საქართველოსაც და ოთარაანთ ქვრივისადმი თავის უიღბლო სიყვარულსაც, გულში რომ ატარებდა საიდუმლოდ ჭაბუკობიდან. როცა ოთარაანთ ქვრივმა მჭახე ხმით შესძახა – „ვინ სოსია“–ო, პასუხად მიიღო:

„ – თუ გაგონდები, კარგი, თუ არადა, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ სალხენი რამ დაგრჩენია ამ წუთისოფლად.

– რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!...“

ხომ ყველას ტრაგიზმად გვეჩვენება ნოველის ეს თავი, პესიმიზმისა და ამოების გამოვლენად ამქვეყნად მოსული კაცისა, თანაც შვილმკვდარი დედისა. ეს ალბათ ასეც არის და არც არის უცნაური უკვე ცხოვრებით დაბრძენებული და შეიძლება უკვე მისგან მოყირქებული ავტორისა. ილია ხომ ამ დროს უკვე 50 წელს გადაცილებული კაცია, ბევრი კარგიც აქვს ნანახი და ავიც...

მაგრამ ჩემი ფიქრით, ეს პრობლემა უკავშირდება იმ სულიერ და ფსიქო–გენეტიკურ ფენომენს, რასაც როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიო ლიტერატურაში „მსოფლიო სევდა“ ჰქვია. პეტრე იბერიდან მოყოლებული, ქართული აზრი, ქართული ფილოსოფიური სკოლა არ მორიდებია ამ თემას და ილიაც თავის წილ ხარკს უხდის მას. აი, როგორ ხსნის იგი ამ „ილაჯგაწყვეტილობას“ სტატიაში – „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“:

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი–ვაგლახმა და მეცხრამეტეს წიწვა–გლეჯამ ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის–თავის იმედი დააკარგვინა... ილაჯ–გაწყვეტილი სვენებას მიეცა... წარსულის მომხრენი დამარცხდნენ (იგულისხმება 1832 წლის „შეთქმულნი“ – ე.ბ.) და სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელს, თუმცა კი გულისტკივილი მათი დარჩა თესლად ცხოვრების ხნულში...“

ამიტომაც ამ ხანაში ვხედავთ სრულ უკაცურობასა..., წარსულ ანდერძებთან ერთად, ყველაფერი დაკვარგეთ, ისიც–კი დავივიწყეთ – ვინა ვართ

და რისთვის ვართ, საგანი ცხოვრებისა დაგვარგეთ. ამისთანა ყოფა დიდხანს თავს ვერ შეინახავდა... და ბარათაშვილმა კაცობრიულს წყურვილს ქართველიც დააწაფა. საზღვარდაუდებელი სიგრძე–სიგანე ადამიანის აზრისა ჩვენის პოეტის სულისკვეთებას ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი გაარღვიოს, ... რომ დაუსრულებელი სივრცე და სამყარო მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გოეთეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა – თავისი „მერანი“, ესე იგი, თავისის სულის ქროლვა“.

მაგრამ ილია განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ბარათაშვილს მიზნად დაუსახავს კაცისა და კაცობრიობის უსასრულო გზისსავალის შემდგომი სვლაც, რათა „ჩემს შემდგომაც მოძმესა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს“. მისი „ოთარანთ ქვრივის“ ეს საკრალური თემაც – „სიკვდილის ლოდინი ლხენა“, ამის წვდომა და გააზრებაა, ოღონდ ეგაა, საქართველოს და ქართველი კაცის ლოკალურ დროსა და ლოკალურ სივრცეში. „სიკვდილის ლოდინი“ ამის დასტურია...

ეს დიდი ფილოსოფიური და ერთდროულად, ფსიქოლოგიურ – ისტორიული წვდომა მესამედასის კარიბჭესთან მდგარი კოლონიური საქართველოსი ილიას პესიმიზმის და ამასთან, ოპტიმიზმის გამოვლენაა. შეიძლება უცნაურად ჟღერს ეს გაგება ნოველისა, მაგრამ ამის ახსნა მომდევნო ორი თავია („ჩატეხილი ხიდი“ და „დასაწყისი განთიადისა“): ძველსა და ახალ საქართველოს შორის „ჩატეხილი ხიდი“ უნდა გამოთელდეს – ასეთია არჩილსა და კესოს დიალოგის არსი. „სიკვდილის ლოდინიც“ მაშინ გახდება „ლხენა“.

ილიას მთელი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ დიალოგის გაგრძელებაა, იმის ცდაა, რომ საქართველოს ისტორიის „ცრემლიანი ცოდნით, თუ ცოდნიანი ცრემლით“ გააგებინოს ირგვლივ ყველას, რომ ერის ხსნა და გადარჩენა „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება და ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებაა“. მისი ტრაგედიაც ის იყო, რომ ამის გაგება და გაგონება არავის უნდოდა „ასო–ასოდ დაჭრილს და განთვითოებულს საქართველოში“. ამიტომ იყო სიცოცხლის ბოლოს სრულ მელანქოლიას მიცემული. ძლივს დააწერინეს ფილიპე მახარაძის პასკვილზე პასუხი („ნუთუ“?). გული მისი აღარაფერს იკარებდა აღარც ავს, აღარც კარგს. ამქვეყნიური ცხოვრების განურჩევლობა და ამაოება დაეუფლა მთელ მის არსებას, აკი, როცა მისი სხეული გაკვეთეს, ექიმებმა ასე დაასკვნეს – რამოდენიმე თვის სიცოცხლედა თუ დარჩენოდა მას, ალბათ ამიტომ უთხრა აკაკიმაც გამომშვიდობებისას – სიკვდილითაც გაჯობეო...

მაგრამ მაშ, რაღა არის „სიკვდილის ლოდინის ლხენის“ მისეული ფილოსოფიის ოპტიმიზმი? აკი, ყველა ადასტურებს, ვინც კი ბოლო დღეები მასთან გაატარა წიწამურის გასროლამდე მის ყველაზე ხშირად თქმულ სიტყვას ამ წუთისოფლად – „უმაღურობა“. მაშ, რისი ოპტიმიზმი და „ლხენა“ გაჰყვა ილია

– ოთარაანთ ქვრივს გიორგი – საქართველოს დამკარგავს? რა გაიფიქრა მან უკანასკნელ წამს, როცა დაამთავრა თავის სავალი გზა ყვარლის მთებიდან წიწამურამდე?...

„ნ უ თ უ“

უკანასკნელი შედეგრი ილია ჭავჭავაძის პოლემიკური მემკვიდრეობისა – „ნუთუ?“ არ დაგვავიწყდეს – ესეც ძალის-ძალობით დაწერილი, – დაემუქრნენ ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი მისი თანამოაზრენი და პატივისცემელები: თუ არ უპასუხებ მესამედასელთა ბრალდებებს, მაშინ ჩვენც გამოვალთ ერთობლივი წერილით – ყველაფერი, რასაც გაბრალებენ, მართალია და ბოდიშს მოვიხდით, რომ აქამდე შენს გვერდით ვიყავით და ვერ მივხვდით შენს „მტარვალობას“ და „შავბნელ რეაქციონერობას“...

და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, კიდევ ერთხელ თავი შეახსენა მესამედასურ გზაზე შემდგარ ქვეყანას და ერთმანეთზე ჩასაფრებულ „ასო-ასოდ დაჭრილ და განთვითოებულ“ ქართველობას თავისი არსებობა...

მაგრამ ვაი ამ თავის შეხსენებას: ამას პასუხი არ შეიძლება ეწოდოს მთელ იმ პასკვილზე, რაც მას თავს დაატეხეს მახარაძეებმა, ჟორდანიებმა, გელეიშვილებმა და მათგან წაქეზებულმა სტამბის მუშებმა, უარი რომ თქვეს ილიას საპასუხო წერილის აწყობასა და დაბეჭდვაზე...

ეს არის საბრალდებულო დასკვნა მთელ მესამედასურ საქართველოზე, მტრისადმი მიმართული და ხმალზე ამოკვეთილი ერეკლე მეფის სიტყვების მსგავსი – „მე ვარ ავი მუსაიფი“, – ავი მუსაიფი საკუთარ ხალხსა და მის მომავალზე მიმართული...

დიახ, მთელ XX საუკუნის მესამედასურ საქართველოზე მიმართული, მანამდე რომ „ავი მუსაიფი“ გაუმართეს არა მარტო მას, ილიას – „საქართველოს თანამდეგ უკვდავ სულს“, არამედ საქართველოს ძველ, იმჟამინდელ და მთელ მომავალ ისტორიას...

ამით „საერთო ნიადაგი“ მიუღებელი გახადეს თავისთვისაც და მათგან მოტყუებულ – გაბითურებული ხალხისთვისაც. და აღასრულეს კვლავ მერამდენედ შაჰ-აბასის წყევლაც – „ღმერთო ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“

ნუთუ ასე უნდა გაგრძელდეს დღესაც „საერთო ნიადაგის“ გარეშე ჩვენი სამომავლო სვლა და მის ნაცვლად, შაჰ-აბასის წყევლას დავემონოთ კვლავ...

დიახ არავის გაგვიკვირდეს, არც გვეწყინოს – „ნუთუ“ ბრალდებაა მიმართული არა მარტო, მესამედასელ კოსმოპოლიტ-ინტერნაციონალისტთა წინააღმდეგ, არამედ გლობალიზმის ეპოქის დღევანდელი თაობების მიმართაც.

მაშინაც და დღესაც ჩვენ ყველა დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგავართ: მართლა „დავბერდით“ და ამოვწურეთ ჩვენი შემდგომი სიცოცხლისა და განვითარების „პოტენციალი“, თუ ქართველ ერს კვლავ დაგვრჩა ივ. ჯავახიშვილისეული „ისტორიული პერსპექტივა“ ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში...

ამ კითხვას პასუხის გაცემა უნდა, პასუხად კი – დაფიქრება და იმის გააზრება – გათავისება, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულნი ვართ ვიფიქროთ ამაზე და იმაზეც, თუ როგორ ჩავაბარებთ XXI საუკუნის ქართველობა ამ დიდ გამოცდას ჩვენი მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე...

„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს!“

ილიას პოლიტიკური ფილოსოფია პრაგმატიზმს ეფუძნებოდა, პრაგმატიზმს კი მოგეხსენებათ, საფუძვლად ეს კრედო უდევს: „ჭეშმარიტება არის ის, რაც სასარგებლოა ჩემთვის“. რაკი ქვეყანას მოუწია კოლონიურ ყოფაში ცხოვრება, ილია ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა მეტროპოლიის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება ჩვენი ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვის. ეს პირველ რიგში რუსეთ-თურქეთის ომებს ეხებათ.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს ძველი ისტორიული მხარის – მესხეთის კიდევ ერთი ნაწილი – ბათუმი და აჭარა შემოუერთდა. ილიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მართალია ბერლინის საზავო კონფერენციამ ძველი ტრაპიზონის სამეფოს ზღვისპირა და შიდა ტერიტორიების ნაწილი კვლავ თურქეთს დაუბრუნა (ამიტომ არ უყვარდა ილიას ბისმარკი), მაგრამ რაც რუსეთს ამ კონფერენციით დაუკანონდა, ესეც დიდი მონაპოვარი იყო ახალციხის შემდეგ ძველი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზაზე...

და რა საოცარი ტკივილი განიცადა ილიამ, როცა 300 წლის წინ დაკარგული ქართველების დაბრუნებას რაღაც გაუგებარი პროტესტით შეხვდა მაშინდელი ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი. ეს იყო ნამდვილი სიგიჟე და სიბრყვე მაშინ. საქმე ხომ, იქამდე მივიდა, რომ ომისაგან გაჩანაგებულ-გაპარტახებულ მხარეში მაჰმადიან ქართველთა დახმარებას ნამდვილი ობსტრუქცია გამოეცხადა. შედეგად მუსლიმმა ქართველობამ მასობრივად იწყო თურქეთში გადასახლება. „ივერიის“ 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია გულისტკივილით წერს:

„ხალხი ოსმალეთში გარბის! გაგონილა!... რა ამბავია, რა ამბავია?! ადამიანი კიდევ ადამიანია, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ

იყენებს, ვეღარ იშვინებს, ვეღარ ითვისებს!... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემრყევი ამბავია ... ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს ქართველობავ ...“

ბრძენი და გონიერი კაცი აწმყოსაც კარგად ხედავს და აანალიზებს, მომავალსაც და წარსულსაც, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი ავიც და კარგიც ... ილიამ იცის, რომ – „დიდებული ძველი მესხეთი საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში... პირველად ქრისტიანობამ აქ მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა ჯერ კიდევ წმინდა ნინოს მოსვლამდე ...

თამარ მეფის შემდეგ, როცა ჩვენი ქვეყნის ერთობა დაირღვა ... ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგაც 1625 წლამდე სამცხე–საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა... 1625 წელს ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ–თულიანი ფაშობა ოსმალთაგან და სახელად დაირქვა საფარ–ფაშა...

ეგრეთ–მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსულმა საქართველოს შავმა ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ერთობისა და ქრისტიანობისათვის სისხლდანთხეულს საქართველოსა.“

ეს ამონაწერი, ისე როგორც მთელი ეს ვრცელი სტატია – „ოსმალთა საქართველო“ და ამ თემაზე დაწერილი ათეულობით სხვა წერილები და სტატიები ილიას „საერთო წიადაგის“ თეორიის ერთ–ერთი დიდი სამომავლო იდეისა და პრინციპის – ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ძმობისა და ერთობის დასაბუთება–გადმოცემაა. ეს მისი დიდი რწმენაცაა, რომ ორ რელიგიურ აღმსარებლობად გათიშული ერი შესძლებს მონახოს შინაგანი ძალები თავისი ერთიანი ისტორიული და ფსიქო–გენეტიკური ფესვების მოძიებისა და გამოცოცხლებისათვის, ახლო თუ შორეულ მომავალში. ამიტომ წერს იმედიანად:

„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც ...არ გვაშინებს მეთქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებსდღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ კიდევ ერთმანეთს შევუერთდეთ“...

„ბედნიერი მორიგება“...

ეროვნულთან ერთად ილიას აღელვებდა და აფიქრებდა საერთო-საკაცობრიო არაერთი პრობლემა. ერთ-ერთი მათგანი იყო მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრობლემა. თვით მაშინდელ ევროპაშიც კი ფართოდ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა და შეხედულებამ, რომ სადაც მეცნიერებაა იქ სარწმუნოებას არაფერი ესაქმება და პირიქით. ის აზრიც დამკვიდრდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი აღარ ტოვებს ადგილს რელიგიისთვის...

გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში ილიამ არა მარტო ექვის ქვეშ დააყენა ეს, არამედ პირიქით, ის იდეა განავითარა, რომ კაცობრიობის მომავალი განვითარება და გარემომცველი სამყაროს შეცნობა ადამიანს შეუძლია მხოლოდ მეცნიერებისა და რელიგიის, – ცოდნისა და რწმენის ერთობლივი ძალისხმევით, ამ ერთი შეხედვით თითქოსდა „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგებით“, ადამიანის სულიერი და მატერიალური საწყისების ორგანული მთლიანობით:

„ქვეყანა ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. - ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ესწრაფვის და მეორესაც, ნება-უნებლიედ ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა. ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არ არის რა, გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს ზოგად-სოციოლოგიური და ზოგად-კაცობრიული იდეა და ღირებულება გახდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგიაც და პოლიტიკურთან ერთად, ზნეობრივი კანონიც. მართლაც რომ ილიას მასშტაბები შეხვდა მცირე, თორემ „მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა“...

ამიტომ ვწერთ ხოლმე ხშირად ილიაზე, რომ ეროვნულთან ერთად იგი ზოგადკაცობრიული ღირებულებების დიდი მოამაგე და მქადაგებელია. ეს შეიძლება ბევრს გადაჭარბებდად მოეჩვენოს, მაგრამ ვინც ამ თემაზე ილიას მემკვიდრეობას კარგად იცნობს, ის აუცილებლად დაგვეთანხმება. მარტო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისი სიტყვა გავიხსენოთ, ანდა, ნოველა-„სარჩობელაზედ“...

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ეს მეთოდოლოგიური პრინციპიც – „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“, მაშინდელი და თუ გნებავთ, დღევანდელი და მომავალი

საკაცობრიო განვითარების „გზის გამკვალავია“. ამ მხრივ, იგი მარტო „ეროვნული იდეოლოგი“ კი არა, ზოგად-კაცობრიული იდეოლოგიცაა. ეს ცნებაც – „ზოგად-კაცი“ ილიას მიერ დიდი ქართული სიტყვის – „კაცის“ ხუთსახოვანი კლასიფიკაციიდანაა აღებული: სტატიიდან – „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“: „ზოგად-კაცი“, „ერის-კაცი“, „თემის-კაცი“, „გვარის-კაცი“ და „ოჯახის-კაცი“. ჭეშმარიტად რომ ილია ჩვენი დიდი „ერისკაცი“ არის და „ზოგად-კაციც“. მისი მემკვიდრეობა ამ მხრივაც არის გასააზრებელი და დასაფასებელი ჩვენგან...

„დეე, იქვე გაითხაროს სამარე ...“

თუ გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი ილიას სიტყვას უფრო ზოგად-კაცობრიული ღირებულება და განზომილება აქვს, 1895 წლის 20 მაისს ბანკის კრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ერის-კაცობისა და პატრიოტიზმის ნიმუშად გამოდგება. აი, ამ სიტყვის მოკლე შინაარსი:

„მე ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთი ორატორისგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი აქვსო...

მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა, მე ვებრძვი აზრს ... ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსული, უცხოა და არა სახლი-კაცი, სისხლი და ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვია?! ...

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა ... , რაც ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულიშვილნი იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. მთელმა თაობამ XIX საუკუნისამ ამას შეაღია თავისი ძალღონე (აქ ილია გულისხმობს „შეთქმულებს“ და ერთ-ერთ მათგანს – ვახტანგ ორბელიანს ახსენებს კიდევ – ე.ბ.), აწ განსვენებულმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა და ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო. ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! ... ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ

უკეთური აზრისათვის. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“.

მაგრამ ტრაგედიაც ის იყო მისიც და მისი საქართველოსიც, რომ ეს „უკეთური აზრი“ არც მაშინ და არც მერე არ დაიმარხა. იგი დრო და დრო თავს წამოყოფს ხოლმე კვლავ ... აქ ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ილიას არაეთი საჯარო გამოსვლა ჰქონია ამავე თემაზე და თავისი ორატორული ხელოვნებით და რაც მთავარია, „მართლის სამართლით“ ვერავინ ბედავდა ხმა ამოელო და დაპირისპირებოდა ეროვნული ერთობის ამ დიდ იდეას მის სიცოცხლეში. ამიტომ გადაწყვიტა „მესამე დასმა“ მისი როგორც „კლასობრივი მტრის“ იზოლაცია და სახელის გატეხვა. ზედიზედ გაჩნდა ფილიპე მახარაძის, პეტრე გელეიშვილის, ნოე ჟორდანიას და სხვათა „მამხილებელი წერილები და ფაქტები“ თუ როგორ დაუნდობელი და „სისხლისმწოველი მეზატონე“ იყო იგი.

მხოლოდ ამით აიხსნება ილიას თავისებური ინდეფერეტიზმი და განდგომა „ივერიდანაც“ და ბანკის საქმეებიდანაც. XX საუკუნის მთელი პირველი წლები იგი უფრო კარჩაკეტილად ცხოვრობდა საგურამოში და მთლიანად გადაერთო „ავტონომიზაციის“ თავისი იდეის გასატანად იაპონიასთან ომით და რევოლუციით ძალამორყეული იმპერიის სახელისუფლო წრეებში, მაგრამ ეს იდეაც ცარიელ იდეად დარჩა ბოლოს ...

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, 1907 წლის ივლის–აგვისტო უპირატესად საგურამოში გაატარა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა თბილისში აქა–იქ შემორჩენილ თავის სამეგობრო წრეში. მათგან ყველა ერთხმად იხსენებს ნოსტალგიამომძლავრებული ილიას ბოლო, ყველაზე ამოჩემებულ სიტყვას წიწამურის გასროლამდე – „უმაღურობა“. დიახ, უმაღურობის, დაუფასებლობა–დაუნახაობის მეღანქოლია მოეძალა 70 წელს მიტანებულს, ასეთი ილია – ყველასაგან განდგომილი და მარტოსული, არავის ენახა მანამდე ...

ორიოდე სიტყვა „ივერიის“ რუბრიკებზე

ილიას მემკვიდრეობის ეს სქემატური ქარგა – ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ამას იგი პირდაპირ და ცხადად ვერ დააფიქსირებდა. ამიტომ მას ეს ყველაფერი გაბნეული აქვს „ივერიის“ სხვადასხვა რუბრიკებში. ვისაც გაზეთის ეს რუბრიკები დაუმუშავებია, მას ემახსოვნება, ილიას ეს ჩვევაც – გარდა საპროგრამო წერილებისა, რომლებიც როგორც წესი, პირველსავე გვერდზე ქვეყნდებოდა ხელმოუწერლად. დანარჩენ გვერდებზეც ბევრია ისეთი სტატიები და წერილები, რომლებიც ძალიან ხშირად ხელმოუწერელია. მაგრამ 80–90–იან წლებში დამკვიდრებული ტრადიციით, მათი ავტორიც მუდამ გაზეთის რედაქტორი იყო.

ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ რუბრიკებს, როგორებიცაა „საპოლიტიკო მიმოხილვა“ „თემი და სოფელი“ „ცხოვრება და კანონი“ „ახლობელნი და შორებელნი“, „ხმა ევროპიდან“ და „შინაური მიმოხილვა“. მათ უნდა დავუმატოთ 900–იან წლებში მომრავლებული პოლემიკური წერილები „მესამედასელთა“ წინააღმდეგ და ჩვენ მივიღებთ მეტად მდიდარ და მრავალფეროვან მასალას „საერთო ნიადაგის“ თეორიის და მისი პრინციპების ანალიზისთვის. ეს კი ჩვენი მომავალი კვლევის საგანი და ამოცანაა...

დავითის „ძალისხმევის“ და თამარის „სათნოების ხაზი“...

ილიას ფიქრი და ოცნება ხშირად დასტრიალებდა „ჩვენს დიდებულს ოქროვანს ხანას“, იმას, რაც „უწყალო დროთა ბრუნვით დანთქმულა“. მაგრამ ესეც უნდა ითქვას:

ეს არ იყო მისი მხოლოდ მოგონებებით ტკბობა და ყველაფრით ამით „მარტო ცარიელი გულის ფხანა“, რამეთუ იცოდა თავის ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, რომ – „გულის ფხანა ქეცმა იცის“... ამიტომ ცდილობდა იქ ისეთი „მაგარი ქვების“ მოძიებას, რომლებიც საძირკვლად გამოადგებოდა ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სტატიაზე – „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ და იქ განვითარებულ ილიას იდეაზე „კომლისა და ხოდაბუნების ერთიანი ეროვნული სამეურნეო კორპორაციული სისტემის ფორმირებაზე“, მაგრამ „საქართველოს შიდა-ცხოვრების“ ასეთ წმინდა ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, იგი მაშინდელი ქართული სახელმწიფოს გლობალურ პოლიტიკურ სტრატეგიაზეც ფიქრობდა, მის სამომავლო დანიშნულებასაც ანალიზებდა...

ამ ანალიზის შედეგია ის, რასაც XI–XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის 150 წლიან მონაკვეთს „დავითის ძალისხმევისა და თამარის სათნოების ხაზის“ სახელდებით ვიხსენიებთ. ისტორიკოსთა წრეებში მასზე კამათი და დისკუსია ხშირად იმართებოდა, მათ შორის, ჩვენი „ილიალოგთა კლუბის“ ეგიდითაც და ეს ყველაფერი თეორიული და მეცნიერული სახით ბოლოს ასეთი დასკვნით მთავრდებოდა:

ორივე ეს „ხაზი“ ერთდროულად და ერთნაირად აუცილებელი კომპონენტია სახელმწიფოს განვითარება-ფუნქციონირებაში, ისინი მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია. ქართული სახელმწიფოც მაშინ დასუსტდა და მოიშალა, როცა ის 150 წლიანი ბალანსი ამ „ორი ხაზისა“ დაირღვა ლაშა-გიორგის და მისი „რინდთა პარტიის“ მიერ. პირუთვნელად წერს ამაზე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი.

„მნელბედობაც“ არა იმდენად გარე-თავდასხმებმა გამოიწვია და ასაზრდოვან, რამდენადაც ამ „ორი ხაზის“ დისბალანსმა, ქართულ სახელმწიფოს ის ილიასეული „მაგარი ქვეები“ ერთბაშად რომ გამოაცალა, შედეგად კი, „ფუყე ქვეები“ გაუმრავლა ჯერ ლაშა-გიორგის და რუსუდანის, მერე კი „დავით ულუს“ და „დავით ნარინის“ მეფობაში...

ილია, ფოლკლორი და პოლიტიკა

ხალხი ხელისუფლების წყაროა და ამ გააზრებით უპრიანია ვნახოთ, თუ როგორ აისახება ხალხის შეგნებაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ოდითგან ყოველივე ის, რასაც „პოლიტიკას“ ვეძახით დღეს. ახლა, როცა გაცხადდა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მომავალ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს, ამ მხრივაც ყური უნდა მივაპყროთ ხალხის ხმას. „მრავალჯამიერის“ თუ „ჩაკრულოს“, „ოდოიასა“ თუ „ხასანბეგურას“, „ვეფხისა და მოყმის“ თუ „ბინდისფერია სოფელის“ ავტორებს ვგონებ, რომ ბევრი რამ დაეჯერებათ...

აქაც მაგალითი ილია ჭავჭავაძიდან უნდა ავიღოთ. მის არაერთ წერილსა და სტატიას ამშვენებს ხალხში შობილი და თაობიდან თაობაში გადმოცემული სიბრძნე. ფოლკლორის მეცნიერული კვლევაც ხომ, სწორედ მისი ინიციატივით დაიწყო. ჩვენმა ისტორიულმა განვითარებამ საუკუნეთა მანძილზე სამი დიდი სიმდიდრე შემოგვინახა – ფოლკლორი, „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“ და სამივე მათგანს დღეს ჩვენგან გარკვეული პოლიტოლოგიური გააზრება სჭირდება ახალი საქართველოს მშენებლობაში.

„სოფელი რა არის და ერთი კაციო“ – ძველი სიბრძნეა ესეც და „კომლი“ და „კომლის თავი“ ამ სიბრძნის დასტურია. ილია ხოტბა-დიდებას ასხავს კომლს, როგორც „ძველი საქართველოს ზნეობრივი და მატერიალური სიძლიერის ბალავრის ქვას“. ეს „ბალავრის ქვა“ კი, სწორედ მის ეპოქაში მოიშალა – კომლი ცალკეულ ოჯახებად დაიშალა. ესეც კაპიტალიზმის ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ობიექტური პროცესია, მაგრამ ესეც ცხადია – მას შეიძლება ეპოქის შესატყვისი ალტერნატივა მოეძებნოს, რაც ასე ეფექტურად გააკეთეს ებრაელებმა „კიზუცის“ სახით.

პაპაჩემისგან გამიგია – მისი დიდი პაპა – ნინიკა სოფელი სულ მუდმივად სოფლის მოსამართლედ ირჩევდა – სამართლიანი კაცი იყო, ძმა რომ ყოფილიყო უცხო კაცთან რაიმე კონფლიქტში, თუ ტყუოდა, არ დაინდობდა – მას გაამტყუნებდა. ამიტომ უყვარდა სოფელს... საარქივო წყაროებით ესეც დავადგინე – ალექსანდრე ბატონიშვილის მარჯვენა ხელი იყო კახეთში

„ბუნტობის ჟამს“. მაგრამ გამყიდველებიც ბევრნი აღმოჩნდნენ, რუსებს რომ მიეყიდნენ მაშინ...

აქ კომლის ერთ დიდ ფაქტორსაც მინდა გავუსვა ხაზი, რომელსაც დღეს ვფიქრობთ, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ახალი საქართველოსთვის. სტატიათა ციკლში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ილია წერს – „კომლი ძველ საქართველოში წარმოადგენდა არათუ ადმინისტრაციულ, არამედ ეკონომიურ ერთეულსაც“. დიახ, სწორედ კომლი იყო ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის წყარო, „სოფლის ღონე და ძალა“...

ძველი საქართველოს ეს „ღონე და ძალა“, რომელიც ილიამ კიდევ უფრო ღრმად და დეტალურად გაანალიზა სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ეროვნული სისტემის ფორმირებაში უნდა აისახოს. ეს იდეა დაწვრილებით არის გადმოცემული ამ ციკლის პირველ ორ მონოგრაფიაში, აქ კი ვიტყვი, რომ ებრაული კიბუცების მსგავსად, ქართულ ხოდაბუნურ კორპორაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიონ ეროვნულ ეკონომიკას მის სამომავლო განვითარებაში, ისე როგორც ამას ისინი ამ ათასი წლის წინ აკეთებდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ხომ პირველად „ხოდაბუნი“ სწორედ ამ ათასი წლის წინ არის დაფიქსირებული. პოეზიაშიც არაერთხელ აისახა ეს...

დაირღვა და გაწყდა მემკვიდრეობითობის ხაზი ამ მხრივაც „ძნელბედობის ჟამს“. ამიტომ ათქმევინებს ლელთ ღუნიასაც – „წარხდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ და ამოცანაც ისაა, რომ აღვადგინოთ ის, რაც „უწყალო დროთა ბრუნვით დანთქმულა“...

დღიდან დაფუძნებისა, „ილიალოგთა კლუბმა“ ეს დაისახა მიზნად, მაგრამ ისიც ცხადია და ნათელია, რომ ეს ადვილი საქმე არაა. თვითონვე გრძნობდა ამას – მესამე დასელ კოსმოპოლიტებთან ბრძოლას ამიტომაც შეეწირა...

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“ წერდა იგი და ისიც კარგად ესმოდა, რომ „ძნელბედობამ საფუძველნი ამ თვითმართველობისა და თვითმოქმედებისა მოშალა“. ამანაც „წარახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“. ფოლკლორიც იმიტომ უყვარდა, რომ აქ ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემონახული „ძველი საქართველოს სურნელი და სიდიადე“...

– ბევრი ვეცადე შენთვის, გამომივიდა ჩემთვის...

ეს ხალხური სიბრძნე ზედგამოჭრით ეხმიანება მთელ ჩვენს უკანასკნელ ორსაუკუნოვან ისტორიას. „ქართველი ხალხის შეჭირვებათა განსაქარვებლად“

ინება ცარიზმმა ჯერ აღმოსავლეთ და მერე დასავლეთ საქართველოს დაპყრობა – შეერთება. სიტყვა–სიტყვით ასე წერია ალექსანდრე I–ის მიერ ხელმოწერილ მანიფესტში, თბილისელებს რომ წაუკითხეს ზარბაზნის ლულების ქვეშ. ვითომცდა „საჩვენოდ“ ბევრი დიდი და პატარა ომიც აწარმოეს თურქეთთანაც და ირანთანაც, სიმართლედ უნდა ითქვას – ბევრი ძველი ქართული ტერიტორიაც გამოსტაცეს ჩვენს ძველ სამხრეთელ დამპყრობლებს. აკი, ერეკლე მეფეებთან იმ მიზნით და იმედითაც მოაწერა ხელი გეორგევსკის ტრაქტატს, რომ რუსეთის მეშვეობით დაებრუნებინა „ძველი დიდებული მესხეთი“, მაგრამ აქაც საჩვენოდ არაფერი გაკეთდა. პირიქით, 1828–29 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად მესხეთი კიდევ უფრო გაუცხოვდა და „განქართულდა“ –სწორედ მაშინ გენერალმა პასკევიჩმა, ამ „უძლეველმა გრაფმა ერევანსკიმ“ ომის დამთავრებისთანავე 30 ათასი სომხური ოჯახი ჩამოასახლა, ვითარცა „იმპერიის ერთგული ეთნოსი“.

მერე ახალი ეპოქა დაიწყო – კაპიტალიზმმა მოიცვა ირგვლივ ევროპაც და დანარჩენი მსოფლიოც. მას ახალი დიდი პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმები მოჰყვა. რუსეთიც ჩაერთო ამ პროცესებში თავის კოლონიებთან ერთად. ილია მიხვდა თავისი ეპოქის მთავარ სატკივარს. „დას–დასად დაყოფილ საქართველოს“ ისევ „საჩვენოდ“ კი არა, სათავისოდ გამოიყენებდა ყველა და ამიტომ იყო, რომ სიცოცხლის ბოლო წლები „საერთო ნიადაგის“ თეორიას, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების მოძიებას შეაღია:

სოციალური ომისა და კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად, სოციალური ზავი, თანამშრომლობა და საერთო ნიადაგზე დგომა – ასეთია ამ ძიების შედეგი. ამით დაუპირისპირდა იგი სამკვდრო–სასიცოცხლოდ მესამე დასს, წიწამურამდე რომ მიიყვანა ბოლოს...

მესამე დასმა კი გააგრძელა სვლა თავისი სოციალური დემაგოგიის გზით. ასე შეიქმნა ახალმოდური ბოლშევიკური იმპერია. მას კარგა ხნით სათავეში ილიას „ივერიაში“ დაბეჭდილი „დილას“ ავტორი ჩაუდგა. მაგრამ დემაგოგიაც დემაგოგია იმიტომ არის, რომ ბოლოსდაბოლოს ისიც ამ ხალხური სიბრძნით მთავრდება – „ბევრი ვეცადე შენთვის, გამომივიდა ჩემთვის“. კომუნისტურმა მართველობამ II მსოფლიო ომის შემდეგ კორუფციის ისეთ მასშტაბებს მიაღწია, სტალინის მიერ შეკოწიწებული იმპერია მალე ერთბაშად ჩამოაქცია...

ეს ყველაფერი ვრცელი ანალიზით გამოვაქვეყნე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70–იან წლებში თვითგამოცემის დისიდენტური წესით – „იოსებ სტალინი და რუსეთის იმპერიის ისტორიული ბედი“. თუ კვებნასა და თვითრეკლამაში არ ჩამეთვლება, ამ მაშინდელი ანალიზით ვიწინასწარმეტყველე 3 ძირითადი მიზეზით კომუნისტური იმპერიის სრული კრახი – იდეოლოგიური კრიზისი, საერთაშორისო იზოლაცია და სოციალურ–ეკონომიკური კრიზისი. ისე

კაცმა რომ თქვას, ამის ნიშნები თავიდანვე ჩანდა და ეს სწორედ 20-იანი წლების ფოლკლორშიც აისახა, მაგალითად – „მენშევიკის დედაცა და ბოლშევიკის მამაცაო, წუთისოფლის სტუმარი ვარ, ეს ცხოვრება დამაცაო“.

ვინც მიხა ხელაშვილის პოეზიას იცნობს, მასაც წითელ ხაზად გასდევს ეს პროტესტანტული სული (ისე, შემთხვევით რომ არ აღმოჩენილიყო მისი ხელნაწერი რვეული, მასაც „ფოლკლორისტიკას“ მივაკუთვნებდით დღეს – ასეა ყოველთვის, ერთი ჭკვიანი კაცი იტყვის რაიმე სიბრძნეს და მერე და მერე გახალხურდება ხოლმე ეს „ხალხურ სიბრძნედ“). აი, მაგალითები აქედანაც:

„გუშინ ქურდმა და ბაცაცამ,
დღეს ჭკუა უნდა მარიგოს,
ლენინის გადმოცემული
მარქსის კანონით მამიგოს!“

ანდა, ასეთი მამხილებელი შარჟი:

„თვით ჰყლაპენ სხვისა ნაშრომსა,
მშრომელთ კი აცქერინებენ...“

მერე კი მიმართავს „ახალ ქრისტეს“:

„შენ სურათს ახალ ქრისტეო,
ერს თაყვანს აცემინებენ,
ვით პირველყოფილ კერპის წინ,
ყველას თავს ახრევიანებენ...
მარქსისტთა სახარებასა
წირვაზე ასმენინებენ...
შენი მიმდევნნი შენის თქმით
ხალხს ერთურთს ათელინებენ“...

დღესაც ხალხში გაბნეულ სიბრძნეს ჩვენგან ყურადღება, ანალიზი და გათვალისწინება სჭირდება. ესეც დაგვეხმარება სწორი გზისა და პოლიტიკის მოძიებასა და შეცდომების თავიდან აცილებაში. მარტო ხალხის მიერ „გარდამავალი პერიოდისთვის“ თავისი ინტერპრეტაციის მიცემა – „გაუგებარი პერიოდის“ სახელდებით რამდენ სიბრძნეს შეიცავს: ეს 25 წელი ხომ მართლაც გაუგებარი პოლიტიკით (თუ ამას „პოლიტიკა“ ჰქვია!) მოვდივართ. მარტო კონსტიტუცია რამდენჯერ გადავაკეთეთ და გადმოვაკეთეთ ყველამ თავის სარგოდ, მგონი რომ ამერიკის 200 წლოვან კონსტიტუციასაც კი გავუსწართ ამ მხრივ, სხვა მხრივ კი, რა მოგახსენოთ...

ხალხი კი ამას ყველაფერს ხედავს...

და როგორც ხედავთ შესატყვისი სახელიც მოუძებნა – „გაუგებარი“. გაუგებარი რომ გასაგები გავხადოთ, ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია

უნდა გავითავისოთ, ანუ, ისე თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...

სხვანაირად „გაუგებარი“ პერიოდი ჩვენი თაობების სირცხვილად შემორჩება ჩვენს ისტორიას...

პოლიტიკური პროფილი: ილია – კონსერვატორი

შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობა, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია სამსახოვანია: სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით იგი კონსერვატორია, ადამიანის უფლებების მიმართებით – ლიბერალი, ხოლო სოციალური განვითარების კუთხით – ევროპული სოციალ–დემოკრატიის იდეოლოგი.

„ივერიის“ ნომრებს თუ გადავხედავთ, მის ცნობილ ილიასეულ რუბრიკას – „საპოლიტიკო მიმოხილვა“, ვნახავთ: თითქმის ყველა მათგანში შევხვდებით სამივე პოლიტიკურ იდეოლოგიას. მის განსაკუთრებულ სიმპატიას იმსახურებდა ინგლისური კონსერვატიზმი და მასზე დაფუძნებული სახელმწიფო წეს–წყობილება. აქედან წარმოიშვა მომავალი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მისეული იდეალიც – „სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული საქართველო“.

მესამედასელებთან პოლემიკაში ილიას ეს კონსერვატიზმი მათი განსაკუთრებული კრიტიკის ცეცხლში მოხვდა. თავის მხრივ, ილიაც მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით აკრიტიკებდა მათ „უცხო ბადის სენს“: ნაცვლად იმისა, რომ მათ ეფიქრათ 1801 წელს შეწყვეტილი ქართული სახელმწიფოებრიობის ეროვნული ტრადიციების აღდგენაზე კონსტიტუციური მონარქიის ფორმით, როგორც ეს მოხდა ინგლისში კრომველის სისხლიანი დიქტატურის შემდეგ, ჩვენთან ეს საკითხი იდეის დონეზეც კი, არ დამდგარა – ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციური მონარქიის ილიას იდეა, ისე როგორც „საერთო ნიადაგის“ სხვა პოლიტიკური პრინციპები ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მიღმა დგას. ჩვენ ჯერ კიდევ 90–იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების და იაპონიის ომისშემდგომი კონსტიტუციების ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე მოწყობის ალტერნატიული ქართული კონსტიტუცია. მაგრამ ისე, როგორც 1918–21 წლებში იდეა იდეად დარჩა – ამაზე ვრცლად გვაქვს საუბარი მონოგრაფიაში – „ილია და საქართველო“...

მთელი საუკუნის მანძილზე მესამედასელებმა ისეთი დემაგოგიური აგიტაცია – პროპაგანდა გააჩაღეს ქართველ ხალხში, რომ უკვე ილიას

სიცოცხლეშივე კონსტიტუციური მონარქია რაღაც საფრთხობელად, „ბატონყმობის აღდგენის და ექსპლოატაციის“ რეაქციულ იდეად წარმოადგინეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა „ქართველი მარქსი“ – ნოე ჟორდანიას. ამიტომ უწოდებდა მას ილია „რწყილის ტვინას“ და „უცხო ბადის მონას“, რომელიც საქართველოს ისტორიაში სხვა ვერაფერს ხედავდა გარდა „გმობისა და უარყოფისა“...

მესამედასელებისგან განსხვავებით ილია საქართველოს ისტორიაში ხედავდა სწორედ მისი ახალი „დიდებული ოქროვანის ხანის“ პერსპექტივას. სტატიებში – „დავით აღმაშენებელი“, „ერი და ისტორია“, „ოსმალის საქართველო“, „ზოგიერთი რამ“, „აი, ისტორია“, ილიამ გადმოგვცა ამ იდეის ყოველმხრივი დასაბუთება.

ილია და ლიბერალიზმი

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მიმართებაშიც ილია მაშინდელი ევროპული ღირებულებების თანაზიარი და მიმდევარია. ამის დასტურია მისი „მესმის, მესმის“, აგრეთვე თავისუფლების ნამდვილი ჰიმნი პოემაში „ქართველის დედა“:

**„თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.**

შამილის აჯანყების ფონზე დაწერილი ეს პოემა კაცის ხალხის და კაცობრიობის უმაღლესი იდეალებისადმი ბრძოლის ერთი დიდი მოწოდებაა. „აჩრდილის“ დიდი ნაწილიც ამ იდეალებს ეძღვნება. რაც შეეხება პროზას და პუბლიცისტიკას, აქ ლიბერალიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი. აქ შეიძლება გავიხსენოთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე მისი პოლემიკა კატეგორიან, იანოვსკისთან, ანდა, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმული სიტყვა და რუს ლიბერალ მოღვაწეებთან ერთად მომზადებული კანონპროექტი სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ. რაც შეეხება პროზას, ვფიქრობ, რომ მისი ნოველა – „სარჩობელაზედ“ შეიძლება ნამდვილ შედეგად ჩაითვალოს ამ მხრივ...

აქ კიდევ უნდა აღინიშნოს „ივერიის“ მისი რუბრიკა – „საპოლიტიკო მიმოხილვა“: არ დარჩენილა მაშინდელი ევროპისა და მსოფლიო განვითარების არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც იგი არ ეხებოდეს აქ. მისი სიმპატიები ყოველთვის დაჩაგრულთა მხარეზეა როგორც პიროვნული, ისე ეროვნულ

უმცირესობათა მიმართებაში. ამ მხრივ, საყოველთაოდაა ცნობილი ილიას პოზიცია ინგლისის წინააღმდეგ ირლანდიელთა ეროვნული მოძრაობის მიმართ, ანდა, ანტისემიტიზმის მისეული გმობა („ინგლის ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“, „ებრაელთა საკითხზე“, „ოსმალეთის სომეხთა გაწირვა“, „დედათა საქმე“, „მუშათა ყოფა–ცხოვრების საქმე ევროპაში“...).

ერთი სიტყვით, ილია მაშინდელ ეპოქაში და საერთოდ, ევროპული ლიბერალიზმის ყველა ღირებულებას და მოთხოვნილებას პასუხობს. არტურ ლაისტის მოწმობით, ილიას ტოლერანტიზმი გამორჩეულად დგას არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ ზოგად–კაცობრიული მასშტაბითაც. ასე და ამრიგად, ამ მიმართებითაც ილია ქართული ლიბერალიზმის მამამთავრადაც უნდა ჩაითვალოს...

ილია და ევროპული სოციალ–დემოკრატია

სოციალური პრობლემები ილიას აზროვნების ერთ–ერთი მთავარი მახასიათებელია. თუ მხატვრულ შემოქმედებას გადავავლებთ თვალს, ფაქტიურად ვერ ვნახავთ ვერცერთ ნაწარმოებს, სადაც ამა თუ იმ დოზით და ფორმით არ იყოს იგი გადმოცემული. „აჩრდილი“ თითქოს სპეციალურად დაწერა, რომ ეჩვენებინა – მისთვის ერთმანეთისგან მოწყვეტილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის იდეა არ არსებობს...

ესეც შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ფაქტს და სიმართლეს საით წაუვალთ: ილია არ იყო იმ დროს საქართველოში ჩასახული და ფეხმოკიდებული კაპიტალიზმის მეხოტბე, პირიქით, ყველგან ამხელდა მის ანტისოციალურ ბუნებას და ამ მხრივ, მესამედასელებს მგონი რომ აჭარბებდა კიდევ. გავიხსენოთ თუნდაც ეს სტროფი „აჩრდილიდან“:

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსულის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების...
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება...“

ანდა, ავიღოთ ლექსი „მუშა“, მისი საოცარი თანაგრძნობის სიტყვები „ტანჯვისა და შრომის შვილისადმი“, რომლის თვით დუმილშიც კი, „ღვთის რისხვის ზარი არის“. ქართველი გლეხის თუ წვრილი მეწარმის პროლეტარიზაციის პროცესს კი, ასეთი ემოციებით გამოხატავს:

**„მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ–კარსა,
მინდორს, მამულს და შეჩვეულსა მიწა–წყალსა...
აქ სად მოსულხარ?... რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე
მის მაგიერი თბილისშია აბა, რა ჰპოვე?“...**

ილია არც მარქსისა და მარქსიზმის მოძულე კაცი იყო. „დიდ მეცნიერს“ უძახოდა მას, მაგრამ ძალიან ძალე მიხვდა თუ როგორ დაამახინჯეს და გააუკუღმართეს იგი რუსეთში და რუსეთის მიბაძვით აქ, ჩვენთანაც მესამედასელმა „უცხო ბაძის თუთიყუშებმა“. აი, როგორი შარჟი მიუძღვნა ილიამ „მესამე დასის“ დაარსებას „ივერიაში“:

„ამბობენ ბ–მა გიორგი წერეთელმა მესამე დასი დაარსა... იქნებ გეგონოთ, რომ ამით მინდა თავი მოვაწონო გიორგი წერეთელსა, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა, მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო: თუ ღმერთი შემეწევა და მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურადაც გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა თუ ვიქნები, წინ ვიყო...“

ბ–ნ გიორგი წერეთელის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა. საქმე ახლა თვლამია – მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს მეექვსე და წავა ასე სანამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება...

ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა კი, რა მოგახსენოთ“.

ევროპული სოციალ–დემოკრატია, მისი „კლასობრივი თანამშრომლობისა და სამართლიანობის იდეა“ ილიას სოციალურ მსოფლმხედველობასთან სრულ თანხვედრაში აღმოჩნდა. აქ თავისი როლი ითამაშეს ევროპაში მოღვაწე ქართველმა სოციალისტებმა – მიხაკო წერეთელმა, გიორგი დეკანოზიშვილმა და განსაკუთრებით ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მათ მიერ დაფუძნებულმა „საქართველოს სოციალისტ–ფედერალისტურმა პარტიამ“. ილია და ოლღა ოჯახურადაც მეგობრობდნენ ჩერქეზიშვილთან და მის ფრანგ მეუღლე ფრიდასთან. „ივერიაში“ 80–მდე წერილი და სტატია დაუბეჭდა ილიამ ჩერქეზიშვილს ევროპის მუშათა და სოციალ–დემოკრატიული მოძრაობის თემაზე. ილია ფედერალისტების „ხოდაბუნური სოციალიზმის“ იდეასაც თანაუგრძნობდა, როგორც კაპიტალიზმის ქართულ ალტერნატივას. იგი ხედავდა, რომ კაპიტალიზმი საქართველოში „ერს ორად ხლეჩდა“, რაც სიკეთის მომტანი არ იქნებოდა...

„ერის ერთი მცირე ნაწილის წინ წაწევა და უმრავლესობის გალატაკება და გაბოგანობა მომასწავებელია ერის სულით და ხორციით წარწყმედისა... ამაზე უარესი სენი ჩვენ არ ვიცით. ეს სენი ჩასჯდომია ერის აგებულებას და ფუტუროსავით დღითიდღე იფხვნება, თავოსნობას მუხლი ეჭრება, ერის მხნეობას, თვითმოქმედებას და გამრჯელობას – ამ დედაბოძებს წარმატებისას... და აქ დარღვევისა და წარქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს კაცი?!“.

ამავე სტატიაში (ტ. VIII, 1957, გვ. 315), განსაკუთრებით კი, მეორე სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ილია გადმოსცემს ძველ ქართულ „სრულფუძიან კომლსა და ხოდაბუნებზე“ დაფუძნებული კორპორაციული სამეურნეო სისტემის შექმნის დიდ მნიშვნელობას ეროვნული ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში. ესეც ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის დიდმნიშვნელოვანი სოციალურ–ეკონომიკური პრინციპია, რასაც გათვალისწინება და საქმედ ქცევა უნდა ჩვენგან...

ეს ამასთან, თანამედროვე ევროპული განვითარების თანმხვედრი იდეა და პრინციპიცაა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ არის ასახული ევროპარლამენტის სოციალ–დემოკრატიული და სოციალისტური ფრაქციის პარტიულ პროგრამებში. ეს ფრაქცია კი გამოირჩევა იმით, რომ მასში თავმოყრილია თანამედროვე ევროპის ინტელექტუალების და პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი. კარგი იქნება, თუ დღევანდელი ჩვენი პარტიული ელიტაც თავის წვლილს შეიტანს ევროპარლამენტის ფუნქციონირებაში ამ მიმართებით. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიას ამ მხრივაც შეუძლია სამსახური გაგვიწიოს დღეს...

განვლილი 25–წლიანი პრაქტიკაც სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ ასეთ თეორიულ საკითხებზე ნაკლებად ვფიქრობთ. არადა, ჩვენც არანაკლები საფუძველი გვაქვს გამოვიყენოთ და გავათანამედროვოთ ილიას და მისი მიმდევრების მემკვიდრეობა. მთავარია, რომ ამ ყველაფერს დავიწყების მტვერი ჩამოვაშოროთ და ჩვენი საზოგადოების კუთვნილება გავხადოთ. სწორედ ეს ნაკლი გასდევს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას უკანასკნელ ათწლეულებში. ამაზე ცალკე კრიტიკული ანალიზი ღირს...

პარადოქსების კორიანტელი...

საქართველოს ისტორია მართლაც რომ პარადოქსების კორიანტელია – ძველიც, ახალიც და უახლესიც. ძველიდან შეიძლება გამოვარჩიოთ პეტრე იბერი, მსოფლიო რანგის მოაზროვნე და მოღვაწე, ჩვენგან მივიწყებული ვითომცდა მისი მონოფიზიტობის გამო. ამიტომ წერს ივანე ჯავახიშვილიც გულისტკივილით – „დაუჯერებელია ასეთი დუმილი პეტრე იბერზეო“. პეტრე იბერთან ერთად, ხომ ლამის რუსთაველიც „მწვალებლად“ გამოვაცხადეთ...

აქეთ, ახალ ისტორიაში რომ გადმოვიდეთ, რას არ ვნახავთ და წავიკითხავთ – სოლომონ დოდაშვილი თურმე რესპუბლიკელი იყო და ამართლებდა ცარიზმის მიერ ბაგრატიონების გასახლებას საქართველოდან. ილია „რესპუბლიკელობასთან“ ერთად, თურმე მარქსისტიც იყო და ჩვენს პარლამენტში მისი სურათი ნოე ჟორდანიასთან მართლაც რომ „ნაფოტად“ და ლილიპუტად მოჩანს. ილია დამცრობილი, ნოე ჟორდანიას ამაღლებული, პარადოქსია, აბა რა არისო... ეს შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენი პარლამენტის დამფუძნებლებმა (ისე, ბევრმა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკამ თავ–თავიანთ პარლამენტებს ეროვნული სახელი მოუძებნეს, ჩვენ კი თითქოს ისტორია მართლაც არ გვქონდეს!) ჟორდანიას – „ქართველი მარქსის“ საქმის გამგრძელებლებად გამოაცხადეს თავი და აკი, მესამედასელთა კონსტიტუციაც აამოქმედეს...

ივანე ჯავახიშვილი მთელი 20–30–იანი წლები შიმშილით დაავადმყოფეს (სწორედ ამან გამოიწვია მისი ნაადრევი გარდაცვალება) და ახლოსაც არ გაიკარეს არც მენშევიკებმა და მერე არც ბოლშევიკებმა. იგი, ვითარცა „შავი პროფესორი“, გააძევეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან და მის მაგივრად საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ „აირჩიეს“ ფილიპე მახარაძე, რომელიც სხვა მესამედასელებთან ერთად, ჩვენს ისტორიაში „გარდა გმობისა და უარყოფისა“ ვერაფერს ხედავდა და ქართველებიც ერად თურმე რუსეთმა გვაქცია – მეტი პარადოქსი რაღა გინდათ...

ამან მე თავისებური პოეტური მუზაც აღმიძრა:

**ბავშვობიდანვე ყველაფერს რომ
უკუღმა ვხედავთ,
მერე და მერე
უკუღმა აზრი,
უკუღმა საქმე
ჩვევად დაგვჩემდა,
უპირობო რეფლექსად გვექცა,
– გმირის, თუ ლაჩრის,
ერთგულის, თუ მოღალატის,
პარაზიტობის და შრომაა – გარჯის,
ნიჭიერება – უნიჭოების
უკუღმა ხედვა...
გამრჩევი რომ არავინ არის
ავის და კარგის,
ამიტომაა პარადოქსების კორიანტელიც.**

ღმერთმა იცოდეს, კიდევ რა პარადოქსები გველის, მაგრამ უნდა გვქონდეს იმის სურვილი და შესაბამისი მცდელობაც, რომ ლაშა გიორგის „რინდთა დასის“ და მისი მსგავსი „უცხო ბაძის“ მესამედასური პარადოქსები აღარ განმეორდეს.

„მნელბედობებიც“ ამ პარადოქსებმა მოგვიტანეს და ვინძლო შევძლოთ მათგან თავის დაღწევა სამომავლოდ მაინც...

– რად შეიძლება ვიქმნეთ?...

ამ კითხვას პასუხი თვითონვე გასცა:

„ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია.
თუმცა ძველნი დაგშორდნენ
ახალნი ხომ შენია,
მათ ახალთ აღგიდგინონ
შენ დიდების დღენია!“.

მთელი ცხოვრება ამ „დიდების დღენის აღდგენის“ იდეას შესწირა, შესწირა არა მარტო ცარიელი სიტყვით და ოცნებით, არამედ კონკრეტული გეგმა-მონახაზის შექმნით, ამ მის „ახალთ“ რომ გადასცა ანდერძად „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახით...

ადრეც ვთქვით – ილია მარტო მწერალი და პოეტი არაა, რასაც მუდამ ხაზს უსვავდნენ მისი რეაბილიტაციის შემდეგ ეს ნახევარი საუკუნე და მეტი... მესამედასელებმა წიწამურთან „მწერალი“ არ მოკლეს, მოკლეს „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი“... ისიც ითქვა, რომ მსოფლიოს ყველა წარმატებული სახელმწიფო ასეთ თავის „ეროვნულ იდეოლოგიაზე“ აღმოცენდა და მაგალითად „ამერიკული იდეოლოგია“ და „სიონიზმი“ მოვიყვანეთ. ამიტომ გვინდა, რომ ავიტაცოთ ჩვენი დიდი მეორე ერის კაცის – ივანე ჯავახიშვილის იდეა – ილია და მისი თეორია „საქართველოს მომავლის გზამკვლევადა“ ვაქციოთ...

ეგების, ეს 180 წლისთავი მისი დაბადებიდან გახდეს ნიშანსვეტი იმისა, რომ იგი თავის „კარგ ქვეყანას“ მოველინოს ეროვნულ იდეოლოგად და არა მხოლოდ მწერლად, როგორც ეს წიწამურის სვეტს აწერია. ჩვენც დღეს მწერალი კი არა, იდეოლოგი გვჭირდება, ქართული სახელმწიფოს იდეოლოგი...

რაშია ილიას ძალა?...

ილიას ძალა მისი პროგნოზირების უნარშია. დავაკვირდეთ ამ მხრივ „აჩრდილს“: პირველი თავები წარსულის ანალიზს ეხება, მერე გაანალიზებულია თუ – „რანი ვართ“, ხოლო პოემის ბოლო თავები კი, მკითხველს ეუბნება...

ნებისმიერ ფუტუროლოგს შეშურდება ის ზუსტი პროგნოზირება მოვლენათა განვითარებისა, რასაც ილიასთან ვხვდებით. არ დავივიწყოთ ისიც,

რომ ის ყველგან ცდილობს მკითხველიც აიყოლიოს მომავლის მისეულ ანალიზსა და ხედვაში. სტატიათა ციკლი – „ცხოვრება და კანონი“ ასეთ სტილშია დაწერილი. იგივე „აჩრდილიც“ რომ ავიღოთ, იქ პირდაპირი მინიშნებაა მკითხველისადმი – ავტორთან ერთად თვითონაც ჩაერთოს ქვეყნის მომავალი ბედ-იღბლის წვდომასა და გააზრებაში. ამისათვის პოემის ბოლოში ორ თავს მხოლოდ მრავალი წერტილით აღნიშნავს – თქვენც შემომიერთდითო, ნიშანს გვაძლევს ამით...

„წინათქმაშიც“ ავლნიშნე მომავლის ჭვრეტის და პროგნოზირების ილიას ეს საოცარი უნარი და ძალა. მან ხომ თითქმის მათემატიკური სიზუსტით იწინასწარმეყველა I მსოფლიო და ამერიკის „მსოფლიო მეთაურად“ გახდომა, ისევე როგორც ისრაელის ებრაული სახელმწიფოს წარმოშობა... მომავლის საქართველოს მისეული ხედვა და გააზრებაც არაერთგან აქვს და მთელი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ხომ, ამაზეა აგებული. მთავარია, რომ ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, „კარგ მთქმელს კარგი გამგებნი გამოუჩნდნენ“...

მესამედასურ საქართველოში ეს შეუძლებელი გახდა მათივე „უცხო ბაძის მონობის“ გამო. „კარგი გაგება“ კი არა, მისი ფიზიკური და იდეური მკვლევლობა ჰქონდათ მიზნად და ნაწილობრივ მოახერხეს კიდევ, მაგრამ ეროვნულობისა და ეროვნული იდეოლოგიის ამოძირკვა სრულად შეუძლებელია. ეს კარგად არის ნაჩვენები მიხაკო წერეთელის „ერი და კაცობრიობაში“ და საბჭოთა კავშირის მაგალითიც ხომ, ნათლად აჩვენებს ამას...

თავს ძალა უნდა დავატანოთ და – „გვესმას მშობლისა“...

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ამქვეყნად ყველაფერს თავისი სამართალი აქვს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ისტორიასაც. კაცისა და კაცობრიობის ყველაზე დიდი სამართალი სწორედ რომ ისტორიას აქვს და ისტორიის ფილოსოფიის არსიც მის დადგენა-გაცნობიერება-გათავისებაშია საძიებელი. ილიაც მთელი ცხოვრება მას ეძიებდა, მასზე გვითითებდა. აკი წერს მისებური პირდაპირობით სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“:

„... ერის გაცემა და გათახსირება მაშინ იწყება „როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი „რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს...“ ამიტომაც, რომ ჩვენდღეს „მეხსიერებადაკარგული კაცივით ვართ“, – დავიწყებული გვაქვს ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ და ამიტომ თქვა პოემაში – „აჩრდილი“, ეს გულსაკლავი სიტყვები:

და შენსა ძესა დღეს არცკი სწამს შენი აღდგენა,
და დაუგდიხარ, ვით ტამარი გაუქმებული...”

ამ „ისტორიული მეხსიერებით“ და მასზე დაფუძნებული რწმენის დაბრუნებაა მთავარი. იმავე სტატიაში („დავით აღმაშენებელი“) კიდევ უფრო აღრმავებს ისტორიის ფილოსოფიის თავის გაგებას ერთი მხრივ, ისტორიის პოლიტოლოგიურ–ფუნქციონალური დატვირთვით („ისტორია მთხრობელია იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიქმნეთ“), და მეორე მხრივ, იმით, თუ რით და როგორ „აბრუნებს ერი თავის ბედის ჩარხს“, რა აძლევს ხალხს „ძალას და სულის საგზალს“, როგორ და რანაირად გავიგოთ რა არის ჭეშმარიტი სამომავლო გზა ქვეყნისა და ხალხისა...

ისტორიის სამართალიც მაშინ აღსრულდება მთელი თავისი ძალმოსულობით, როცა ამ კითხვებს სწორი პასუხი გაეცემა და ერიც, როგორც „ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“, ამ სამართლის გზას გაჰყვება. შემოქმედის ნებაც და „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ მაშინ აღსრულდება...

პოლიტიკისა და პოლიტიკოსის არსი და ხელოვნებაც ისაა, რომ ამ გზაზე დააყენოს ერი, აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ ერთადერთ ჭეშმარიტ გზაზე და არა „არსაით მიმავალ გზაზე“. ამ უკანასკნელით ვიარეთ დღემდე და ამიტომაც დააწერა 1897 წლის 31 დეკემბრის თავისი საახალწლო მისალოც წერილს კითხვის ნიშნებიანი ასეთი სათაური – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“:

„არვიციტ – რანი ვყოფილვართ. არ ვხედავთ – რანი ვართ. ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით... უზარმაზარი უფსკრულია ჩვენ, ქართველების წინ... საკმარისია ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა–ბუდიანად... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

გლობალიზმი კიდევ უფრო ზრდის ამ საფრთხეს და თუ ლუარსაბივით ყურთ–ბალიშზე კვლავ არხეინად წავუძინებთ, „ხმლისა და თოფის ნაცვლად, საქმით და ფულით მოსულნი“ ერთ მშვენიერ დღეს „სახსენებელს გაგვიწყვეტს ქართველებს“...

„უმაღურობის“ ზღვას შეჭიდულმა ილიამ ყველასი და ყველაფრის იმედი დაკარგა, გარდა ღვთისა და ისტორიის სამართლისა. ისტორიაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა სამყაროს იმ პაწაწკინტელა წერტილზე, რასაც „დედა–მიწა“ დავარქვით და ამ მხრივაც დავაკვირდეთ ამ სამართალს:

შორეული თუ ახლო წარსულის ყველა იმპერიული ძალა დაეცა მიდიიდან და ბაბილონიდან მოყოლებული, XX საუკუნის „დიდ–დიდი მტაცებლებით“ დამთავრებული (დიდი სიმბოლიკებით სავსეა ამ მხრივაც ილიას „საპოლიტიკო მიმოხილვა“), ჩვენ კი, მადლობა უფალს, გადავრჩით. თუ „რამ გვიხსნა და რამ

გადაგვარჩინა“, ამაზეც პასუხს ილია იძლევა. ეს განსაკუთრებით ზემოდნახსენებ „ივერიის“ სარედაქციო წერილს („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?!“), აგრეთვე, ვრცელ საპროგრამო წერილს – „ზოგიერთი რამ“, ეხება. ორივე საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის ნიმუშად დარჩება ჩვენს მომავალ ისტორიაში, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ანბანის შესასწავლად გამოადგება ყველას, ვისაც ამ ანბანის დაუფლება უნდა...

ცნობილია, რომ ილიას უყვარდა თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაშრომებზე რუსთაველის აფორიზმების წამძღვარება. ამ მხრივ მარტო „ქვათა ღალადის“ ეპიგრამის გახსენება რად ღირს: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება – მაცინარობს“. უკეთესს ვერ მოიფიქრებს კაცი – ზუსტად გამოხატავს „რუს და სომეხ ცრუ-მეცნიერთა ერთგვარი გუნდის“ ანტიქართული პოლიტიკის არსს...

ჩვენს დღევანდელ ყოფას ასევე ზუსტად გამოხატავს ეს რუსთაველური სიბრძნეც – „ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლადა“. ეს სამართალი ნაპოვნია ილიას მიერ, იგი თვალწინა გვაქვს. მას აღსრულება უნდა. ძნელია ეს, დიდგორივით ძნელი, მაგრამ აღსასრულებელი, თუ გვინდა, რომ საქართველოს და ქართველი ერის ისტორია კვლავაც გაგრძელდეს.

დიახ, ბატონებო ისტორიას თავისი დიდი სამართალი აქვს და ამასთან, დიდი და უძლეველი კანონებიც. მათ ცოდნასა და გაგებაზე აქვს ლაპარაკი ილიას ყველგან, სადაც ამ „უძლეველ კანონებს“ ეხება და ჩვენი ვალია, ათასწლეულებს გამოვლილი ქართველობა არ ვემსხვერპლოთ მათ ამ ახალ საუკუნესა და ამ ახალ ათასწლეულში. ამ ილიასეულ გააზრებაზეც მინდა ერთი მინიატურა შემოგთავაზოთ „ძველი პოეტური რვეულებიდან“:

„გადავაგორეთ ეს წელი ერთიც,
ათასწლეულებს მიემატა ესერთი წელიც,
ჰა, დასრულდება ეს მოსახვევიც
და გამოჩნდება ისტორია
მახვილით ხელში,
ჯერ უცოდველი,
როგორც ბალახი
ამოსული უდაბურ ტყეში...
გადავაბარეთ ისტორიას ეს ერთი წელიც,
სამართლის სასწორს იმარჯვებს ღმერთიც...
ჩასაფრებულა ისტორია მახვილით ხელში
სადღაც მახლობელ ჩვენს მოსახვევში...“

ღმერთმა ინებოს, რომ მშვიდობით განვვლოთ ისტორიის ეს „მოსახვევიც“... ამისათვის უპრიანია, გავითავისოთ ისტორიის სამართალი, მისი ფილოსოფია და

კანონები, ისე როგორც ეს გაითავისა და სამემკვიდრეოდ გადმოგვცა ილია მართალმა... „მართლის სამართლის“ აღსასრულებლად...

ესკი სამი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, ასე ვთქვათ, სამი ურთიერთგაპირობებული ტრიადის გააზრება – გათავისებასა და საქმედ ქცევაზე: ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო. ყველაფერს ამას კი, უნდა მიეცეს პოლიტიკური პროგრამის სახე.

რას გვიმზადებს XXI საუკუნე...

XX საუკუნე მეტად სისხლიანი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის და ქართველობისთვისაც:

I მსოფლიო ომიც და მეორეც კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა. ისტორიას ჩაბარდა საბჭოთა იმპერიაც, მისი სულის ჩამდგმელი ბოლშევიზმიც თავისი „სოციალიზმით“ და კომუნისტური დემაგოგიით... დადგა ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეულიც, მათთან ერთად გაჩნდა ეს კითხვაც – რა გველის კაცთა მოდემას მათგან?...

– გლობალიზმი და „ახალი მსოფლიო წესრიგი“, – ასეთია ჯერ–ჯერობით პასუხი. იმასაც ვხედავთ, რომ არც ერთი და არც მეორე ცალსახად სიკეთის მომტანნი მაინცდამაინც არ გამოდგნენ... აქ მახსენდება და მინდა თქვენც გაგახსენოთ ილიას სტატია – „მეცხრამეტე საუკუნე“, სადაც იმ წასული საუკუნის ქება–დიდების შემდეგ, ასეთ ცოტა არ იყოს, უცნაურ კითხვას სვამს: ბევრი რამ სასწაული და წინსვლა მოგვიტანა წარსულმა საუკუნემ, მაგრამ მოდით ესეც ვიკითხოთ – დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა? ილიას პასუხიც მისებურად ლაკონური, ჭკვიანური და ჩამაფიქრებელია – „არა მგონია“! დიახ. ბატონებო, გარეგნული, ყოფითი და მატერიალური პროგრესი სრულებითაც არ ნიშნავს სიკეთეს და ბედნიერებას ცალკე კაცისას თუ მთელი კაცობრიობისას, მას სულიერი, ზნეობრივი პროგრესიც თუ არ ახლავს თან...

მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესი ორლესილი მახვილივითაა და ყველა ერი ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ გადაყვეს მას. გლობალიზმს რა თქმა უნდა, თავიდან ვერ ავიცილებთ – ობიექტური პროცესია და გვინდა არ გვინდა მასთან ერთად უნდა ვიაროთ ეს საუკუნე, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ „ვისი გორისანი ვართ“... ეს „ახალი მსოფლიო წესრიგიც“ ისეთი მყიფე აღმოჩნდა, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული „ცივი ომი“ შეიძლება ცხელ ომად გარდაგვიქმნას მალე. სხვისთვის არ ვიცით, ან, რას ვკითხულობთ სხვას და ჩვენთვის კი ამ „წესრიგმა“ ხომ, უკვე არაერთხელ მოგვიტანა ეს „ცხელი ომი“ 9 აპრილიდან მოყოლებული დღემდე...

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დღეის შემდეგაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რამეთუ ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, ყველას თვალი აქვს მობჯენილი ჩვენზე. „ილიალოგთა კლუბს“ ამ თემაზე დისკუსია არაერთხელ გვქონია. ეს დისკუსია ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის ნგრევამდე, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავზე დაიწყო. დისკუსიის ძირითადი კონცეფცია ოფიციალურადაც გამოვაქვეყნე ჟურნალ „მნათობში“ 1987 წელს. მას შემდეგ დისკუსია პერიოდულად იმართებოდა გასული საუკუნის 90–იან წლებში თსუ სხდომათა დარბაზში, ბოლოს კი, 2003 წელს გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულის სახითაც სათაურით – „ქართული სახელმწიფო“...

„ქართული სახელმწიფო“?! – ბევრი ნეგატიურად შეხვდა ამას, ძალიან ბევრი ოპონენტები და კრიტიკოსები გამოუჩნდნენ ამ ჩვენს თეზას და სახელდებას: რას ქვია „ქართული სახელმწიფო“ – სახელმწიფო სახელმწიფოა, მოიგონებთ ხოლმე, ეს ურა–პატრიოტები რაღაც გაუგებარ უცნაურობას...

ეს კიდევ არაფერი, – „მეფობის აღდგენაზე“ ხომ, ჭკუა დაკარგეს და ლამის ჯვარს გვაცვეს, ესლა აკლია ისედაც გაღატაკებულ და სულთმობრძავ ჩვენს ქვეყანას, რომ ახლა მეფე და მისი ოჯახი ვინახოთ.

ჩვენი რეპლიკა, რომ – აბა, ეხლა იანგარიშეთ თუ რა გვიჯდება პრეზიდენტობა–თქო, მაინცდამაინც, არ მოსწონდათ...

დისკუსია დისკუსიაა და ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით პოზიტიურად და აკადემიურ სტილში წაგვეყვანა იგი, ამასთან, „ანტიმონარქისტებთან“ ერთად, არ ვივიწყებდით „მონარქისტების“ პრიმიტივიზმსაც, „მეფობის აღდგენამდე“ რომ დაჰყავდათ საკითხი და კონსტიტუციური მონარქიის თავისთავად ჯანსაღ იდეას „ანტიმონარქისტებზე“ არანაკლებ აკნინებდნენ და ასარჩებდნენ. მათი ეს პრიმიტივიზმი ხშირად იქამდე მიდიოდა, რომ ლამის ხელჩართული ჩხუბი წარიმართებოდა ხოლმე, ბაგრატიონთა სხვადასხვა კანდიდატურათა მომხრეებს შორის, რაც კიდევ უფრო არაპოპულარულს ხდიდა ამ იდეას ხალხში, ნაცვლად იმისა, რომ გასაგებ ენაზე აგვეხსნა პრობლემის არსი:

არსებითი მნიშვნელობა ბაგრატიონთა დინასტიის რომელიმე კანდიდატის არჩევას კი არა აქვს სახელმწიფოს ნომინალური, ფორმალური მეთაურის პოსტზე, არამედ იმას, თუ საპარლამენტო მართვა–გამგეობის რა პრინციპებზე დავაფუძნებთ ხელისუფლებას ცენტრშიც და ადგილებზეც, როგორ აღვადგენთ „იაფი მმართველობისა და სწრაფი სამართლის“ და სხვა ნებისმიერ პოზიტიურ პრინციპს ჩვენი ძველი ეროვნული მემკვიდრეობიდან. ვცდილობდით ინგლისის, ან, ნორვეგიის, იაპონიის, ან, შვეციის მაგალითებით გვეჩვენებინა ის სიკეთენი, რაც კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს–წყობილებას შეუძლია მოუტანოს ქვეყანას...

ეს უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სტაბილური განვითარება, როგორც ილია იტყოდა, მისი „დამშვიდება–დაწყნარებაა“. დავაკვირდეთ დამოუკიდებლობიდან

დღემდე გავლილ წლებს – ნამდვილ ჯოჯოხეთს და საგიჟეთს მოგვაგონებენ პირველკაცობისთვის ბრძოლის ეს წლები. მარტო ეს ფაქტი უნდა მიგვანიშნებდეს ყველას, რომ პრეზიდენტობამ არ გაამართლა, სახელმწიფო მართვა–გამგეობის მთელმა იმ სისტემამ, რომელიც 1991 წლიდან დამკვიდრდა ჩვენში. ამან მაინც უნდა დაგვაფიქროს ყველა...

XXI საუკუნის და გლობალიზმის გამოწვევები თხოულობენ ამას..

„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად...“

კაპიტალიზმის განვითარებამ მსოფლიოშიც და საქართველოშიც ილია დაარწმუნა: „ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი უღმობელი სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა...“

ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა, – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ–გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებური ზედგამოჭრით, თუ სიმართლეს ათქმევინებთ...“ („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“).

ამიტომ ჩასჩინებდა მაშინდელ ქართველობას ხსნისა და გადარჩენისთვის ამ ახალი ეპოქის შესატყვისი „ციხე–სიმაგრე აეგოთ, ხერხი და ფარ–ხმალი ეხმარათ“, მაგრამ ისე როგორც მისი სხვა ბრძნული რჩევა, ესეც რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ამიტომაც წერდა ამ გულსაკლავ სიტყვებს – „უფულო ერი ფულიანთა სამოვარია, მათი საცხოვრისია“. ამიტომ ურიგებდა გულუხვად ბანკის შეღავათიან და გრძელვადიან აგრარულ სესხებს ყველას, ვისაც ამ ახალ ომში ჩაბმა და გამარჯვება სურდა...

„ტყე, მინდორი, მთა–ბარი, მიწა–წყალი, ჰავა–ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა–თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა–მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმადლარ სურვილისამებრ“.

მესამედასელთა სოციალურ დემაგოგიას ილიამ „საერთო ნიადაგის“ თეორია დაუპირისპირა. ეს მე მაგონებს მისი ეპოქის დიდი ამერიკელი მოაზროვნისა და მოღვაწის ლინკოლნის სიტყვებს, I ინტერნაციონალის მისამართით რომ თქვა მარქსის და ენგელსის გასაგონად – თქვენ შეგიძლიათ

მოატყუოთ მთელი ხალხი დროის გარკვეულ ხანას, ან, ხალხის ნაწილი ატყუოთ მარად, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ატყუოთ მთელი ხალხი მარად. უკეთესად ვერ ამხელ დემაგოგებს და დემაგოგიას...

სოფელი რა არის და ერთი კაციო, და ილიაც ეძებდა მთელ საქართველოში, მის მთასა თუ ბარში იმ „ერთ კაცს“, რომელიც მის იდეებს და მიზნებს საქმედ აქცევდა. ბევრიც იპოვა ასეთი ამერ–იმერით. ბევრი წარმატებული ხოდაბუნური სასოფლო–სამეურნეო კორპორაციაც შექმნა, მაგალითად მაჩხაანის, დიმიტრი მაჩხანელის თავკაცობით. დიმიტრი მაჩხანელმა მაჩხაანი ევროპული ყაიდის წარმატებულ დაბა–სოფლად აქცია, რომლის კვალი დღესაც ემჩნევა ამ სოფელს. ამასაც ვინ დაიჯერებს დღეს – მარტო ამ ერთ სოფელს 400 ათასი სული ცხვარ–ძროხა და კამეჩი ჰყავდა...

ამ მხრივაც არის საჭირო ჩვენს ისტორიაში ჩახედვა და გაგება. დღეს, როცა ბევრი ლაპარაკია ქართული სოფლის აღორძინება–განვითარებაზე, ახალი ხელისუფლების ახალ აგრარულ პოლიტიკაზე, ალბათ ღირს დღესაც ასეთი პიროვნებების მოძიება და ხელშეწყობა ამ სოფელ–ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ხსენებულ გამოცემაში ნიმუშად მოვიყვანთ ილიას ხელმოწერით გამოშვებულ ბანკის წლიური 5–პროცენტიანი საკრედიტო ბარათს, რითაც იგი ხელს უწყობდა ამ „ხოდაბუნური ამხანაგობების“ დაფუძნებას კაპიტალიზმის გზაზე შემდგარ საქართველოში...

„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად, როცა საქმით ფულის კეთებას ისწავლიან.“ – წერდა იგი და ყველას ჩააგონებდა, ვინც კი, ბანკის კრედიტით თავისი მამულის მოვლა–პატრონობის ახალ სამეურნეო პრინციპებზე განვითარებას დაისახავდა მიზნად, **„ფულს გაფრთხილებოდნენ ყაირათიანად“**. ეპოქა ეპოქას მისდევს, თაობა – თაობას, ყველაფერი მართლაც რომ ელვისებური სისწრაფით იცვლება ირგვლივ, მაგრამ ამასთან, უცვლელი რჩება ის ფსიქიკური და სოციალურ–ეკონომიკური პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია ერისა და ქვეყნის ცხოვრება. ალბათ, ამაზეც ითქმის, – ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და ჩვენი ვალია ეს **„კარგად დავიწყებული“** გამოვაცოცხლოთ ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმებით. ძველი ქართული **„კომლი“** და **„ხოდაბუნები“** ამის ერთ–ერთი მაგალითია. ილია, ივანე ჯავახიშვილი ამით ხსნიდნენ „ძველი საქართველოს ეკონომიურ სიძლიერეს. იქნებ ახალმა საქართველომ და „ახალმა ქართველებმა“ ყურად ვიღოთ ეს...

„ილიალოგთა კლუბი“ ამაზე იყო კონცენტრირებული დღიდან მისი დაფუძნებისა. მახსოვს გაცხარებული დისკუსიები, ოპონენტების ათასგვარი არგუმენტები – რაღა დროს ილია და მისი **„საერთო ნიადაგის“** პრინციპებია, მილიონი ახალი იდეები და თეორიებია დღეს მსოფლიოში, კერპთაყვანისმცემლებად ხართ გადაქცეულნიო... ესეც მინდა მკითხველს ერთი

ძველი პოეტური გააზრებით გავუზიარო, მაშინ „ილიალოგთა კლუბის“ წევრებს რომ მივმართე ასე ვთქვათ, დასამშვიდებლად და გასამხნეებლად:

მოდით ძმებო, გავიხსენოთ,
– ჩვენ ხომ სტუდენტობიდან
ერთად მოვდივართ...
ზოგი გამოგვეცალა ხელიდან,
ზოგნი კი, ღვთის მაღლით,
კვლავ ერთად მოვდივართ...
ზოგს მოვწონვართ,
ზოგსაც არ მოვწონვართ,
თვალში არ მოვდივართ,
მაგრამ გულს არ ვიტყბთ, –
ჩვენ მაინც მოვდივართ...

ივანე ჯავახიშვილი – „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“

ეს ნაშრომი ივანე ჯავახიშვილმა 1905 წელს დაწერა ბატონ ივანეს ილიას მსგავსად დიდი ლოდინი ჰქონდა, რომ რუსეთში დაწყებული რევოლუცია ბევრ რამეს შესცვლიდა იმპერიის პოლიტიკურ და სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში კონსტიტუციური მონარქიის დემოკრატიული პრინციპების მიმართულებით. მასაც და მაშინდელ ჩვენს ინტელექტუალურ ძალებს სწამდათ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი შეასრულებდა გეორგევსკის ტრაქტატის თავის მიერვე აღებულ ვალდებულებას, ბაგრატიონებს დააბრუნებდა თავის სამშობლოში და ამ ტრაქტატის ძალით თავის უფლებებსაც აღუდგენდა...

ნაშრომს წითელ ხაზად გასდევს ბაგრატიონთა დინასტიის პროგრესული როლის ჩვენება. აქაც და „ქართველი ერის ისტორიის“ სხვა ნაშრომებშიც, სადაც ბაგრატიონთა ღვაწლზე არის ლაპარაკი, მათ ყველა სამეფო დინასტიაზე უფრო დემოკრატიულ დინასტიას უწოდებს, ხალხის ჭირ–ვარამის გამზიარებელს. მესამედასელებმა კი, ისინი „კლასობრივ მტრებად“ გამოაცხადა...

რუსეთის რევოლუციის „დემოკრატიული შედეგების იმედები ფუჭი გამოდგა. „სლავოფილობამ“ კვლავ გადასძალა „ზაპადნიკობას“. მისით მხოლოდ ბოლშევიკებმა ისარგებლეს – ახალმოდურმა სლავოფილებმა ისეთი „დემოკრატია“ შექმნეს, ჰიტლერსა და ნაცისტებსაც რომ შეშურდებოდათ. მისი სუსხი ხომ, ივანე ჯავახიშვილსაც მოხვდა, თავისსავე დაარსებული უნივერსიტეტიდან რომ გაამევეს და შიმშილობისთვის გაწირეს ოჯახთან ერთად...

ბ-ნი ივანეს ეს ნაშრომი ეფუძნება „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორის სუმბათ დავითის-ძის ცნობილ თხზულებას – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. ივანე ჯავახიშვილი ავტორსაც და მის თხზულებასაც ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ განიხილავს. აქ და მერე „ქართლის ცხოვრების“ სხვა ავტორებთანაც ვხვდებით ცნობებს ამ დინასტიის „დავითიან-სოლომონიანთა“ უძველესი სამეფო დინასტიიდან წარმოშობის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ისრაელის სახელმწიფოს ფორმირებისას იქ გაჩნდა კონსტიტუციური მონარქიის და ბაგრატიონთა სახელმწიფოს მეთაურად მიწვევის იდეა...

ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომით ვისარგებლე, როცა „საქართველოს მეფის“ თანამედროვე კონსტიტუციურ პრინციპებზე ვმუშაობდი. რასაკვირველია, გამოვიყენე აგრეთვე, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის კონსტიტუციების სამართლებრივი ნორმებიც. ყველაფერს ამას ასეთი სახით წარმოგიდგენთ სამუშაო პროექტის სახით:

1. სახელმწიფოსმეთაურსწარმოადგენსმეფე, რომლისკანდიდატურასწარმოადგენს „რეგენტოსაბჰო“ ბაგრატიონთასავარეულოდანდამტკიცებსპარლამენტი.

2. მეფე არის ეროვნული ერთობისა და სახელმწიფოს მთლიანობის სიმბოლო. იგი ატარებს ისტორიულად მომდინარე ტიტულს – „სრულიად საქართველოს მეფე“ და სხვა სამეფო რეგალიებს, რომლებსაც ამტკიცებს პარლამენტი.

3. პარლამენტის წარდგინებით მეფე ამტკიცებს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების პირებს როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. უარის შემთხვევაში, პარლამენტის ხელმეორე გადაწყვეტილებით იღებს კანონის ძალას. იგივე ეხება პარლამენტის ნებისმიერ აქტს, დადგენილებას და კანონს.

4. მეფე იღებს და ამტკიცებს საზღვარგარეთის ელჩებს და სხვა ნებისმიერ წარმომადგენელს, აგრეთვე ნიშნავს საქართველოს ელჩებს და სხვა წარმომადგენლებს საზღვარგარეთ. უარის შემთხვევაში მოქმედებს პარლამენტის უზენაესობის იგივე წესი.

5. მეფის და მისი მემკვიდრის რეზიდენციას და ბიუჯეტს ამტკიცებს პარლამენტი. მეფის ოჯახის სხვა წევრებს აქვთ იგივე უფლებები, რაც დანარჩენ მოქალაქეებს. მათ შეუძლიათ თავიანთი სურვილებისამებრ აირჩიონ ნებისმიერი სამსახური სამოქალაქო, ან, სამხედრო სფეროში.

კონსტიტუციური მონარქია: საქართველოს სამომავლო გზა...

შორიდან მაყურებელ და გაუთვითცნობიერებელ კაცს ამ 25 წლიან სახელმწიფოებრივ მშენებლობას რომ აკვირდება ჩვენთან, ეგონება ამ ხალხს და ქვეყანას ათასწლეულების ისტორია და კულტურა კი არა, ალბათ, გუშინ გამოვიდნენ ასპარეზზე ჯუნგლის ტომების მსგავსად. ჩვენც და ჩვენი მთა-ბარი ბუნება-ხასიათით პარადოქსების ქვეყანა ვართ და ესეც რაღაც პარადოქსული კატეგორიის მოვლენად უნდა ჩავთვალოთ:

სულო და გულო სახელმწიფოს რა ფორმებზე არ ვწერთ და ვლაპარაკობთ, სად არ ვეძებთ მათ ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც გნებავთ, გარდა ჩვენი საკუთარი ისტორიისა. „**უცხო ზამის სენი, მაიმუნური წამბაძველობა და თუთიყუშური გადმოდახილი**“ – ასე განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძე ყოველივე ამას მესამედასელებთან პოლემიკისას... მართლაცდა, „უცხო“ ხომ, ჩვენთვის ყოველთვის „საუცხოოა“...

მე იმ ასაკის კაცი ვარ, რომ თვითონ ვარ მომსწრე ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე იმ განსჯა-კამათისა, თუ რა ტიპის სახელმწიფო უნდა შევქმნათ ქართველობამ, როცა ამ მორიგ დამპყრობელს დავაღწევთ თავს. სტუდენტობიდან რაზე არ გვიმსჯელია, მაგრამ ძალიან იშვიათად მახსენდება სერიოზული ანალიზი კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საპარლამენტო მართველობის იმ მოდელზე, რაზეც ილიას „**საერთო ნიადაგის**“ თეორია არის დაფუძნებული. არადა, თუ რამეს უნდა დღეს განსჯა-კამათი და ანალიზი, სწორედ რომ ესაა. პირველ რიგში ამას სჭირდება ჩვენგან „ქმნა მართლისა სამართლისა...“.

ძველი სიბრძნეა – „ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს“ და ეს ისე არავის სჭირდება დღეს, როგორც ჩვენ. ილიამ არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ამას და ამ მხრივაც ჩვენი გზამკვლევი უნდა იყოს საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის მისეული ფორმულა – „**რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ**“. პრეზიდენტის ინსტიტუტის ნაცვლად, სახელმწიფოს ფორმალური, ანუ, ნომინალური მეთაურის – „მეფის“ ინსტიტუტის შემოღება, ასეთი ამ ფორმულის პრაქტიკული პოლიტიკური დასკვნა...

იგი ამასთან, ქართული სახელმწიფოს „ძნელბედობით“ გაუკუღმართებული ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კვლავ ძველ კალაპოტში დაბრუნებაა. ამ 800 წლის მანძილზე ქართულ სახელმწიფოს გარედან არაერთი ხელოვნური „უცხო სხეული“ შემოეჭრა და მათგან განთავისუფლება უთუოდ, ახალ სიცოცხლეს მისცემს ქვეყნის მომავალ საზოგადოებრივ-

ეკონომიკურ განვითარებას, რამეთუ საკუთარი და ბუნებრივი ყოველთვის ფასეულია ხელოვნურზე...

ივ. ჯავახიშვილი კონსტიტუციური მონარქიის იდეას დავით აღმაშენებლის „სააჯო კართ“ და 1195 წლის „ისნის კარავის“ ფენომენით იწყებს. კანონიერი სიამაყით წერს ამაზე „ქართული სამართლის ისტორიაში“, როცა აღნიშნავს, რომ ინგლისზე უფრო ადრე ეს იდეა საქართველოში ჩაისახა. მის გარდა არაერთ უცხოელ ავტორსაც აქვს ამაზე ხაზგასმა. აქ მინდა ავღნიშნო ამ 20 წლის წინ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი გერმანიის მაშინდელი პრეზიდენტი, სახელმწიფო სამართლის მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტი რომან ჰერცოგი...

რაშია საქმე – ნუთუ ამ 200 წლის მანძილზე ისე დაგვარგეთ სახელმწიფოებრივი ფუნქცია და განცდა, რომ მეხსიერებადაკარგული კაცივით, ვეღარ ვიხსენებთ საიდან მოვდივართ და საით მივდივართ?! „ქართველები უფრო კულტურული ნაცია ხართ, ვიდრე სახელმწიფოებრივი“ – გვეუბნება ისევ გერმანელი კაცი, ამჯერად მწერალი ჰანს მაგნუს ენცენსბერგი 1997 წლის 17 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველოს“ ვრცელ სტატიაში დელიკატური ფორმით, მაგრამ მრავლისმეტყველი დიაგნოზით!... დიახ, ბატონებო, ჩვენ „სახელმწიფოებრივი ნაცია“ აღარ ვართ! ასე რომ არ იყოს, დედამიწას ვუვლით გარშემო, სხვათა და სხვათა გამოცდილებას ვეძებთ გამწარებით და გვავიწყდება, რომ – „ამქვეყნად ჩვენც გვიცხოვრია, გვიფიქრია, გვიმოღვაწია“. იმიტომ შექმნა „საერთო ნიადაგის“ თეორიაც, რომ სხვებთან ერთად, ჩვენს გამოცდილებასაც მივხედოთ – ყველაზე სწორ და უტყუარ გზაზე ეს დაგვაყენებს...

საოცარი და გასაკვირი ის არის, რომ თვით საკითხის დაყენების წესითაც კი, სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა დღემდე დღის წესრიგში არც დამდგარა. არადა, ჩვენი ისტორია და თანამედროვეობა გვაძლევს შანსს, რომ საქართველოს სამომავლო განვითარება ამ პრინციპით და კალაპოტით წარვმართოთ.

ეჭვი არაა, რომ ამას გლობალიზმის პირობებში მხოლოდ პოზიტიური მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის, ისევე როგორც ქვეყნის დემოკრატიული, სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამას გვეუბნება და გვასწავლის საერთაშორისო გამოცდილებაც ინგლისიდან იაპონიამდე“. „სახელმწიფოებრივი ნაცია“ მაშინ გავხდებით, როცა ამ ორ ფაქტორზე – ჩვენს ეროვნულ – ისტორიულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დავაფუძნებთ ქართულ სახელმწიფოს.

ერთი პოეტური თქმისა არ იყოს, – „ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“, – ყველა ახლადმოვლენილი ხელისუფალი თავის თარგსა და ჭკუაზე ჭრის და კერავს ამ ჩვენს საცოდავ კონსტიტუციას, ნაცვლად იმისა, რომ იგი ქვეყნისა და ერის ცხოვრებას, მის ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს, ისტორიას და ტრადიციებს მოვარგოთ. „ძირითადი კანონიც“ ხომ ამიტომ ჰქვია: ეს 25 წელი

ამდენი „ჩასწორება–ჩამატებებით“ თვით უძველეს აშშ კონსტიტუციასაც კი გავუსწართ, მეტი პარადოქსი რაღა გინდათ. ამ მხრივაც „ვაჯობეთ“ ყველას – ჭეშმარიტად, რომ გინესის ანტირეკორდების წიგნში ვართ შესატანი...

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ერთიანად მოსპო ქართული სახელმწიფო ამერიკით, მისი აღდგენის ფიქრი და განსჯა არ მოშორებია ქართველ კაცს. ამ გააზრებით XIX–XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ აზროვნებაში კონსტიტუციური მონარქიის იდეის ფუძემდებლებად სოლომონ დოდაშვილი და რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონი, ერეკლე მეფის შვილიშვილი ოქროპირ ბატონიშვილი უნდა ჩაითვალოს. ამ იდეაზე დააფუძნეს მათ 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკური პროგრამა. მაშინ ცნება – „კონსტიტუციური მონარქია“ არ არსებობდა და ამდენად, ისინი მას ცნებით – **„ინგლისის მსგავსი ერთგვარი რესპუბლიკა“** გამოხატავდნენ. ასე დაფიქსირდა შეთქმულთა ეს იდეა ე.წ. „მცხეთის საიდუმლო სერობაზე“.

ილია ჭავჭავაძემ შეთქმულთა ამ იდეას მწყობრი პოლიტიკური სისტემის სახე მისცა. ვისაც მომავლის საქართველოში სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური განვითარება გვინდა, ორ–პალატიანი საპარლამენტო მმართველობის ამ სისტემაზე უნდა ავიღოთ ორიენტირი. ილიამ მხატვრული მეტაფორითაც გამოხატა ეს: **„სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული ახალი საქართველო“**

კონსტიტუციური მონარქიის შინაარსობლივად მეტად დატვირთული ფორმულა შემოგვთავაზა კათალიკოს–პატრიარქმა ილია II: **„მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს!“**. ეს ხაზს უსვავს კონსტიტუციური მონარქიის უმთავრეს პოლიტიკურ და სამართლებრივ პრინციპს – ქვეყანაში ხალხის წარმომადგენლობით მართვა–გამგეობას. დღეს ასე რომ გვინდა ყველას ძლიერი პარლამენტი და საპარლამენტო მმართველობა, ეს ფორმულა უნდა წავიმძღვაროთ ლოზუნგად. ამიტომ წერდა ილია მართალიც – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“**

XX საუკუნეში გაბატონებულმა მესამედასურმა იდეოლოგიამ კონსტიტუციური მონარქიის ილიას ამ იდეისაგან ნამდვილი საფრთხობელა შექმნა ხალხის გასაბრიყვებლად. იგივე დემაგოგიური მიზნით ილია ხალხის თვალში „თავად–აზნაურული რეაქციის ბურჯად“ დასახეს. ჟორდანიას, გელეიშვილი, მახარაძე ილიასთან პოლემიკაში მას „საქართველოში ბატონყმობის აღდგენის“ ბრალდებასაც უყენებდნენ, რაც საფუძვლად დაუდეს კიდეც „წიწამურის განაჩენს“...

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ილიას რეაბილიტაცია მომხდარი ფაქტია და მესამედასური იდეოლოგიაც თითქოს წარსულს ჩაბარდა, გალაქტიონის პოეტური გენიით ნათელხილული ის „დიდი ეპოქა“ კვლავ აღსადგენია და რაც მთავარია, განსახორციელებელი. ამას ჩვენს გარდა არავინ გააკეთებს...

ამ ახალ სახელმწიფოებრივ სისტემაზე გადასვლას ცხადია, გარკვეული წლები და შეიძლება ათწლეულებიც დასჭირდეს, მაგრამ მთავარია დავიწყოთ აქეთკენ სვლა, სვლა „დავითის ძალისხმევისა და თამარის სათნოების ხაზის“ გამთლიანებისაკენ. ათასწლეულების დასაწყისი ფეხბედნიერად აქვს დაცდილი ჩვენს ისტორიას და უნდა გვწამდეს, რომ ეს ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ახალ „ოქროვან ხანას“ მოუტანს ჩვენს ხალხს და ქვეყანას...

„ძნელბედობაც“ მაშინ დამთავრდება და მაშინ „ვიყუდნებთ ჩვენს თავს ჩვენად“. აკი, შესთხოვს უფალს „აჩრდილის“ XXVI თავში ყველაზე დიდ ოცნებას და ნატვრას თავისი „კარგი ქვეყნისთვის“:

**„მოჰმადლე ქართველს ქართლის ნდომა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!“...**

პეტრე იბერის დაბრუნება

დღეს თითქმის საეჭვოდ აღარავინ თვლის, რომ ევროპული რენესანსის იდეოლოგიურ საფუძვლად აღიარებული „არეოპაგიკული შრომების“ ნამდვილი ავტორი პეტრე იბერია. ისე, რომ „ნუცუბიძე–ჰონიგმანის“ თეორიიდან 70 წლის შემდეგ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა“...

მანამდეც, XIX–XX საუკუნეებში არაერთმა მკვლევარმა ეჭვის ქვეშ დააყენა „არეოპაგიტიკის“ დიონისე არეოპაგელის ავტორობის ჭეშმარიტება. წმინდა ფილოლოგიური ანალიზიც სწორედ ამაზე მიუთითებდა – I საუკუნის მოღვაწე არ შეიძლება V საუკუნის ძეგლის – ავტორი ყოფილიყო. ამ 200 წლის მანძილზე ოცზე მეტი ჰიპოთეზა იქნა წამოყენებული მისი ნამდვილი ავტორის შესახებ და გერმანელი და ქართველი მეცნიერის ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა ჰიპოთეზამ (ნუცუბიძისა – 1942, ჰონიგმანის კი, 1948 წელს) საბოლოოდ გაიმარჯვა.

ისიც ხაზგასასმელია, რომ დღეს კვლევა–ძიება მიმდინარეობს არა იმდენად პეტრე იბერის რელიგიურ მრწამსზე – მონოფიზიტი იყო იგი, თუ დიოფიზიტი (თუმცა ყველა მონაცემებით იგი დიოფიზიტი იყო და საერთოდ, მაშინდელი ეპოქისთვის დამახასიათებელ აღმოსავლეთ–დასავლეთის მძაფრ რელიგიურ დაპირისპირებაში მუდამ ამ დაპირისპირებებზე მაღლა იდგა), რამდენადაც მის ზოგად–ფილოსოფიურ, ზნეობრივ და თვით პოლიტიკურ ღირებულებებზე.

აქ შეიძლება სანიმუშოდ მოვიყვანოთ კ.ჰორნის, რ.რააბეს, ჰ.ჰაიდელერის, თ.კობაშის შრომები. მაგ., კორნელია ჰორნი ამას თვით სათაურშიც კი აცხადებს – „თეოლოგიის მიღმა“ პეტრე იბერი V საუკუნის პალესტინაში მიმდინარე

ქრისტოლოგიურ დაპირისპირებაში“ (ამ თემაზე მან დისერტაციაც დაიცვა 2001 წელს ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტში).

ქართულ სინამდვილეშიც დადგა დრო გადაისინჯოს პეტრე იბერის მემკვიდრეობისადმი მიდგომა: VII საუკუნიდან მოყოლებული, როცა ქართულ–სომხური საეკლესიო განხეთქილების შემდეგ მიმდინარე მიზანმიმართულმა მცდელობებმა მონოფიზიტად წარმოადგინონ პეტრე იბერი, სამწუხაროდ, თავის მიზანს მიაღწია. ეს განსაკუთრებით ითქმის XIX–XX საუკუნეებზე, როცა რუსეთმა სრული კონტროლი დაამყარა ქართულ ეკლესიაზე და პეტრე იბერი ქართველ წმინდანთა მოსახსენებელი სახელებიდან ამოაღებინა...

ამ მცდელობას წინ აღუდგნენ XIX–XX საუკუნეების ჩვენი დიდი მოღვაწენი და ჩვენი ვალაია, რომ დღეს მაინც, ჩვენს ერს და მის ისტორიას დავუბრუნოთ პეტრე იბერი – „ქართველი ერის სიქადული და მსოფლიო მეოხი“. იოანე პეტრიწის ეს ანდერძად თქმული სიტყვები უნდა აღსრულდეს...

ამ მიზანს ემსახურება ეს წერილი – პეტრე იბერი, ისე როგორც წარსულში, ახლაც ჩვენი ევროპასთან გამთლიანება – გაერთიანების სიმბოლო უნდა გახდეს. ამით მას ერთდროულად დავუბრუნებთ საქართველოსაც და ევროპასაც, რამეთუ ამ 1500 წლის წინ იგი ერთგულად ემსახურა ერთსაც და მეორესაც.

აქ ისიც უნდა გვინდა ვთქვათ, იმ „იბერის“ ზეწოდებამ მას სიკეთისა და ჟღერადი სახელის გარდა, ზიანიც ბევრი მოუტანა: რატომღაც ბევრს არ მოსწონდა ჩვენი ქვეყნის აღმნიშვნელი ეს სახელი და ამანაც ბევრწილად განაპირობა მისდამი „მწვალებლის“ იარლიყის მიკერება: რას ჰქვია, საქართველო – იბერიას რატომ უნდა ჰყავდეს წმინდანი, თანაც ახალი ეპოქის მომასწავებელი ამდენი შრომების ავტორი?!... ესეც კი მოიფიქრეს შურიტ აღვსილებმა... არც აციეს, არც აცხელეს და „ესპანელ იბერი“ გახადეს...

„შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“ – უკვდავი ფორმულაა კაცთა მოდგმისა და საქართველოსა და ქართველ კაცსაც არ დაკლებია ეს არც ისტორიულ წარსულში და არც ახლა. აკი, წერს ილია ჭავჭავაძეც დიდი ემოციური ძალით („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?):

„ჩვენთვის ღმერთს არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა... თუ ქვეყნიერებაზე ერთი–ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს – ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვობისა აქ დაიბლერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის...

ტყე–მინდორი, მთა–ბარი, მიწა–წყალი, ჰავა–ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება...

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევნიან, რა ვაი–ვაგლახი, რა სისხლისღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ

დატრიალებულა ჩვენს თავზედ... გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ–თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოსა...

ქრისტე–ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისთვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზედ/როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი... გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ–შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ დავთმეთ, არ გავაქრეთ... ცოდვა არ არის, ეს ერი ამოწყდეს! ცოდვა არ არის ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა–ტურამ გამოდრღნას, როგორც მძორი...“

და მეორე წერილში („ერი და ისტორია“), ერთი ასეთი ილიასეული ხედვა და გააზრება:

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა“.

პეტრე იბერიც ასეთი „ხსოვნა დაკარგული“ ისტორიაა საქართველოსი, რომ არა ვახტანგ VI და მისი „სწავლულ კაცთა დასი“, მისი სახელიც კი, „ქართლის ცხოვრებაში“ უცნობი დარჩებოდა ჩვენთვის. ამიტომაც უწოდებს „დაუჯერებელს“ ივანე ჯავახიშვილი ჩვენი წყაროების ასეთ „დუმილს“ პეტრე იბერის მიმართ: ესეც სწორედ იმის დასტურია, რომ „მონოფიზიტობის“ ამ ყალბმა ბრალდებამ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ერი და ბერი. ამაზე წერდა პირუთვნელად კათალიკოს–პატრიარქი კირიონ II 1910 წელს...

ასი წლის შემდეგ, როცა პეტრე იბერის მიმართ ვითარება ასე რადიკალურად შეიცვალა ქართულ და მსოფლიო მეცნიერებაში, ეროვნული ბიბლიოთეკის „ილია ჭავჭავაძის კაბინეტი“ გამოდის ინიციატივით შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი პეტრე იბერის მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოსამზადებლად.

მკითხველს მინდა შევთავაზო პეტრე იბერის ჩვენი ერისა და ქვეყნისადმი გაწეული ღვაწლის ეს პოეტური გააზრება:

პეტრე იბერს

– „არ დამივიწყოთ!“, –
ანდერმად გვითხარ
წუთისოფელთან
განშორების ჟამს
მეუდაბნოემ
პალესტინიდან,

ცით უფლის ხილვით
ნათელხილული
მაგ შენეული –
„ცისა და მიწის
იერარქიით“...

„მეოხი კაცთა
სჯულის ყოველთა“, –
ასეთად დარჩა
სახელი შენი...
მაგრამ დრო–ჟამმა
უღვთოდ წაშალა
შრომებიც შენი,
ეპისტოლენიც...
უპატრონობით
სხვას მიაწერეს,
სხვისი გახადეს,
უღვთოდ გაგმარცვეს...

* *
*

„გონების განწმენდა“,
„მშვიდობისმყოფლობა“,
„ღვთის მოშიშობა“,
„ერთნებაობა“
და „თანადგომა“ –
გვიანდერძე ეს ხუთი მცნება
კაცობრიობის გადასარჩენად,
ბოროტებაზე გასამარჯვებლად...

* *
*

არა და არა,
ამოდ დაშვრი, –
ვის უნდა ახლა
შენი ანდერძი,
ანდა, ღვთის სიტყვა...
სატანის ძალამ
ავხორცობისამ
გადაგვძალა და
მონად გაგვხადა
სულ ერთიანად...
არ ვიღებთ დღესაც

დალადსა შენსას,
ნაცვლად ამისა,
ღვთის გმოზა ისმის
კიდით კიდემდე
ადამის ძეთა...

* *
*

და როს ვუყურებ
ნიაღვრებს სისხლის
და სულზე ხორცის
ზეობას ირგვლივ, –
სიყვარულის წილ
სიძულვილი და
კაცთა კვლა დიდი,
სასოწარკვეთილს
კვლავ მახსენდები:

მხოლოდ შენ რჩები
ბოროტის ძლევის,
კაცთ ამაღლების
იმედი ჩემი, –
ცით მოვლენილი
სვეტი ნათელი
პეტრე იბერი..

ახალი „ოქროვანი ხანა“ – უტოპია, თუ...

საყოველთაოდაა ცნობილი ილიას პოლიტიკური რეალიზმი – მისთვის პირველი და მთავარი პრინციპი იყო არსებული რეალობიდან ამოსვლა სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად... მაგრამ როცა საქმე „ჩვენს დიდებულ ოქროვანს ხანას“ ეხებოდა, აქ მასთან პოლიტიკური რომანტიზმი ბატონობდა. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს პოემა – „მეფე დიმიტრი თავდადებული“ დაამ „დიდებული და ოქროვანი ხანისკენ“ მისი „გზად და ხიდად გადების“ იდეა...

„იდეა განუხორციელებელი საქმეა, საქმე კი განხორციელებული იდეა“ – უყვარდა ამ დიალექტიკურ მთლიანობაზე ხაზგასმა ილიას... ჯერ კიდევ ვაჟა ფშაველამ განსაზღვრა ილიას – „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგის“, ადგილი საქართველოს მომავალ ისტორიაში („ვერ მოჰკლეს!“, „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“, „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“...). მისი მეცნიერული ანალიზი კი, ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა ...

საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაც სწორედ იმას გვასწავლის, რომ თუ ერს და ქვეყანას უნდა კვლავ ეღიროს თავის ახალ „ოქროვან ხანას“, ამას მხოლოდ **„ერთნებაობა – თანადგომით და საერთო ნიადაგზე დგომით“** შევძლებთ, იმიტომ, რითაც ეს ძველმა საქართველომ შესძლო თავის დროზე. ამ დასკვნით მთავრდება ილიას სტატიაც – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ ...

ილიამ ყველაზე კარგად იცოდა რა ურთულესი და უძნელესი ამოცანაა ამ „დიდებული ოქროვანი ხანის“ აღდგინება, მაგრამ ესეც იცოდა – „მით უფრო სასახელო და საამაყო იქნება ეს ჩვენთვის და ჩვენი ისტორიისთვის“ – მთავარი აქაც ისაა, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს – ფესვები ხომ, მთავარია ყველგან და ყველაფერში“ ...

ეს ყველაფერი სხვასთან ერთად, უკავშირდება ძველ ქართულ „კომლს“ და მასზე დაფუძნებულ „ხოდაბუნს“, რომლებიც საწყისს სწორედ პეტრე იბერის ეპოქიდან იღებენ და როგორც ჩანს, პეტრე იბერიც მატერიალურად სწორედ ამ საეკლესიო–სამონასტრო „ხოდაბუნებს“ ეყრდნობოდა. ამიტომაც იყო გულუხვი და სტუმარ–მასპინძლობითაც გამორჩეული მთელ მაშინდელ პალესტინაში – **„10 მაგიდას შლიდა ხოლმე ჩამოსული სტუმრებისთვის“–ო, წერენ ბიოგრაფები...**

ეს გულუხვი მასპინძლობაც ხომ ქართული ხასიათის ანარეკლია – მისი კარი მუდამ ღია იყო ყველა დევნილისა და „უპოვართათვის“ განურჩევლად რჯულისა და ეროვნებისა. სხვანაირად ხომ, „ყოველთა კაცთა მსოფლიო მეოხადაც“ არ დარჩებოდა ხალხისა და ისტორიის ხსოვნაში. მაგრამ მივუბრუნდეთ „ხოდაბუნების“ თემას და მათ სადღეისო – სამომავლო მნიშვნელობას:

დღეს ჩვენ თეზისების სახით ჩამოვთვლით იმ პრინციპებს, რომლებიც ვფიქრობთ, შესაძლებელს გახდიან მომავალში ამ იდეის რეალიზაციას:

1. უპირველეს ყოვლისა, სასოფლო–სამეურნეო „ხოდაბუნები“ ძველ საქართველოში დაფუძნებული იყო ხალხის ფართო თვითმართველობასა და თვითმოქმედებაზე. ამიტომ წერს ილიაც ხაზგასმით ჩვენს გასაგონად – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“... სწორედ ძველი საქართველოს ხოდაბუნურ კორპორაციებში აისახა ილიას იდეალი – „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება“.** ეს პრინციპი არსებითია მასთან.

2. იგი თავის მხრივ, ორგანულად უკავშირდება „ერთნებაობითა და თანადგომით მართვის“ დავით აღმაშენებლის პრინციპს. ისიც სიმბოლურია, რომ „ხოდაბუნის“ პირველი დოკუმენტური ხსენება სწორედ შიო მღვიმის მონასტრისადმი მის „ანდერძშია“ დაფიქსირებული: („ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის განუწყესებია, მე ხოდაბუნი შემიწირავს მუხრანსა...“). ისიც სიმბოლური სიტყვებია, რომლითაც დავით აღმაშენებელი მიმართავს მემკვიდრეს: „აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს

ყოველი საუკუნოდ“. ეს მაშინ იგი შვილს მიმართავდა, მაგრამ დღეს კი, ჩვენ გვეხება ეს მისი „ანდერძი“...

3. „ხოდაბუნი“ დღევანდელ ობიექტურ პირობებში შეიძლება დაფუძნდეს როგორც კერძო და სასოფლო, ისე სახელმწიფო მიწების კოოპერაციით. სტატიაში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ილიას ასეთი გაერთიანება „საერთო ნიადაგის“ თავისებურ მატერიალურ ბაზად მიაჩნდა. მთავარია ყოველივე ამას მკვიდრი სამართლებრივი და ფინანსური საფუძვლები შევუქმნათ. სახელმწიფოს რეგულატორული როლის არსიც ხომ ეს არის.

4. სახელმწიფოსთან ერთად და მისი „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით“, თავის მხრივ „ხოდაბუნები“ ორგანიზებას უკეთებენ დაუსახლებელ და აუთვისებელ მიწებზე „ახალ დასახლებათა“ შექმნას და განვითარებას. ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია განხორციელდეს მთის, მთისძირა და ქვეყნის განაპირა სასაზღვრო რეგიონებში. თვითონ ილიამ ვარლამ ჩერქეზიშვილთან და დიმიტრი მაჩხანელთან ერთად, ასეთი რამდენიმე „ახალი დასახლება“ შექმნა გომბორსა და ივრისპირეთში. ამ გამოცდილებასაც შესწავლა უნდა...

5. თვითეულ ამ „ახალ დასახლებაში“ ტრადიციულ სამეურნეო დარგებთან ერთად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე აგრარული და აგრეთვე, ინდუსტრიული წარმოების განვითარებას. ამ გზით ისინი ქვეყნის დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მძლავრ საშუალებად გადაიქცევიან.

6. სახელმწიფოსთან ერთად, „ხოდაბუნი“ და მათი რეგიონალური გაერთიანებანი ქმნიან აგრო-სერვისის ერთობლივ ცენტრებს შორეული მიწის მასივებზე. აქაც აუცილებელია მათი ფუნქციონირების ეფექტური საფინანსო-ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნა.

7. „ხოდაბუნებს“ საკანონმდებლო გზით უნდა მიეცეთ შეღავათიანი კრედიტების, აგრეთვე, ნატურალური და ფულადი ანაზღაურების საკუთარი სისტემის ფორმირებისა და განვითარების საშუალება. მხოლოდ მათი გადასაწყვეტია თუ რა კონკრეტულ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურას და სისტემას აირჩევენ ფუნქციონირებისთვის. ეს მათ უნდა გადაწყვიტონ დემოკრატიული გზით და მოქმედი კანონმდებლობით მოცემულ რეგიონში და მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ეს მათი სტაბილურობის გარანტიაა. სტაბილურობა კი ნებისმიერი საქმის წარმატების საწინდარია.

„ხოდაბუნი“ ოდითგანვე ჩვენი ისტორიის დიდი სიმდიდრეა და მას ჩვენგან გათავისება – აღდგენა – გათანამედროვეობა სჭირდება. „საერთო ნიადაგის“ თეორია ბევრ ასეთ სიმდიდრეს შეიცავს მომავლის ორიენტირად. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გავიგოთ, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...

„ხოდაბუნებს“ ჩვენ „ქართულ კიბუცებს“ ვუწოდებთ და მათ შეუძლიათ დიდი სტიმული მისცენ ქვეყნის მომავალ განვითარებას. ამის გარანტიაა ის, რომ მას მკვიდრი ეროვნული ფესვები აქვს.

რომანტიზმი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

ეპოქა ეპოქას მისდევს, თაობა-თაობას და ვერ ნახავთ ჩვენი ისტორიის ვერცერთ ეპოქას, პოლიტიკური რომანტიზმი რომ არ ახლდეს თან. „ქართლის ცხოვრება“ უამრავ მაგალითს გვაძლევს ამისას:

იოანე მარუშიძე და ბაგრატ მესამე, გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი, ბასილი ეზოსმოდვარი და თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე და ლუარსაბ წამებული, თეიმურაზ I და არჩილ მეფე, სულხან-საბა და ვახტანგ VI, „პატარა კახი“ და სოლომონ დოდაშვილი, – მასთან ერთად „შეთქმულთა“ მთელი თაობები.

შემდეგ კი, XIX-XX საუკუნეების მათი პოლიტიკური მემკვიდრენი – ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე... უფრო აქეთ კი, – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მთელი ჩვენი დისიდენტური მოძრაობა ამ ქართული პოლიტიკური რომანტიზმისანარეკლია... და აი, ახლაც ბოლო მაგალითები ამისა – „ქართული ოცნება“...

მკითხველი შეიძლება შემოგვედავოს – დავით აღმაშენებელი, ანდა, ილია ჭავჭავაძე, – რა „პოლიტიკურ რომანტიზმზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი?! ... ჩვენ იქით შევატრიალებთ კითხვას – დავით აღმაშენებელი და „გალობანი სინანულისანი“?!, ანდა, ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს მტირალი და თვალცრემლიანი ილია?! ... არტურ ლაისტის დამოწმებით კი, სწორედ ასეთი „მტირალა ილია“ ნახეს, როცა გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებულს დარიალის ხეობაში დახვდნენ. არცკი ცდილობდა ცრემლების დამალვასო – წერს ლაისტი. ასეთია იმ დიდი ეროვნული სენისა და ფენომენის ძალა, რასაც ნოსტალგია და სამშობლოს სიყვარული ჰქვია. მეტ-ნაკლებად ეს ყველა ქართველს განუცდია, რომელსაც ნებით თუ უნებურად სამშობლოს გარეთ ცხოვრება მოუწია...

ჩერქეზიშვილის „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ (სტალინის დეფინიციით – „პაწია თემთა სოციალიზმის“), იდეები სწორედ უცხოეთში, ევროპაში იშვა და აქ ჰპოვეს მათ სამოქმედო ასპარეზიც. რუსთაველის გენიალურ პოლიტიკურ ფორმულასაც – „ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდნენ“, აქ მისცა მან გარკვეული პრაქტიკული მოქმედების პროგრამული

სახე... ყოველივე ეს დეტალურადაა გადმოცემული ახლახანს გამოცემულ მონოგრაფიაში – „იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი – იდეური ბრძოლა დღესაც გრძელდება“.

დიახ, სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის იდეები და პოლიტიკური პროგრამები „შვედურ–ნორვეგიული“ თუ „კიბუცურ–სინდიკატური სოციალიზმის“ (ჩვენებურად კი – „ხოდაბუნური სოციალიზმის“), სახით დღესაც აქტუალურია, ისე როგორც ჩერქეზიშვილისა და სტალინის ეპოქაში. უცხოეთში გადახვეწილი ჩერქეზიშვილი იქიდანაც ცდილობდა სწორი გზა–კვალი მიეცა საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის... გამგონე და გამკეთებელი ვერ ჰპოვა ოღონდ – ეს აქ, ჩვენთან, თორემ იქ, უცხოეთში ამ მხრივაც ბევრი რამ გააკეთა...

პოლიტიკური რომანტიზმი ბევრწილად აქედანაც იღებს თავის მასაზრდოებელ ფესვებს – სამშობლოდან მოწყვეტილ ქართველს უფრო მეტად ეძალება ფიქრი მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ისევ ილია რომ გავიხსენოთ, სწორედ უცხოეთში ყოფნისას განსაზღვრა მან თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ძირითადი პრინციპები – კოლონიურ უღელში მყოფი საქართველოს „ახალი ოქროვანი ხანის“ პოლიტიკური პროგრამა. თუ არა პოლიტიკური რომანტიზმი, ვის მოუვა თავში თავისი „კარგი ქვეყნისთვის“ ახალი „ოქროვანი ხანა“ და მისი ახალი დედაქალაქის მშენებლობის იდეა ძველი საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში!?!...**მეტი პოლიტიკური რომანტიზმი რაღა გინდათ...**

ქართული პოლიტიკური რომანტიზმის მთავარი მკვებავი წყარო მაინც, ჩვენი კოლონიური ყოფაა, ათასეული წლების მანძილზე რომ ლამის მუდმივად გვდევს თან მიდიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიის ჩათვლით. უპირობო რეფლექსად, ნატვრად და ოცნებად გადაგვექცა ამ კოლონიური უღლის თავიდან მოშორება და „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება“. ბავშვობიდანვე ამ ნატვრითა და ოცნებით იზრდება ქართველი. პატარა აკაკი (ისე როგორც სოლომონ დოდაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძალიან ბევრი ჩვენი მოღვაწე), სამხედრო კარიერაზე იმიტომ ოცნებობდა, რომ ამ გზით მოეპოვებინათ თავისუფლება საქართველოსთვის...

მაგრამ ეგაცაა – პოლიტიკურ რომანტიზმს თუ „რეალ-პოლიტიკის“ ელემენტებიც არ ახლავს თან, იგი ცარიელ ოცნებად შემორჩება ისტორიას. პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა და ყველა ეპოქას ამ შესაძლებელის თავისი ზღვარი და განზომილება აქვს. პოლიტიკური რომანტიზმი უფრო მომავლის ხედვაა და წარმატებაც მაშინ მოდის ხოლმე, როცა იგი ამ „შესაძლებელის“ გათვალისწინებით მოქმედებს გარკვეული ისტორიული ეტაპების გავლით. როცა 16 წლის დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდა, მან და მისმა თანამოაზრეებმა უპირველეს ყოვლისა, გიორგი ათონელის

„ერთნებაობითა და თანადგომით“ ქვეყნის მართვის იდეოლოგია და პრაქტიკა დაამკვიდრეს, შემდეგ ქვეყნის უსაფრთხოებასმიხედეს – აღკვეთეს მომთაბარე ტომების მმარცველური თავდასხმები, მთაში გახიზნული ხალხიც მობრუნდა ბარში, ერის მწარმოებელმა ძალებმა სული მოითქვეს. მერე „კანონი გააკანონეს“ რუის–ურბნისის 1103 წლის კრების „ძეგლისდებით“–, „ურჩებს და ორგულებს ორკაპი ამოსდეს“...

თეორია თეორიად, მაგრამ ყველაფერი ეს შემდგომ ათწლეულებში სამხედრო – თავდაცვითი, სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური რეფორმებით განამტკიცეს, რამაც ბოლოს 1121 წლის დიდგორის „ძლევაი საკვირველი“ მოიტანა. ორი–სამი თაობის მანძილზე წარმოებულმა ასეთმა თანმიმდევრულმა პოლიტიკამ სრულიად ახალი ქვეყანა და საერთო–კავკასიური მასშტაბის ახალი სახელმწიფო შექმნა ახალი პოლიტიკური ცენტრით და პოლიტიკური სტრუქტურებით...

– ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობაც ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას უნდა დაეფუძნოს. ამ მემკვიდრეობის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. ყველა მათგანი ჩვენს სამოქმედო პროგრამად და პოლიტიკურ სტრატეგიად უნდა ვაქციოთ. აი, თუ გნებავთ, თანამედროვე ქართული პოლიტიკური რომანტიზმისა და ერთდროულად, პოლიტიკური რეალიზმის „სასინჯი ქვა“, ჩვენი და ჩვენი შემდგომი თაობების ყველაზე დიდი ნატვრა და ოცნება. მისგან იმედგაცრუება მომავალში დიდ ტრაგედიად მოუბრუნდება ხალხს და ქვეყანას...

ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი იდეოლოგია სჭირდება და მისგან გამომდინარე პოლიტიკური სტრატეგია. ქართული სახელმწიფოსთვის ეს ფუნქცია „საერთო ნიადაგის“ თეორიას აქვს. ამიტომ აუცილებელია შესაბამისი ანალიზი და დისკუსია ამ თეორიის არსისა და დანიშნულების შესახებ. თავის დროზე ეს საქმე დაიწყეს „საქართველოს სოციალ–ფედერალისტური პარტიის“ ლიდერებმა – ვარლამ ჩერქეზიშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა, გიორგი გოგელიამ, გრიგოლ რობაქიძემ..., მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი...

აქ ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ამ თეორიას თავისი ევროპული ვარიაციაც აქვს „ანარქო–სინდიკალიზმის“ თეორიის სახით. ამ ორ თეორიას ბევრი საერთო იდეა და პრინციპი აერთიანებთ. ცნობილ ევროპელ მოღვაწეებთან ერთად (რეკლიუ, გილიომი, დრაიჰორსტი, ნევისონი), მისი ფუძემდებელია დღეს ჩვენგან მივიწყებული ჩერქეზიშვილი. წარსულის ინერციით ანარქიზმს ჩვენთან დღესაც მეტად აღმაცერად უყურებენ. არადა, იგი მომავლის პოლიტიკური ფილოსოფია და პოლიტიკური რომანტიზმის კლასიკური ნიმუშიცაა. მისი არსია

სახელმწიფოს ცენტრალიზირებული მართვა-გამგეობიდან დეცენტრალიზირებულ მართვა-გამგეობაზე გადასვლა, რეგიონალიზმით, ფედერალიზმით და ფართო ადგილობრივი თვითმართველობით „სახელმწიფოს კვდომის და უსაზღვრებო მსოფლიოსკენ სვლა“...

ისე, რომ ჩერქეზიშვილი ევროპაში და ილია საქართველოსა და კავკასიაში ერებს შორის და თვითონ ერებს შიგნით დიალოგისა და ერთობა-თანამშრომლობის იდეის მქადაგებელი არიან. ამ იდეით არის გაჟღენთილი „ივერიის“, თუ მაშინდელი ევროპული პრესის გვერდები. ჩერქეზიშვილი თითქმის ყველა ძირითად ევროპულ ენას ფლობდა და ჩვენი ვალაია ეს უაღრესად მდიდარი მემკვიდრეობა არ დაფუკარგოთ არც ჩვენს და არც ჩვენს შემდგომ თაობებს...

ილია არცერთ ქართველ მოღვაწეს არ სცემდა ისეთ დიდ პატივს, როგორც ჩერქეზიშვილს. მისი ათეულობით სტატიაა დაბეჭდილი „ივერიაში“ და ევროპიდან საქართველოში ჩამოსვლის დროს ილიას ყველაზე სასურველი სტუმარიც იყო. სწორედ „ანარქო-სინდიკალიზმის“ (ცნება „სინდიკატი“ – ერთობას, გაერთიანებას ნიშნავს) პრინციპთა საფუძველზე მიმდინარეობს დღეს ევროპის კონფედერაციული გაერთიანების პროცესი. ვარლამ ჩერქეზიშვილს მიაჩნდა, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში ასეთივე კონფედერაციული გაერთიანება შეიქმნება ჩვენს რეგიონში – კავკასიაშიც („კავკასიის შეერთებული შტატები“), რაც ასე ეხმიანება ილიას „კავკასიის ერთობის“ იდეებს. „ივერიაში“ – ასეთია საქართველოსა და კავკასიის მომავლის მათეული იდეალი და სტრატეგიული ხედვა...

ესეც დღეს თავისებურ პოლიტიკურ რომანტიზმად მოჩანს, მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილას არ დგას და ჩვენთვის დღეს მთავარია, რომ „გვესმას მშობლისა“ – ყურად ვიღოთ ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების ღაღადი და მათი ნაფიქრ-ნაღვაწი. „საერთო ნიადაგის“ თეორია ყოველივე ამის ასახვა და გადმოცემაა. ამიტომაც მას ჩვენგან გათავისება – გათანამედროვეობა და საქმედ ქცევა სჭირდება...

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ პოლიტიკური რომანტიზმის რეალობად ქცევას და ქართული სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობას: „ოცნებაც“, მათ შორის „ქართული ოცნებაც“ მაშინ აღსრულდება, როცა ახლო თუ შორეული წარსულის მემკვიდრეობას დაეფუძნება. ჩვენი აზრით კარგი იქნება, თუ ახლანდელი ხელისუფლება ამ მხრივაც გაიაზრებს და გაითავისებს თავის პოლიტიკურ პროგრამას და პოლიტიკურ სტრატეგიას შემდგომი ათწლეულებისთვის...

„ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“

ეს შაკ-აბასის წყევლაა, შესაშური ერთგულებით, რომ ვასრულებთ ახლაც – პირველივე ხელისუფლებიდან დღემდე. „გათიშე და იბატონეს“ იმპერიული პოლიტიკაც ამიტომ ზეობს ჩვენზე...

„საერთო ნიადაგის“ თეორია მისცემს სასრულს მას... ეს ჩვენი ძველი ხალხური სიბრძნე-შეგონებაც ამისკენ მოგვიწოდებს:

**„ძმაო რა სჯობსა ძმობასა,
ჩვენსა ერთადა ყოფნასა“...**

ამ „ერთად ყოფნას“ ამ თეორიის იდეებისა და პრინციპების გათავისებით და საქმედ ქცევით მივალწევთ მხოლოდ. „ძნელბედობასაც“ ამით დავალწევთ თავს. ეს არის ერთადერთი და უტყუარი გზაც „დიდების დღენის აღდგენისაკენ“...

ილია კი, კვლავ „კარგ გამგებს“ ელის მესამედასელთა მიერ წინამურთან დამთავრებული მისი ეპოქის განახლებისთვის...

გალაქტიონის ეს „ეპოქა დიდიც“ საუკუნეზე მეტია ამას ელის...

ნუთუ აღარასოდეს განახლდება იგი?...

დასკვნის მაგიერ

აღრეც ითქვა – „საერთო ნიადაგის“ თეორია ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებს მოიცავს, რომელთა კვლევა და თანამედროვე ეპოქასთან მისადაგება მიზანმიმართულ და შრომატევად ძალისხმევას თხოულობს ჩვენგან. ამ მიზნით დააფუძნა ილიამ „ივერიის“ სპეციალური რუბრიკა – „ცხოვრება და კანონი“...

ქვემოთ მოყვანილი სქემატური მონახაზი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ასეთ კვლევას ისახავს მიზნად. სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც ასეთ კვლევაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს. დამთავრებული, დოგმად გადაქცეული და ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული თეორია არ არსებობს. ყველა ეპოქას თავისი კორექტივები შეაქვს მასში, მაგრამ ამასთან, არსი მისი მდგრადი და მუდმივია. ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენც...

შავი შრიფტით გამოყოფილია ილიას ის ციტატები, რომლებიც გადმოსცემენ თვითეული ამ პრინციპის არსს:

I. „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმთავრესი ზოგადსოციოლოგიური პრინციპია ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების „მნელბედობით“ შეწყვეტილი პროცესის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ილიასთვის ისტორია „ღვთის ნების გამოვლენაა“, ისტორიული პროგრესი კი – მისი ასახვა დროსა და სივრცეში. ამიტომ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს ილიასთან ალტერნატივა არა აქვს.

„ცხოვრება თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკრიკაზედ“.

II. პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა **„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“**. ილიამ შემოქმედებითად განავითარა დიალექტიკის ჰეგელისეული „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი“ და მას, რევოლუციურის ნაცვლად, ევოლუციური, მშვიდობიანი ხასიათი მისცა გარემომცველი სინამდვილის სამივე სფეროს – აზროვნების, საზოგადოებისა და სამყაროს მიმართებაში. ამიტომ „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება“ ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის უნივერსალური პრინციპი და, ერთდროულად, მეთოდიცაა.

„სისხლი და მახვილი ვერაფერი მეგზურია კაცთა ცხოვრების განკარგებისათვის – მხოლოდ დაპირისპირებულ იდეათა და ძალთა ბედნიერი მორიგება მისცემს კაცსაც და კაცობრიობასაც სიკეთეს“.

III. სულიერისა და ფსიქიკურის, იდეის, სიტყვის, აზრის პირველადობასა და დიდ გარდამქმნელ ძალაში ხედავდა ილია ქვეყნის ხსნასა და ქართველი ერის სამომავლო გზასაც. ეროვნული სული, მისი ფსიქო-გენეტიკური კოდი უნდა დაედოს „ბალავრის ქვად“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას – ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველსა და უპირველეს წინაპირობას.

„ყველა გმირობა და დიდნი საქმენი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის“.

IV. ქართველ ერს გენეტიკურად თანდაყოლილი და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით განმტკიცებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისი ეროვნული თავისებურებანი, ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები გააჩნია, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ეროვნული მემკვიდრეობის გათვალისწინება-გამოყენებას ალტერნატივა არა აქვს ერის სულიერი და მატერიალური ყოფის არც ერთ სფეროში.

„ახალი საქართველო მხოლოდ ძველითგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად და არა სხვათა და სხვათა ბაძით“.

V. „ქართული წეს-წყობის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ელემენტი ქართული სამართალია. ქართული სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეყრდნოს არა უცხო ქვეყნების სამართლიდან ნათარგმნ და გადმოქართულებულ კანონებს, არამედ საუკუნეებში გამომუშავებულ სამართლებრივ ნორმებს და კანონებს. სამართლის წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვეულებით სამართალს, რომლიდანაც ამოზრდილია, საერთოდ, ქართული სამართალი.

„ჩვეულებითი, ანუ ბუნებითი სამართალი უფრო მისაღებია ხოლმე ხალხისათვის, რადგან იგი თვითონ ხალხისაგან არის დადგენილი და დაკანონებული“.

VI. „ერი, როგორც ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“, მაშინ მიაღწევს სულიერ და მატერიალურ აღმატებულებას, როცა ერთიან პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზმად გაერთიანდება. ეს ქართველი ერის ისტორიული განვითარების სტრატეგია და მაგისტრალური გზაა.

„ერი უძლეველია საერთო ნიადაგზე დგომით, ერთნებობითა და თანადგომით“.

VII. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალი „ოქროვანი ხანის საქართველოა“. მისი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების აღდგენა-აღორძინება-გათანამედროვეობა გარდამავალი პერიოდის სტრატეგიული ამოცანა და უმთავრესი პოლიტიკური მიზანია. „ჩვენი ისტორია ჩვენი მასწავლებელია“.

VIII. „საქართველოს დიდების დღენის აღდგენას“ მაშინ შევძლებთ, მაშინ ექნება ჩვენს ქვეყანას მომავალი, როცა ყველას ამ ძველი დიდების დღენის ნოსტალგია-მონატრების „სენი შეგვეყრება“, მისი „სურნელებით ვისუნთქებთ, მისით ვიარსებებთ და ვისულდგმულვებთ“. მხოლოდ დავითის „ძალისხმევის“ და თამარ მეფის „სათნოების ხაზის“ გამთლიანება-გათანამედროვეობით შევძლებთ ქართული სახელმწიფოს ფორმირებას და მის შემდგომ სტაბილურ განვითარებას. ეს კი ხალხის და ხელისუფლების „ერთ უღელში შებმით“ არის შესაძლებელი.

„ყველა ადამიანი, ერი და ბერი, თავისი დიდი წინაპრების გზა-კვალს უნდა ერთგულვებდეს“.

IX. „ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წესწყობის აღდგენა“ გარდამავალი პერიოდის სტრატეგიაა. მხოლოდ ხალხის დიდი პოტენციური ენერჯის ამოქმედებით და მიზანმიმართული წარმართვით შევძლებთ წინსვლას ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში. ამის მიღწევის ერთადერთი გზა თვითმმართველობაა.

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“.

X. „ქართული წეს-წყობის“, მომავალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იდეალი „ხმლისა და გუთნის საქართველო და სამეფო გვირგვინია“. კონსტიტუციური მონარქიის ძლიერი საპარლამენტო სახელმწიფო წყობილების დამყარება ეს საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების, „ისნის კარავის“ ინსტიტუტის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა. მსოფლიოში არსებული სხვა კონსტიტუციური სახელმწიფოების მსგავსად, კონსტიტუციური მონარქია საქართველოში ეროვნული ერთობის მიღწევის, ძველ ისტორიულ ფესვებთან – „თავის თავთან დაბრუნების“, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების განმტკიცების, ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების გარანტიაა. გლობალიზმის სულ უფრო მზარდი პროცესი ქართველობას თვითონ გვეკარნახობს ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებას.

„ზაგრატიონები ყოველთვის ქვეყნის ერთგულნი შვილნი იყვნენ ჭირსა თუ ლხინში“.

XI. უნდა აღსდგეს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ძველი ისტორიული სქემა, საუკუნეებში ფორმირებული ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული დარეგიონება: სოფელი – თემი – მხარე, აი, ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით შობილი ყველაზე ოპტიმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დარეგიონება, რაც ბოლოს მოუღებს ახლო წარსულის მეტროპოლიისაგან თავსმოხვეულ მკაცრად ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და მმართველობას – კორუფციისა და მაფიოზური კლანების მთავარ წარმომშობ წყაროს ჩვენს ქვეყანაში.

„კარგად უნდა გავიგოთ და დავიმახსოვროთ – ყველა ხეობას, თუ სოფელს, თემსა თუ მხარეს თავისი განუმეორებელი იერ-სახე აქვს და ამეების დაკარგვა სიკეთეს არას მოგვიტანს, დასაბამიდანვე ჩვენ ხომ, „ხევების ქვეყანა ვართ“.

XII. ქართული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა უნდა აიგოს უნიტარიზმის და ფედერალიზმის პრინციპთა გარკვეული გასაშუალებით, მათ შორის თავისებური „ბედნიერი მორიგებით“. უნიტარიზმი და ფედერალიზმი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპები კი არ არიან, არამედ ურთიერთშეთავსებადნი. ადგილობრივ თვითმმართველობასა და მხარეთა ავტონომიურ მმართველობასთან ერთად, მკაცრად და ნათლად უნდა განისაზღვროს საერთო-ეროვნული ინტერესები და ფუნქციები – ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, საფინანსო-საგადასახადო, საბაჟო, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

„ყველა ადგილობრივნი საქმენი ადგილზევე უნდა წყდებოდეს, გარდა საერთო-საქვეყნოსი“.

XIII. ქართული სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება ორპალატიანი „ერთა საბჭოსაგან“. „ერთა საბჭოს“ პირველ პალატას ქვეყნის მთელი მოსახლეობის, ხოლო მეორეს – მხარეთა დეპუტატები წარმოადგენენ. „ერთა საბჭოს“ ორივე პალატის დეპუტატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100–120 კაცს. ქვეყნის ცალკეულ მხარეებს ჰყავთ ერთპალატიანი პარლამენტი სოფლისა და თემების პროპორციული წარმომადგენლობით.

მლიერი „საპარლამენტო მართველობა არის ყველაზე უპრიანი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისათვის. ინგლისი ამ მხრივ ყველასათვის მისაზამია“.

XIV. ქართული სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს „ერთა საბჭოს“ მიერ დამტკიცებული მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის წინაშე. მხარეთა მთავრობებს ირჩევს მხარეთა „ერთა საბჭო“, ხოლო თემისა და სოფლის ხელისუფლებას – ადგილობრივი საბჭოები.

„ერთა საბჭო ერს ერთიან ძალად და ორგანიზმად ჰკრავს“.

XV. სასამართლო ხელისუფლებას ადგილზე წარმოადგენენ მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლენი. თითოეულ სოფელს თავისი მოსამართლე და აღმასრულებელი (მამასახლისი) ჰყავს, რომლებიც, ისე როგორც მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები, გადასახადის ამკრეფნი ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ.

„ადგილზე ყველაზე უკეთ იციან თავიანთი სალხინებელი და საჭირვებელიც“.

XVI. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია შერეული ტიპის სამეურნეო წყობა მიწაზე საკუთრების 5 ტრადიციული ეროვნული ფორმით: 1. კერძო–საკომლო; 2. სასოფლო–სათემო; 3. სახელმწიფო–სახაზინო; 4. საეკლესიო–სამონასტრო და 5. ხაზნური (დროებითი) მიწათმფლობელობა. მიწაზე გადასახადების, ისე როგორც სხვა მოსაკრებლების ორი მესამედი ადგილზე რჩება, დანარჩენი კი ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება.

„მიწა ქართველი კაცის სიმდიდრისა და სიძლიერის უპირველესი წყაროა. ქართული სოფელი და ქართველი გლეხობა – ჩვენი ეროვნულ იმედების სული და გული“.

XVII. ეროვნულ ეკონომიკას, როგორც რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებურ კონგლომერატს, თავისი პრიორიტეტები და ეკონომიკური სტრატეგია უნდა გააჩნდეს. ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ცხოვრების წესის პირობებში ეს ქვეყნის საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების აგრარულ–ინდუსტრიული სტრატეგიაა.

„როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც „მიწისა და გუთნის“ ქვეყნად უნდა დარჩეს“.

XVIII. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველნაირად შევუწყოს ხელი სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების (გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, სამშენებლო მრეწველობა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ელექტრომრეწველობა, მცირე და საშუალო მექანიზაცია) განვითარებას.

„ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები საქართველოს სამოთხედ გადააქცევს“.

XIX. მთა ისტორიულად ყოველთვის იყო საქართველოს პანაცეა – ქართველი ერის გადამრჩენი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება და შემდგომი განვითარება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. ქვეყნის ტერიტორიის 80% მთაგორიანია და დღეს აქ შექმნილმა ვაკუუმმა, მისი განქართულების პროცესის შემდგომმა გაგრძელებამ და ურბანიზაციამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს და ქართველის ერის სამომავლო განვითარებას.

„მთა მარად იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ქართული წეს-წყობის ბალავრის ქვად“.

XX. „კომლი ძველ საქართველოში წარმოადგენდა არამცთუ სამეურნეო სხეულსა, არამედ საზოგადოებრივსაც. ყოვლიფერი – შრომა, ბეგარა, გადასახადები, სოფლის მართველობა, ჯარში გაწვევა კომლზე იყო გათვლილი“.

დედმამიშვილობის სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კომლის ინსტიტუტის სამეურნეო და საზოგადოებრივი ფუნქციის, „კომლის თავის“, „გუთნის დედის“, „კომლეულთა“ და „ხოდაბუნების“ ძველი საამხანაგო-კორპორაციული ტრადიციების აღდგენა და გათანმედროვეობა წარმოადგენს სოფლის თვითმმართველობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართლწესრიგის, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პრობლემათა გადაწყვეტის აუცილებელ წინაპირობას.

„კომლი და ხოდაბუნების საამხანაგო გაერთიანებანი კაპიტალიზმის ქართული ალტერნატივაა“.

XXI. საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას გლობალური და რეგიონალური ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებაში.

„ჩვენდა სასახელოდ, ქართველი კაცისთვის არასოდეს უცხო რამ ხილი არ ყოფილა ზოგადკაცობრიული იდეალები და ღირებულებანი. „ვეფხისტყაოსანი“ დადასტურებაა ამისა“.

XXII. ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების და ეროვნული ხასიათის ორგანული ნაწილია.

„ოქროვანი ხანის საქართველოს“ იმანაც მოუპოვა პრესტიჟი და ძლიერება, რომ იგი სხვა ქვეყნებიდან დევნილთა საიმედო თავშესაფარი გახდა.

„ქართველს მისდა სასახელოდ, სიძულვილი არ შეუძლია... სიძულვილის წილ სიყვარული – ქართველი კაცის დიდბუნებოვანობის არსია“.

XXIII. ქართულ სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოსა და ევრაზიული სივრცის ყველა ქვეყანასთან, მაგრამ მათგან განსაკუთრებით კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებთან. ისტორიულადაც იგი ხომ, ფაქტობრივად, კავკასიური სახელმწიფო, თავისებური „კავკასიის შეერთებული შტატები“ თუ შვეიცარიის კონფედერაციის მსგავსი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. პოემაში „ქართველის დედა“ ილიამ შესანიშნავად გამოხატა კავკასიელ ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობის იდეა.

„საქართველოსა და მთელი კავკასიის თავისუფლება“ – ასეთი უნდა იყოს სამომავლოდ ჩვენი იდეალი.

ვფიქრობთ, რომ გლობალიზაციის პირობებში შეიქმნება ხელსაყრელი წინამძღვრები ევროპის „საერთო ბაზრის“ მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებისათვის კავკასიაში. ასეთი პოლიტოლოგიური პროგნოზირება დღეს შეიძლება უტოპიად და რომანტიზმად მოეჩვენოს ბევრს, მაგრამ კავკასიაში რუსეთის დღევანდელ აგრესიულ პოლიტიკას საქმე სწორედ აქეთ – „მთელი კავკასიის თავისუფლების“ ილიასეული იდეალისკენ მიჰყავს. ნორმალურ პირობებში თვითონ რუსეთსაც უნდა აწყობდეს ერთიანი და ძლიერი კავკასია, როგორც გარკვეული ბუფერული ზონა ევრაზიულ სივრცეში. მაგრამ სადაც რუსეთია, იქ ნორმალურ პირობებსა და ნორმალურ ურთიერთობებზე ლაპარაკი რეალიზმის ფარგლებს სცილდება. ილია არაერთგზის მიუთითებდა რუსეთის და „რუსული ხასიათის“ ასეთ ორმაგ ბუნებასა და სტანდარტებზე. სწორედ ეს გვაიძულებს ფრთხილ პოლიტიკას მასთან: რაც არ უნდა მოხდეს არ უნდა დავუპირისპირდეთ და ვეომოთ რუსეთს.

XXIV. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ისედაც რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია და ეს მით უმეტეს გლობალიზაციის პირობებში, როცა უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციები მიისწრაფვიან მთელი მსოფლიო თავის მსგავსად და ხატად აქციონ, თავის ვოტჩინად და გასაღების ბაზრად. ეს კანონზომიერება ილიას დროსვე ჩაისახა და მის ალტერნატივად იგი „ქართულ წესწყობას“ სახავდა.

„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“ – ასე აფრთხილებდა იგი მაშინდელ ჩვენს კოსმოპოლიტებს, რომლებსაც ეროვნულისა არაფერი გაეგებოდათ და არც არაფერი სწამდათ.

ამიტომაც **„საკუთარ ტვინსმოკლებულნი უცხო ბაძში ეძებდნენ ხსნას“.**

* * *

კარგი და ჭკვიანური თქმაა: სანთელ–საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და მართლაც, ღვთის მადლით პეტრე იბერის მშვიდობისა და საერთო ნიადაგის დიდმა იდეამ ჩვენამდე მოაღწია. 1500 წლის შემდეგ მან მწყობრი თეორიის სახე მიიღო და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩავაყენებთ მას ადამიანის სამსახურში. აქ მინდა ილია გავიხსენო კვლავ, მისი ბრძნული თქმა – იდეა, მეცნიერება, „თეორია უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია, თუ საქმედ არ ვაქცევთ“...

პალესტინაში ფეხადგმული ეს იდეა დღეს ჩვენგან საქმედ ქცევას ელის. ისტორიულად ქართველი კაცისთვის უცხო არ არის იგი – მარტო „მშვიდობას“ ხომ ოთხჯერ ვუსურვებთ ერთმანეთს დღეში...

– იდეა განუხორციელებელი საქმეა, საქმე – განხორციელებული იდეა, უყვარდა ეს გამოთქმა და ამიტომაც საქმით მეტყველი სიტყვაა ჩვენთვის. მისი ეს სიტყვაც და საქმეც „საერთო ნიადაგის“ თეორიაა, თეორია, რომელიც ჩვენგან განხორციელებას ელის...

ვფიქრობთ, მონოგრაფიის „პრაქტიკული წინადადებები“ აქეთკენ მიმართული ერთ–ერთი საშუალებაა.

პრაქტიკული წინადადებანი

როგორც წესი, ილიას იუბილეს ჩატარების შემდეგ, მეორე დღესვე ილიას სახელიც და საქმეც აღარც გვახსენდება: ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, ვაქეთ–ვადიდეთ იგი, მორჩა და გათავდა. ეს ჩემი მონოგრაფიაც, ილიასი არ იყოს, „უქმის ჭკვის უქმ ვარჯიშად“ რომ არ გამოგვივიდეს, სამომავლოდ რამდენიმე კონკრეტული საკითხიც მინდა დავსვა...

დიახ, ილიას ასე ადვილად ვერ მოვიშორებთ თავიდან – ის იუბილეებს და ქება–დიდებას კი არა, თავისი ნააზრევის საქმედ ქცევას გვთხოვს. ისიც ცხადია, რომ მისი მემკვიდრეობის საქმედ ქცევა ადვილი არაა, იგი მთელი თაობების საქმეა და ათწლეულებს და შეიძლება ასწლეულებსაც თხოულობს. მთავარი მაინც ისაა, რომ დავიწყოთ ეს საქმე, საქმე კი, თუ ის ჭეშმარიტად საქვეყნო და მართალი საქმეა, ისევ ხალხური სიბრძნე რომ მოვიშველიოთ, „ბოლოს თავის თავს თვითონვე გაიტანს“...

„საერთო ნიადაგის“ თეორიიდან გამომდინარე, ეს პირველი წინადადება ადრეც აღნიშნულ კონსტიტუციური მონარქიის პრობლემას ეხება. „ილიას კაბინეტი“ თავის თავზე იღებს იმ პრინციპებისა და სამართლებრივი ნორმების მოძიება–დადგენას, რაც ერთი მხრივ, მომდინარეობს ჩვენი ისტორიიდან და ეროვნული მემკვიდრეობიდან და მეორე მხრივ, საერთაშორისო

გამოცდილებიდან, კერძოდ, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის კონსტიტუციების ანალიზიდან, რაზეც ჩვენ წლების მანძილზე ვმუშაობთ...

ჩვენი წინადადების არსი ის არის, რომ აუცილებელია შეიქმნას ე.წ. „რეგენტთა საბჭო“, რომელიც გარკვეული წლების მანძილზე, ვთქვათ, 10–15 წლის მანძილზე მოამზადებს კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლის წინაპირობებს.

ამ შემთხვევაშიც მთავარი ისაა, რომ ახლა მაინც სერიოზულად ვიფიქროთ მესამედასელების მიერ უარყოფილი და გასარქებული ამ პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებაზე. „რეგენტთა საბჭო“, რომელშიც გაერთიანდებიან ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება. კონსტიტუციური მონარქიის იდეა XIX–XX საუკუნეების მთელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების იდეაა და მისი შემდგომი იგნორირება – მიფუჩეჩება არ ეგების...

ჩვენი მეორე წინადადება ატარებს კომპლექსურ ხასიათს და თუ მას საქმედ ვაქცევთ, მისით ვიამაყებთ ჩვენც და ჩვენი შემდგომი თაობებიც.

პარკი მემორიალი – „პეტრე იბერი“

ჩვენს დიდ ერისკაცებში გამორჩეულად დგას პეტრე იბერის სახელი. ბევრი ერი როდი დაიკვებებს ასეთი დონის მოაზროვნით და მოღვაწით. ეს წასულ კაცს კი არ სჭირდება, არამედ მის შემდგომ თაობებს, როგორც ილია იტყოდა, „სულის ღონედ და მომავლის საგზლად“.

„მსოფლიო მეოხი და ქართველი ერის სიქადული“ – ასე დარჩა იგი ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში და ჩვენი ვალაია შესატყვისი პატივი მივაგოთ მის ხსოვნასა და ღვაწლს.

ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორია პეტრე იბერით იწყება. მან პირველმა გადო ხიდი ერთი მხრივ, ანტიკურსა და ქრისტიანულ ცივილიზაციას, და მეორე მხრივ კი, ქართულ და ევროპულ კულტურებს შორის. ამდენად, „იბერიკას“ ორმაგი გააზრება და დატვირთვა აქვს ჩვენთვის, რაც თავის ასახვას თხოულობს მემორიალში როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ მემორიალს კულტურულ და შემეცნებითთან ერთად, უნდა ჰქონდეს ტურისტული ფუნქცია და დანიშნულებაც. ასეთ ხასიათს ატარებენ მსგავსი მემორიალები თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში (მაგ. ნაპოლეონის მემორიალი პარიზში, ვაშინგტონისა – ამერიკაში, ანდა, პეკინის გრანდიოზული კონფუცის და ჩინელი იმპერატორების რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული პარკი-

მემორიალი, მილიონობით ტურისტი რომ სტუმრობს ყოველწლიურად. შეიძლება შეიქმნას იგი თბილისის რომელიმე გარეუბნის თავისუფალ ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, რომ იგი ერთი მხრივ, იქნება პატრიოტიზმის სკოლა და მეორე მხრივ, საქართველოს სავიზიტო ბარათი საზღვარგარეთელი სტუმრებისთვის...

ჩვენი აზრით, ასეთი მასშტაბური ხასიათის მემორიალი უნდა განხორციელდეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული განვითარების შემდეგი თემატური შინაარსით:

I

კოლხეთი და იბერია ანტიკურ ეპოქაში: მედეასა და პრომეთე – ამირანის კულტი. ურთიერთობანი რომაულ–ბერძნულ სამყაროსთან და აღმოსავლეთთან. „აბრემუმის დიდი გზა“. იბერია და პალესტინა – „ებრაელთა განთესვა“ და ქართველი ებრაელები. პეტრე იბერი და ტოლერანტიზმის ეროვნული ფესვები. „მამასახლისობის“ ინსტიტუტი. „ხევების ქვეყნები“. მცხეთა და არმაზის კულტი.

II

ქრისტიანობის ჩასახვა „ფარნავაზიან–გორგასლიან საქართველოში“: დამწერლობა, ხელოვნება, არქიტექტურა. პალესტინის ქართული ეკლესია–მონასტრები და „ხოდაბუნური“ მეურნეობანი. ათონი და „წილნაყრობის“ ინსტიტუტი. პეტრე იბერი – ხიდი ანტიკურობასა და ევროპულ რენესანსს შორის.

III

პეტრე იბერი – მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა V – VII საუკუნეებში: „საერთო ნიადაგი“ – ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის იდეა და პრაქტიკა. „ქართველი ერის მნათობი და მსოფლიო მეოხი“ (იოანე პეტრიწი). სამი ეკლესიის წმინდანი – რომის პაპი გრიგოლ დიდი პეტრე იბერის მეხოტბე და ბიოგრაფი. იოანე ლაზი, ზაქარია ქართველი და იოანე რუფუსი – პეტრე იბერის მემკვიდრენი და ბიოგრაფები. პეტრე იბერი და ვახტანგ გორგასალი – იბერიის სულიერი და მატერიალური ძლიერება. რელიგიის, პოლიტიკისა და კულტურის დიალექტიკა: ქალკედონის 451 წლის მსოფლიო კრება და პეტრე იბერი. ნეოპლატონიზმი – ანტიკურობიდან ქრისტიანული მსოფლმხედველობისაკენ.

IV

ბაგრატიონთა დინასტია და „ოქროვანი ხანის საქართველო“. ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი X – XIII საუკუნეების საქართველოს და ქართული სახელმწიფოს ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის შესახებ. რუსთაველი და „ნაადრევი ქართული რენესანსი“. „ქართლის ცხოვრება“ – ლეონტი მროველის „საერთო – კავკასიური სახლის“ იდეა. ქართული სახელმწიფოს მესამი კვლენი – დავით აღმაშენებელი, გიორგი ათონელი – მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი –

მწიგნობართუხუცესი. ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული კულტურა. ფაზისის, გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიები. საქართველო და ევროპა – „ჯვაროსნული ლაშქრობები“.

V

„მნელბედობის ხანა“ – საქართველო იმპერიულ ზეწოლათა ეპოქაში. ბიზანტიის დაცემა და ევროპასთან ურთიერთობის გაწყვეტა. მაჰმადიანური გარემოცვა და დექრისტოიანიზაციის საფრთხე. მესხეთის ტრაგედია და „თურქი მესხის“ ფენომენი. ვახტანგ VI და სულხან–საბა ორბელიანი – ევროპული გზის ძიება. კათოლიკე მისიონერები პატრი ნიკოლო.

VI

რუსეთი და საქართველო: ანტონ I და პეტრე იბერის „მწვალებლად“ გამოცხადება. კირიონ II: „იბერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ – პეტრე იბერის რეაბილიტაცია. რუსეთის იმპერია – გეორგევსკის ტრაქტატი და „ვლადიკავკაზის“ სიმბოლიკა. ილია და რუსეთი: „როგორ მოვუგოთ ომი რუსეთს?“. ილია და ევროპული ორიენტაცია – საქართველოს სამომავლო გზა.

VII

საქართველოს კოლონიური ხანა. აჯანყებები და შეთქმულებები. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ბატონიშვილი. „მუხაჯირობა“. კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოსა და კავკასიაში, მარქსიზმი და ბოლშევიზმი, სტალინი და საბჭოთა იმპერია. „მესამე დასის“ ზეობა და „პირველი დასის“ ეროვნული იდეოლოგიის დამარცხება.

VIII

ილია ჭავჭავაძე და პეტრე იბერი – „საერთო ნიადაგი“ და „მშვიდობისმყოფლობა“. პეტრე იბერის დაბრუნება საქართველოში – ძველი და ახალი პოლიტიკური დოქტრინები. კონსტიტუციური მონარქია: „პირველი და მესამე დასი“ – ილიასა და კირიონ II მკვლელობა. ამბროსი ხელაია და ბოლშევიკური ტერორი. 1921 წლის ტრაგედია, ილია ჭავჭავაძის და ვარლამ ჩერქეზიშვილის „ხალხის მტრებად“ გამოცხადება. პეტრე იბერი – კვლავ „მწვალებელი“.

IX

პეტრე იბერის „იბერია“ და ფსევდო – დიონისე არეოპაგელის „არეოპაგეტიკა“: ნუცუბიძე – ჰონიგმანის თეორია. „ნაადრევი ქართული რენესანსის“ და ევროპული რენესანსის საერთო ისტორიული და გნოსეოლოგიური ფესვები. ქართულ–ევროპული ურთიერთობანი დღეს. საქართველო და მსოფლიო ორი ათასწლეულის გასაყარზე: პეტრე იბერის „საერთო ნიადაგის“ ადგილი და როლი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პირობებში:

პეტრე იბერის „გონების გაწმენდა და მშვიდობისმყოფლობა“. დიალოგი და ტოლერანტიზმი – ტერორიზმის და ძალადობის ერთადერთი ალტერნატივა. „იბერიკა“ – გზა ჭეშმარიტებისაკენ.

სასურველია მემორიალის ფარგლებში დაფუძნდეს „პეტრე იბერის მშვიდობის ინსტიტუტი“,ომისა და მშვიდობის პრობლემა მაშინაც და განსაკუთრებით დღეს ჩვენთვისაც და კაცობრიობისთვისაც ყოფნა–არყოფნის დილემაა და ჩვენი ისტორიიდან და ეროვნული მემკვიდრეობიდან გამომდინარე უპრიანი იქნება, თუ მას დავაფუძნებთ. ამ საქმეში უთუოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებიც ამოგვიდგებიან მხარში, პირველ რიგში „იუნესკო“. პეტრე იბერის სახელიც და საქმეც იმსახურებს ამას...

თუ ხელისუფლება დაინტერესდება ამ ჩვენი შეთავაზებით, აქ მოყვანილი მემორიალის გეგმა–მონახაზის სრულყოფილობის პრეტენზია ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი უძველესი და უმდიდრესი ისტორია გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო სრულყოფილად იქნას იგი წარმოდგენილი. „საქართველოს ისტორიის ფილოსოფია“ ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის საერთო ოცნება იყო და მემორიალი ამ მხრივაც შეიძლება იქნას გააზრებული.

მის აქტუალობას ისიც ზრდის, რომ ჩვენს რეგიონში იგი პირველი იქნება და ვფიქრობთ, ესეც დამატებითი სტიმული შეიძლება გახდეს მისი განხორციელებისათვის. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის, როგორც რეგიონალური ლიდერის, პრესტიჟის ამაღლებას.

ეს მითუმეტეს, როცა პეტრე იბერთან და „იბერიკასთან“ არის დაკავშირებული ანტიკურობიდან ევროპულ ცივილიზაციაზე გადასვლა. და ვინ უნდა გაუკეთოს ამას პოპულარიზაცია, თუ არა ჩვენ...

ილია და საქართველო _____	1
მემკვიდრეობა და თანამედროვეობა:	
– რანი ვიყავით – რანი ვართ – რად შეიძლება ვიქმნეთ	
რედაქტორისგან _____	3
წ ი ნ ა თ ქ მ ა _____	4
რანი ვიყავით _____	8
ვინ დაიჯერებს ახლა ამას?! _____	8
„დიდბუნებოვანი“ და „მდაბალბუნებოვანი“ კაცი_____	9
„ხუთი კაცის“ თეორია... _____	10
„ბუნებრივი ყველაფერი კარგი და აღმატებულია ხელოვნურზე“... –	11
მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?! _____	12
პოეზია და პოლიტოლოგია _____	14
ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ?! ... _____	16
ჩვენ და მსოფლიო: „თეოლოგიის მიღმა“... _____	17
ილია და ებრაელი ერი _____	19
პეტრე იბერი და პალესტინა _____	21
პეტრე იბერი და კირიონ II _____	23
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“ _____	25
„რაი არს საღმრთოი ნისლი?“ _____	27
პეტრე იბერი და ილია: მემკვიდრეობითი ხაზი გრძელდება... _____	28
კაი ყმა _____	29
პეტრე იბერი – „ევროპული რენესანსის“ ფუძემდებელი _____	31
მშვიდობისმყოფელი _____	32
„ნათელი ჭემმარიტების ძიების“... _____	33
„საღვთო ჭემმარიტება“... _____	36
„შეჯახება“, თუ დიალოგი?... _____	37
„გონების განწმენდა“ და „დიდბუნებოვანი კაცი“... _____	38
„საერთო ნიადაგი“ – კაცობრიობის მომავლის გზა... _____	39
„შეერთებისათვის განყოფილთა“ _____	41
– რანი ვართ... _____	43

„უ მ ა დ უ რ ო ბ ა“	43
„ვერ გაგიგია ამირან...“	48
„წახდენილი – ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“	49
მარტოსული	51
„სიკვდილის ლოდინი ლხენაა...“	53
„ნ უ თ უ“	56
„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს!“	57
„ბედნიერი მორიგება“ ...	59
„დეე, იქვე გაითხაროს სამარე ...“	60
ორიოდე სიტყვა „ივერიის“ რუბრიკებზე	61
დავითის „ძალისხმევის“ და თამარის „სათნოების ხაზი“...	62
ილია, ფოლკლორი და პოლიტიკა	63
ბევრი ვეცადე შენთვის, გამომივიდა ჩემთვის...	64
პოლიტიკური პროფილი:ილია – კონსერვატორი	67
ილია და ლიბერალიზმი	68
ილია და ევროპული სოციალ-დემოკრატია	69
პარადოქსების კორიანტელი...	71
– რად შეიძლება ვიქმნეთ?...	74
რაშია ილიას ძალა?...	74
„ქმნა მართლისა სამართლისა...“	75
რას გვიმზადებს XXI საუკუნე...	78
„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად“...	80
ივანე ჯავახიშვილი – „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“	82
კონსტიტუციური მონარქია:საქართველოს სამომავლო გზა...	84
პეტრე იბერის დაბრუნება	87
პეტრე იბერს	89
ახალი „ოქროვანი ხანა“ – უტოპია, თუ...	91
რომანტიზმი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში –	94
„ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“	98
დასკვნის მაგიერ	98
პრაქტიკული წინადადებანი	105
პარკი-მემორიალი – „პეტრე იბერი“	106